ᲡᲝᲓᲔᲚᲘ

12



2016

ზაირა კელოშვილი

უცხო ნერგი

სამშობლოს სადიდებლად
მზესთან მივედი ახლოს,
შენც გიწილადა სითბო მზემ,
ემიგრანტო ბავშვო.
დედასამშობლო - დედის,
შორს დარჩენილო დარდო,
ვერ გაგიკვალე გზები,
შენ - ემიგრანტო ბავშვო.
ფიქრი გავშალე ცაში,
ძირს დედამიწა მეცნო,
მიწის ავ-კარგით მთვრალმა
ვთქვი, რას მომასწარ, ღმერთო!

ლიტერატურული, სამეცნიერო-პოპულარული
და საზოგადოებრივი ჟურნალი

ალავი

ჟურნალს გამოსცემს
სამცხე-ჯავახეთის
სახელმწიფო
უნივერსიტეტი

12

2016

რედაქტორი – **მერაბ ბერიძე**

მოადგილე – **მაკა კაჭკაჭიშვილი-ბერიძე**

სარედაქციო საბჭო: **გიორგი ბუცხრიკიძე**
ლია ზაზაშვილი
ვახტანგ ინაური
მალხაზ ლომსაძე
ვასილ მამულაშვილი
ლერი ნოზაძე
ირინა ჯიშკარიანი

ირაკლი ვაშაყმაძე, *თბილისი*
რეზო შეროზია, *ზუგდიდი*
ზაირა კეღოშვილი, *ათენი*

უცხოეთთან თანამშრომლობის
ბიურო: **ლალი ბერიძე**
მაია ქუქჩიშვილი

მხატვარი: **ნანა ყორანაშვილი**
ლელა ფერაძე
ზვიად ბერიძე
ბექა კოპაძე

მდივანი – **ზაირა გელაძე**
მენეჯერი - **ნონა საანიშვილი**

საგამომცემლო ჯგუფი: **ლია ზედგინიძე**
ლარისა გურგენიძე

რედაქციის მისამართი: ახალციხე, რუსთაველის ქ. №106
© სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2016
ISSN 2346-836X

დებიუტი

ივდითი კვიტია (ივდო ოტობარი)

დავიბადე ქალაქ ზუგდიდში 1996 წლის 14 სექტემბერს. წარმოშობით ვარ გალის რაიონის სოფ. ოტობაიიდან.

დავამთავრე აფხაზეთის N14 საჯარო სკოლა. ამჟამად ვსწავლობ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე ქართული ფილოლოგიის სპეციალობით. ვარ მესამე კურსის სტუდენტი. პარალელურად ამავე უნივერსიტეტში ვეუფლები პროფესიულ პროგრამას: „ბეჭდური და ონლაინ გამოცემების რეპორტიორი.“

***

სულში
ქსოვს ქსელებს
ტკივილის ობობა
და დარდებს უტიფრად ძაფებად დაართავს,
მე კვადრატს ვადარებ ხანდახან ცხოვრებას,
ცხოვრებას, რომელიც ჩემსას სულ აღარ ჰგავს...
ვიღაც კი მოდის და ცივ ტყვიას მიმიზნებს,
ეტევა ჩემს შუბლზე ერთიც და ათასიც,
მაცადეთ ოღონდაც,
მაცადეთ მსახიობს,
ცოტა ხნით უნიღბოდ სცენაზე თამაში.
უბადლოდ ვასრულებ ბედნიერ გოგონას,
ღიმილის მიღმა ცრემლები კიაფობს,
აჰა, ის ნიღაბი ჩემი რომ გეგონათ,
უთუოდ დღეს უნდა სიმართლე გიამბოთ.
თუ როგორ ვერ ვგუობ ამ ზებრა ცხოვრებას,
ჰო, ზებრას შავ-თეთრი უაზრო ზოლებით,
სამართალს თავი რომ ვერაფრით მოება,
ფრთებს აშრიალებენ ორმაგად ბოზები.

ბოზები სულით და ხორცითაც ასევე,
ფეხებზე ჰკიდიათ წესი და ადათი,
ვერ ვიტან გინებას, ესენი მაჩვევენ,
ბოდიში და მაინც მე ერთი ამათი...
ერს რყვნიან, აცმევენ მეძავის მოსასხამს,
ამ სიტყვებს ვიღაცა სხვაგვარად გაიგებს,
სულ არ მადარდებს, ვინ ვისთან სცოდავდა,
მე მხოლოდ სამშობლოს წაბილწვა მაფიქრებს.
ნუ მაცმევთ ახლა ჯვარს,
ქრისტე კი არა ვარ,
რაღა დაგიმალოთ, არა მაქვს საერთო,
უბრალოდ მინდა, რომ ოდესმე შევძლო და
მამულის ხატის წინ სანთელად დავენთო.

***

არ ვიცი, ძველად როგორ უყვარდათ,
ვწევარ გულაღმა, ღამეს ვათენებ
და ვხედავ,
განზე უხმოდ გადადო
მთვარემ
ღრუბლების რუხი საფერფლე.
მე კი პირიქით, ვარდისფერ დასტას
მოგონებების სკივრიდან ვიღებ,
ეს მონატრება იქამდე გასტანს,
ვიდრე ვიღაც სხვა ამირევს ფიქრებს.
ან სამუდამოდ დარჩება ჩემში
თაფლისფერ ზღვათა ტალღის ტყლაშუნი,
მე სიყვარული მეტად ვერ შემშლის,
ისედაც გიჟად ვარ შერაცხული.
სწორედ ამიტომ შენ წუხარ ნუღარ,
არის რაღაცის დათმობა ერთობ,
ცხოვრება
რადგან წააგავს ბუხარს,
არ მოხერხდება სულ ცეცხლი ენთოს,
ხანდახან კვამლით გაავსებს ოთახს,
ხანაც გაგვათბობს, ან რა ქნას მეტი?

ვის უსწავლია პირდაპირ ლოცვა,
თუ ვერ იპოვა თავისი ღმერთი?!
მანამდე ტკივილს მაჯებში ვმალავ
არაპოეტურ ძარღვების შიგნით.
უნდა მიყვარდე, ნუ ამიკრძალავ,
სანამ ვსუნთქავ და რაღაცად მიღირს
ხელს შერჩენილი თითების სითბო,
ჩემს ხელისგულებს წლებია, დააქვთ
და ვინაიდან არაფერს ვითხოვ,
შენგან უბრალო შენდობის გარდა...
მე ვერ ჩავაქრობ გრძნობების ბუხარს,
გთხოვ, ნუღარ წუხარ ...

მხატვარი - ლელა ფერაძე

***

ღმერთო,
მე აქ ვარ,
ახლა ვიცი, უთუოდ მისმენ,
სადღაც მიჩუმდა, მარტოსულის ცრემლთა არია,
ვერ მოგიყვები, რატომ ვეძებ მუდმივად მიზეზს,
რომ შენი მწამდეს, თაყვანს გცემდე, რაც მთავარია.
თუმცა, ხომ ხედავ,
საკუთარი კბილებით ვიღრღნი
მაჯებს,
როდესაც სუსტ ნერვებზე უკრავს აკორდებს
ცხოვრება,
რასაც ვერ მოვერგე სხვებივით ნიღბით,
არც პოეტი ვარ, მხოლოდ ღამით გრძნობა მაბოდებს.
ჰოდა, უფალო, არაფერი ლექსების გარდა,
არ გამაჩნია,
გულიც, ვფიქრობ, მდგმურია სხვისი
და თითო მუჭა ცრემლით იხდის საზღაურს, რადგან,
მარტის სიგიჟე უცხო არის ხანდახან მისთვის.
ხომ ხედავ, ღმერთო,
დაგვათენდა... ალბათ დაგღალე...
შენდობას ვითხოვ,
თუმცა სულაც არა ვარ ღირსი,
მაგრამ ერთი რამ სულს მიშფოთებს,
მტანჯავს,
მაწვალებს,
მონის ბორკილებს რატომ მხოლოდ ძილის წინ ვიხსნით?!
მანამდე ვდუმვართ,
ამღვრეულ სულს, კითხვებს, პასუხებს,
სადღაც სოროში გამოვკეტავთ, გიმალავთ ვითომ,
ვილაცას ვკიცხავთ, იშვიათად რაიმე ვიცით
მის ცხოვრებაზე,
ლოცვისას კი წარმოვთქვამთ ლიტონ
სიტყვებს, თან გვიკვირს, რატომ ჯერაც ვგონივართ უფალს
მხოლოდ ტარიგი, მონა, ანდა თუნდაც მხევალი,
თითქოს, ხსნის ნაცვლად, გვიმეტებ და მზაკვრულად გვღუპავ,
ეს მხოლოდ ღამე...

დილით პირჯვარს გვასწრებს ვერავინ.
ყოველდღე ასე ხომ გვგონია, ქრისტეს გზით ვცხოვრობთ,
ვატარებთ კაბებს კოჭებამდე, ვადიდებთ უფალს
და თუმცა ,,ტეხავს", შორტით დადის მეზობლის გოგო,
ეშმაკს ახარებს! ჯოჯოხეთში ვაგზავნით უმალ...
მაგრამ ვინა ვართ?
ჯოჯოხეთი გვინახავს ოდეს?
ანდა სამოთხის არსებობა საიდან ვიცით?
ჩვენც გვინდა გვეცვას, მავანივით ჭრელი ან მოკლე
და უღმერთობას სულაც არა, ამას განვიცდით.
იქნება ჯობდეს, ყველამ ისე ვიცხოვროთ, როგორც
თვითონ გვგონია, მიგვაჩნია სწორად და მართლად
გვიყვარდეს ლოთი მეზობელი, შორტებით გოგო,
თავისუფლება, მეგობრებო, მონობის ნაცვლად!

***

მე, შენ და ჩვენთვის უცნობი ღმერთი,
გრძნობებზე მეტი მითხარი რა მაქვს,
და სიყვარულიც ყურძნის წვენივით,
თრობის ეფექტით მოჰყვება ამბავს,
თუ როგორ დევნის ბედი ტიალი
ოცნებებს, რწმენას, მომავლის იმედს,
შენ ჩემს თვალებზე მოხეტიალე,
სულ ერთი ცრემლით ხარ სხვებზე მძიმე.
და როცა ვმარცვლავ წარსულის სათლში
ჯერაც გუშინდელ ბავშვურ ანცობას,
შენამდე ვხედავ ვერ გავლილ მანძილს,
მეჩვენება, რომ სათამაშო ვარ
ცხოვრების, მერე ჭერი ქანაობს,
ბზარავს ოსტატის ნაფერებ თიხას,
გაჭირვების ჟამს ვსტუმრობ მამაოს,
რომ უფრო ჩემი თავისგან მიხსნას,
თორემ ამ სულში ქარები ქრიან,
არ ჰგავს, ძვირფასო, შხაპუნა წვიმებს.
შენ წახვალ, ალბათ, ადრე თუ გვიან,
ან დაიკავებს ჩემს ადგილს ვინმე.

მე, შენ და ჩვენთვის უცნობი ღმერთი,
ასე იწყება ერთგვარი დრამა,
რა უნდა გითხრა დუმილზე მეტი,
როცა სათქმელი თვალებით დამაქვს.

***

ადრე ვამბობდი:
ლექსები მაქვს უსათაურო,
ახლა გრძნობებიც მიემატა, სევდა გახშირდა,
არაფერია, ტკივილები ძვლამდე ატანენ,
მაგრამ ცრემლების მელოდიას ვინღა გაშიფრავს?!
ან ვინ აკინძავს წვიმის წვეთებს, გაუწყდა მძივი
ზეცას, რომელიც ზოგჯერ სულში გვიჭერს მარწუხებს
და ვეგუებით გადამალვას ტანსაცმლის შიგნით
ფრთების, რომ ვიღაც ნაძირალა არ შევაწუხოთ.
სამაგიეროდ ვიგინებით, გვძულს... თან ვმარხულობთ,
რა უჭირს მერე, თუა ჩვენში რწმენა სახადი,
სულის დახლებზე დაგვიობდა, არვის არ სურს, რომ
სახლში წაიღოს ერთგულება, რადგან ღალატი
უფრო მსუყეა, მონელებაც არის ადვილი
მოღალატისთვის, თორემ ერთგულს ჯვარივით დააქვს,
მე ვერ ვიქნები ღამეული ქუჩის აჩრდილი,
რადგან ვარ ევა, შენი ნეკნი, ძვირფასო ადამ.
თუმცა ცხოვრებამ მიგვაჩვია ცალკე ბოდიალს,
დავეკარგებით მცირე დროში, ალბათ, ერთმანეთს,
ბრბოსთან ცხოვრება, თვითონ ხედავ, დიდი ლოდია,
მოდი, გავფრინდეთ სანამ ამ ფრთებს დაგვილეწავენ.
რა იქნებოდა, ერთხელ გეწამე...

***

სულ ცხრა ასოა და აქედან სამი ხმოვანი,
ის სამი მე ვარ და, რადგანაც ჩემზე მეტი ხარ,
ასე მარტივად, ჩემო, უნდა გათანხმოვანდე,
თორემ საცაა, იმედები გამიწერტილდა.
ჩემი შენდამი სიყვარული დიაგნოზია,
მარტივად რომ ვთქვთ, ქრონიკულად შენით ვავადობ!
სულ არ მადარდებს, მიდიან თუ ჩემთან მოდიან,
ბოლოს კი ერთი პასუხი მაქვს, უკვე რაღა დროს?!
და როგორც ხდება, აგერევა გზა და ბილიკი,
გაგვიანდება ამინდივით გამოდარება,
ეს სიმარტოვეც გაგრძელდება, ანდა პირიქით,
შენ მოხვალ ჩემთან, სხვის ბილიკებს უხმოდ ჩახერგავ.
მაგრამ მანამდე სხივი ქრება დაღლილ თვალებში,
ბოლო არ უჩანს ჯერჯერობით უმიზნო ლოდინს,
განა მინდოდა, ჩემგან ასე დიდხანს გამეშვი?
უკანასკნელად გეუბნები: ძვირფასო, მოდი!

მხატვარი - ლელა ფერაძე

სიყვარულზე მელაპარაკეთ

ნუთუ, გგონიათ, ყველაფერი გადამავიწყდა,
წარსულის აჩრდილს ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვხვდები,
ეს მერამდენედ, დროის ათვლას ვიწყებ თავიდან,
მაგრამ, ვაი, რომ უკან რჩება ბავშვობის წლები...
ან თქვენ რა იცით, როგორ მტკივა ბზარები სულის,
სახეს მოვარგე ბედნიერის ნიღაბი, რადგან,
სიცოცხლე არა, ცხოვრებაა ამქვეყნად რთული,
არ შემიძლია ადგომა და უბრალოდ წასვლა...
თორემ რა უნდა თვითმკვლელობას ტყვიაზე მეტი,
მით უფრო მაშინ, როცა ზეცა თავზე გექცევა.
გადაიხრება ბედის მხარეს სიცოცხლის ღერძი,
მერე ამასაც მიაწერენ რაღაც შემთხვევას...
განრისხებისგან, ალბათ, ვიღაც დალეწავს ხატებს,
იტყვიან: „ამ დროს სადღა იყო მაღალი ღმერთი?!“
სუყველა კითხვა წლების შემდეგ პასუხებს ბადებს,
რა გვიან ვხვდებით, ვინ იყო, ან იქნება ჩვენთვის...
თვალებს აწვება ცრემლი, როგორც სევდის ნიშანი,
გარეთ მგონი წვიმს, სულს კი ქარი უმტვრევს დარაბებს,
სულაც არ მინდა დავაჩქარო ჩემი ფინალი,
სხვა არაფერზე, სიყვარულზე მელაპარაკეთ.

***

დამაგვიანდა... დაბადებაც, თქმაც და დუმილიც...
სულის სიღრმეში რა აანთებს იმედის კოცონს,
ხელში მიჭირავს მიდებული გულთან ყურმილი
და ის კი არა, მე ვერ ვიგებ, როგორღა ვცოცხლობ...
როცა ცხოვრება დაემსგავსა წაგებულ თამაშს,
ბედის სცენარი მცირედითაც ველარ შევცვალე.
მინდა ვიყვირო, რომ ტკივილებს საზღვრები არ აქვს.
ეჰ, კიბე მაინც მომიტანეთ, ავალ ზეცამდე,
იქნებ უფალთან საუბარი შევძლო ახლოდან,
თორემ შორიდან საკუთარ გულს ველარ ვაგონებ,
ან როგორ მოხდა, ვინც მიყვარდა, ყველა დამშორდა,
თუ, მე დავცილდი, როგორც არის, მაინც დამტოვეს.

ბევრი წავიდა და ეს ყოფნა არყოფნის მსგავსი
შემომაჩეჩეს, როგორც უკვე ნასროლი ტყვია,
დრო კი ადგება, იმ ღიმილსაც უღმერთოდ წაშლის
და ჩვენ გავიგებთ, მეტისმეტად რომ შევხვდით გვიან.

მხატვარი - ლელა ფერაძე

***

ეს ერთი გუდა სიყვარული, ეგეც მეორე,
მგონი მეყოფა, რომ გავუძლო სუსხიან ზამთარს.
აჰა, ლექსები, ლოცვასავით რომ ვიმეორებ
დილით, შუადღეს, საღამოს და სიზმარშიც ალბათ...
ჩაის ფინჯანი, მთელი ყუთი გვირილის ჩაი,
ფორმალობისთვის, თორემ უკვე საერთოდ არ ვსვამ.
სარკიდან მიმზერს გადაღლილი უცნობი ქალი,
მისი ბავშვობა სულ ეს იყო: - ლოდინი კართან.
სულის უჯრებში იქექება, რაღაცას ეძებს
ერთ ხელისგულზე დაეტია წარსულის სითბო,
მტკივნეულია, რაღაც გქონდეს, დაკარგო შემდეგ.
სხვას რას ელოდა, ცხოვრება ხომ თავისას ითხოვს.
არ ღირდა მოსვლა, არც წასვლა ღირს, წლები გადიან.
სრულყოფილების ძებნისაგან ისე ვიღლები,
სიცოცხლეს მოვთხოვ შვებულებას, თან - გრძელვადიანს
და მერე ჩემთვის დავიძინებ, გულდამშვიდებით.

***

მცივა, სექტემბერს აღარ შერჩა საჩემო სითბო,
თუმცა მიმალავს, განწყობაზე მუდმივად ვამჩნევ...
სადღაც უცნობი სხვისი გრძნობის ნასუფრალს ითხოვს,
დააგვიანდა... არც კი მიკვირს, ხომ ხდება ასეც...
ცხოვრება მაინც იმ გზით ივლის, რომელიც მას სურს,
ჩვენ კი გვგონია, მოვაბრუნებთ, შევუცვლით გეგმებს,
ისე, უბრალოდ, მოვთხოვთ ყველა კითხვაზე პასუხს,
როგორც ნასვამ ქმარს, მთელი ღამე ლოდინის შემდეგ.
ამის შედეგად ყოველ დილით ვიწყებთ ახლიდან,
შენებას ჩვენი ნიჟარისას, რათა შიგ ჩავძვრეთ,
აღიარება შეცდომების სულაც არ გვინდა
და თავს ვიმშვიდებთ, რომ დრო ყველა იარას არჩენს.
მერე ათასგვარ სისულელეს ვაგრძელებთ ისევ,
ადამიანი პირველ რიგში თავის მტერია,
ვეძებთ დიდი ხნის ჩვენში უკვე დაკარგულ ქრისტეს
და გვიკვირს, ხშირად იუდა თუ გამოგვერია...

***

უცნაურია, დრომ წაიღო ღიმილის ხურდა
და ცრემლის წვიმა ყველა სტრიქონს ნელ-ნელა მიშლის,
მე არ ვიყავი, არც დღეს არ ვარ, როგორიც გსურდათ,
ჩემებური ვარ, ჩუმი დარდით და სევდის ნიჭით.
როცა წაიღებს ყველა ტკივილს მარტის ქარები,
აპრილთან ერთად კვლავ შევხვდები ცისფერ ალიონს,
გგონიათ კენტად? მზესთან ერთად დავიარები,
ეს მზის სხივები აზარფეშით უნდა დავლიო.
თქვენ ვერ გამიგებთ ისე, როგორც წვიმა და ქარი,
რადგანაც მარტის ხასიათი მუცლიდან დამყვა,
სადაც სიგიჟეს აღმერთებენ, გრძნობებიც არის,
ჰოდა, მე ის ვარ, ვინც თვით ეშმას დაუშლის ხარხარს.
უცნაურია, დრომ წაიღო ღიმილის ხურდა
და ცრემლის წვიმა ყველა სტრიქონს ნელ-ნელა მიშლის,
ბედნიერ დღეებს გამახსენებთ, ფოთლებო, ნუღარ,
თორემ საცაა, სულ დავკარგე ოცნების ნიჭი.

დეგიუტი

ვასილ ბერიძე



დაიბადა 1974 წელს თბილისში. 1997 წელს დაამთავრა თბილისის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტის აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი, ხოლო 2002 წელს თსუ ახალციხის ფილიალის იურიდიული ფაკულტეტი.

გავლილი აქვს ანკარის უნივერსიტეტის თომერის ენის შემსაწავლელი ცენტრის თურქული ენის კურსები.

სხვადასხვა დროს მუშაობდა „სადახლოს“, „გეგუთის“, „ახკეპის“, „წითელი ხიდის“ საბაჟო გამშვები პუნქტების უფროსად. დღეს არის შემოსავლების სამსახურის გაფორმების ეკონომიკური ზონა „ფოთის“ ლოჯისტიკის სამმართველოს უფროსი.

თანამედროვე ცხოვრების თანამედროვე შაბათი–კვირა

საერთოდ საქართველო უცნაურობებით აღსავსე ქვეყანაა. მინდა ჩემი ცხოვრების ერთი ეპიზოდი მოგიყვეთ. უკვე ორი წელია, ვმუშაობ ქალაქ ფოთში სახელმწიფო სამსახურში, ოჯახი თბილისში მყავს, გამომდინარე აქედან, ხშირად მიწევს სიარული თბილისსა და ფოთს შორის, ძირითადად ორ კვირაში ერთხელ. პარასკევს საღამოს, სამსახურის შემდეგ ფოთი-თბილისის „მარშუტკით“ მოვდივარ ან ბათუმი-თბილისისა, მაგრამ ამ შაბათს ჩემი მეგობრის მანქანა წამოვიყვანე ფოთიდან, იმას ზედმეტი ფულის გადახდა არ უნდა მანქანის გამოყვანაში, მე კიდევ ვერ ვმგზავრობ მანქანის გარდა სხვა ტრანსპორტით ნორმალურად.

რთული გზა გამოდგა, თოვლი მოვიდა, ზესტაფონის გამოსასვლელში საცობში მოვყევი, შემდეგ შემოვლითი გზით წამოვედი, ზოგი კითხვით, ზოგიც ინტუიციით ცენტრალურ გზამდე ჩამოვედი, ვიფიქრე, სამშვიდობოს გამოვედი-მეთქი, რომ მეორე საცობში ამოვყავი თავი. ავარია იყო. პატრულმა აზომვითი ნახაზის შედგენის

მიზნით გადაკეტა მთელი გზა და სანამდე გაარკვიეს, რომელი ბოძიდან დაეწყოთ ათვლა და როგორ მიებათ ნახაზი, ნახევარი საათი გავიდა. შემდეგ დავიძარით და გორამდე ნელი სვლით თოვლში მოვდიოდი. ხუთსაათ-ნახევარი მოვანდომე და როგორც იქნა, ჩამოვაღწიე თბილისში. ათის ნახევრისთვის მანქანა გავაჩერე ჩემს სადგომზე, გამახსენდა, რომ ოჯახისთვის არაფერი მქონდა ნაყიდი, იქვე, მარკეტში ტკბილეულობა შევიძინე და მივაშურე სახლს.

ოჯახთან ჩვიდმეტი საათი დავყავი ღამიანად და კვირა საღამოს წამოვედი უკან სამსახურში. მარიკამ გამომაცილა, სალო გამომეტირა, დანარჩენებმა ვერც გაიგეს ჩემი წამოსვლა, ჩამოვედით აღმაშენებლის ხეივანზე. იქვე ბენზინგასამართ სადგურზე გავჩერდით, უკვე კარგად ყინავდა, ნახევარი საათის ლოდინის შემდეგ გამოჩნდა თეთრი „ფორდ ტრანზიტი“, წინ, მარჯვნივ და მარცხნივ, ქალის თვალები ახატია, საქარე მინაზე დიდი ასოებით მოჩანს: „ბათუმი“, მერე შედარებით პატარად - „ქუთაისი“, „ზესტაფონი“, „ხაშური“, „დაკვეთით“ და ბოლოს ტელეფონის ნომერი. დავემშვიდობე მარიკას და ავედი „მარშუტკაში“, წინა ადგილები დაკავებული დამხვდა და მომიწია უკან გადასვლა, ეს ჩემთვის თავდაყირა დაკიდების ტოლფასია, ჩავეკვეხე სკამში, ნახევარი გარეთ ვზივარ, მოკლედ, პიონერივით, სკოლის მერხზე წელში გამართული და ყელმოღერებული ველოდები ჩემს განაჩენს. რამდენ ხანს გავუძლებ ასე, არ ვიცი, თუ ვინმე ჩავა და გადავინაცვლებ წინ, ხომ გადავრჩები, გამოჩნდება ჰორიზონტი, მგზავრობის ხედი და ავცდები თექვსმეტი კეფის ყურებას, აგერ, მძღოლის გვერდით კარის უკან ზის ერთი ჩასუქებული ქალბატონი, ხელში ერთმანეთში ჩალაგებული ჭუჭყიანი საღებავის ოცდაათლიტრიანი სათლები უჭირავს. ზოგი მუსიკას უსმენს, ზოგი ტელეფონზე საუბრობს, ზოგს სძინავს, მძღოლს კი რუსული შანსონი მოსწონს, თან აუწია ხმამაღალზე და მიაჭირა ფეხი სიჩქარეს, გეგონება, ზაფხული იყოს, მიჰქრის ამ მოყინულ გზაზე. ემჩნევა, რომ მწვანე - გამოუცდელია, მეც, როგორც ყველა ასი პროცენტით ქართველი, ვენდე ბედისწერას - სხვა რა გზა მქონდა. გავიქროლეთ გორი, გავცდით ხაშურს, სურამის გასწვრივ გავჩერდით ერთ ჩაბნელებულ ადგილზე, იქ ორი სამარშრუტო ავტობუსი დავლანდე, მივხვდი, რომ სასადილოდ გავჩერებულვართ.

ხის აივნიან შენობაში შევედით, სამი სანთელი ენთო, ერთი დახლზე და ორიც მძღოლებისათვის საგულდაგულოდ ნაირ-ნაირი საჭმელებით გაწყობილ მაგიდებზე. ისინიც ერთ კერძს შეუკვეთავენ

ხოლმე და ყველაფერი აქვთ ქეიფისთვის, თუ ორნი არიან, ერთმა რამდენიმე ჭიქა შეიძლება გადაკრას კიდეც სიცივის ან ყელის ტკივილის მიზეზით. იქვე ღუმელი უდგათ, რომ არ შესცივდეთ, დიახ, დიდი ხალხია, მათ ხომ კლიენტები მიჰყავთ, მაგრამ კლიენტებს მაინც და მაინც არ სწყალობს მომსახურება.

მივედი დახლთან, „ბუფეტჩიკმა“ შემომხედა - რა გინდა გენაცვალე? მოვითხოვე მჭადი, ყველი და ჩაი. მართლაც, ოპერატიულად მომიტანეს, მაგრამ ჩაი დაავიწყდათ, ამიტომ შევახსენე „გენცვალეს“ შეწუხებული სახით ხმამაღლა - სად არის ჩაი, შემოგევლე!? დაფაცურდნენ - ახლავე! როგორ გამოგვრჩაო და სასწრაფოდ მოარბენინეს, მოიტანეს შაქარიც და კოვზიც.

წავიხემსე გემრიელად, დავიწყე საპირფარეშოს ძებნა სიბნელეში. გზის მხარეს დავინახე შენობა, მარცხნივ რუსული М აწერია, მარჯვნივ Ж, შუაში პატარა ჯიხურია პატარა სარკმლით და მრგვალი ქალი ზის შიგნით. მივედი ახლოს, თან ვფიქრობ:

- შუქი არ არის, ყინვაა, არ გამიცურდეს ფეხი, არ მოვადინო ტუალეტში ზღართანი, რომელი სუფთა და დაწკრიალებულია. მესმის ხმა ჯიხურიდან:

- 30 თეთრი!

- რაში ქალბატონო?

- რაში და კინოთეატრი რომ იყოს, 5 ლარს გამოგართმევდი, ტუალეტია, ბატონო!

- მე კი ფულს მოგცემთ, მარა ვინ გამინათებს, სადმე რომ არ ჩავვარდე? - გამეღიმა, ცოტა დაიბნა და მკვახედ მომახალა:

- დენი არ არის!

- სანთელი მაინც დადგი, ფულს რომ ითხოვ! ეს საუბარი მძიმედ დამთავრდებოდა ჩემთვის, ალბათ, გადამარჩინა უფულოდ გაპარულმა კლიენტმა. ამ პუსკუნა ქალმა უცებ ისკუპა სკამიდან, გადმოეკიდა კორსეტივით შემოჭერილი პატარა სარკმლიდან ხელებით რაფაზე დაყრდნობილი და მთელი ხმით დასჭყივლა:

- ჩქარა გადაიხადე!, თანაც ყვირილის დროს ჰაერში ჩამოკიდებულ მოკლე ფეხებს აქნევდა. გაგვისკდა ყველას გული, მაგრამ გამვლელ მამაკაცს შიშისაგან შეეკრა სუნთქვა და კინაღამ წაიქცა, აღარც ტუალეტში უნდოდა, აღარც ხაჭაპური, რომელიც შეკვეთილი ჰქონდა. რის ვაივაგლახით მოვიარეთ უშუქო საპირფარეშო, გამოსვლისას აღმოჩნდა, რომ წყალიც არ მოდიოდა, თოვლი კი ბარდნიდა უხვად, ასე რომ, მომიწია თოვლით ხელ-პირის დაბანა,

საუბარიც აღარ ღირდა ამ თემაზე. ცხელ გულზე შეიძლება რაიმე მოეწია ჩვენთვის პუტკუნა ქალბატონს, მაგალითად: ვეცემეთ, ძაღლები მოექსია, რომლებიც იქვე დაბმული ჰყავდა, ან სულაც თოფი ესროლა. საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ, თუ განვითარებულ ევროპულ ქვეყნებში კლიენტი ყოველთვის მართალია, ჩვენთან, საქართველოში, კლიენტი დამნაშავეა, პატიმარია, ბრმაა, ოხერია, ტიალაა, ჯანდაბა და დოზანაა!!!

ასე, „დადებითად“ დამუხტულებმა გავაგრძელეთ გზა, გავცდით გვირაბს და ნელა-ნელა გავუყევით იმერეთის დაკლაკნილ თოვლიან დაღმართს, ჩემ წინ ორი ქუთაისელი მამაკაცი საუბრობს:

- ხომ, მართლა, შენ საღორიელი ზურია ხომ გახსოვს?

- კი! გაგაიას კლასში რომ იყო და ტანკსარემონტო ქარხანა რო დაშლა, ჯართით ფული რო იშოვა, არა?

- ხო, ხო!

- ეგ გასიებული, ლომპასის კამფეტს რო მიუგავს თავი, არა?

- აა, მაგაზე უნდა მოგიყვე ბიჭო; მაგას თმის ცვენა შუბლიდან დეეწყო, ჯერ იყო და აქეთ იქედან ივარცხნიდა, მერე უკნიდან წამეიღო ტალავერი და წინ იმაგრებდა ორმაგი სკოჩით, მერე ეგეც რო გაცვივდა, პარიკს ატარებდა, (იცინის) - თურმე მისულა კუზანოვთან, აი, ოპერაციებს რო აკეთებს, ხო და უთქვია, თმები გადამინერგეო, კუზანოვმა კიდო დონორი გჭირდება, ამდენი თმის ამოღება გვერდებიდან ვერ მოხერხდებაო, ზურია გადეირია, სხვისი არაფერი მჭირდება, რაც ეყოფა, ეყოფა, რაც არა და აგერ, მკერდიდან წეიღეთო, უთქვამს, მოკლედ, ზურია დააძინეს, ნახევარი შეუვსეს გვერდებიდან ნახევარი კიდო კუზანოვს არ მოწონებია მკერდზე რო ხალიჩაა, იმის ხარისხი და ქე, რო მის ქვემოთ პატარა ხალიჩაა, იმით შეუვსია დანარჩენი.

- მერე?

- რა მერე, ოპერაციის მერე სარკის წინ მეიძრო ბანდი თავიდან და რას ხედავს, ხუჭუჭა ზურია იყურება იქედან — გადეირია, დალეწა იქავრობა, გასაკავებელი გახდა, მარა ხელი ქონია ყველაფერზე მოწერილი, ვერაფერს გახდა! დადის ეხლა მოწყენილი, - აუწია მძღოლმა შანსონებს და აღარ მესმოდა მათი საუბარი.

ერთი კაცი ზესტაფონში ჩამოვიდა, ქუთაისთან არ მისული, სოფელ სიმონეთში, „სიმონეთის ტეკთან“ გაჩერდა მანქანა, პუსკუნა ქალბატონი ჩასვლას აპირებდა, მოვემზადე წინ გადასასვლელად,

ჩემ გარდა ბევრი მოემზადა, ალბათ, ვერ მოვასწრებდი, მაგრამ შემთხვევამ მიშველა, ქალმა მძღოლს უთხრა:

- ამ ვედროებს რაღა ვუყო? ამ დროს ხმამაღლა განწირული ხმით დავუძახე:

- ქალბატონო! ეგ „ვედროები“ მე მანდეთ, მე მოვუვლი და დავეტაკე სათლებს, გამოვართვი, გაკვირვებული ქალი მიყურებდა, ვერ გაეგო, რა ხდებოდა, მადლობა თქვა და ჩავიდა.

მე კიდევ ჩახუტებული სათლებით, ბედნიერი აღარავინ მეფარებოდა წინ, მივუყვებოდი გზას დათოვლილ გაყინულ ულამაზეს გზას, აგერ, შევედით ახლადაშენებულ ავტობანზე, გადავუხვიეთ მარჯვნივ ქუთაისის მიმართულებით აღმართზე და რას ვხედავ, გაჩერებულია მოძრაობა, საკმაო სიჩქარით მოძრავმა მარშუტკის მძღოლმა მეოთხედან გადმორთო მეორეში, მანქანა მოცურდა, გაასწორა, მერე მუხრუჭი შეაშველა, მარცხნივ წაიღო, მერე ხელის მუხრუჭი ამოსწია, ახლა გვერდი იცვალა მანქანამ და სრიალ-სრიალით მივცურდით მეორე „მარშუტკის“ საბარგულამდე, სულ რამდენიმე სანტიმეტრი დააკლდა დაჯახებას, გაჩერდა, ყველამ ამოვისუნთქეთ. დაძაბულობის გამო ისე მქონდა ჩაბღუჯული პლასტმასის სათლები, რომ კინაღამ შემომემსხვრა, ერთმა უკანიდან ხელიც კი დაარტყა მძღოლს მხარზე:

- ყოჩაღ!, მაგრამ ამ დროს წინა „მარშუტკა“ დაიძრა, ავიდა აღმართზე, დაცურდა და დაგვეჯახა! მძღოლები შეხვდნენ ერთმანეთს, სწრაფად დაილაპარაკეს:

- შენ დამეჯახე, ძმაო, - უთხრა ჩვენმა ძღოლმა!



მხატვარი - ზვიად ბერიძე

- ეგ პატრულს აუხსენი, ძმაო, რომ მე შენ დაგეჯახე და არა შენ მე! ისიც უთხარი, დისტანცია როგორ გქონდა დაცული!, პატრულის ჯარიმის სანაცვლოდ გააკეთე რა, ერთი კაპოტი არ არი!? და უცბად დაიშალნენ.

მივაწექით, პირველი „მარშუტკა“ რის ვაი-ვაგლახით გავუშვით, იმ გაცვეთილი საბურავებით როგორ დადიოდა, არ ვიცი, შემდეგ ჩვენიც ავიყვანეთ აღმართზე და გავუყევით მამაქალაქის გზას. ლამაზი სანახავი იყო დათოვლილი ღამის ქუთაისი, თეთრად გადაპენტილი, მსხვილი და ხშირი ფანტელი მოფარფატებდა ციდან, თეთრი ქურქით შეფერილი ხეები, ირგვლივ სიწყნარე სუფევდა, აქა-იქ მოძრაობდა მანქანა, გარეთ გამოსულს ვერავის ნახავდით. გავჩერდით სადგურის გასწვრივ გაჩერებაზე, მწეველი ხალხი ჩამოვიდა, გაუკიდეს სიგარეტს და თამამად გააბოლეს. ვედროები საგულდაგულოდ ფრთხილად დავდე მძღოლის სკამის გვერდით და ჩამოვედი. მძღოლი გაღუნული კაპოტის გახსნაზე წვალობდა, ორმა კაცმა ძლივს ავხსენით, კაპოტის გარდა შეღუნულიყო გაგრილების სისტემის სამაგრი პანელი, თვითონ გაგრილების სისტემა (რადიატორი) ედებოდა ვინტილიატორს, რომელსაც ფრთები ჰქონდა დამტვრეული. ვუთხარი:

- ასე არ გამოვა, უნდა გამოვწიოთ, გზაში დავრჩებით! დავიწყეთ გამოქაჩვა, ნახევარ საათზე მეტი ვიწვალეთ, არავინ მოგვეხმარა, ამ სიცივეში გადმოსვლას მანქანაში ჯდომა არჩიეს. ბოლოს გამოვიდა, კაპოტიც ცოტა ავღუნეთ, პანელი გამოვწიეთ, გაგრილების სისტემა პლასტმასის ხამუთებით დავამაგრეთ, დაიქოქა, ამოისუნთქა მძღოლმა, ახლა კი წავედით სალაფონოვიჩთანო, დავჯექი, ჩავეხუტე ჩემს გადამრჩენელ ვედროებს, წავედით წინ, უცებ, მანქანამ გადაუხვია მარჯვენა მხარეს ბალახვანისკენ, სადღაც კორპუსებს შორის გავჩერდით, ყველა გაოგნებული ერთმანეთს უყურებდა, მე მივხვდი, რომ ისევ მორიგ ქართულ აბსურდულ სიტუაციაში მოვხვდით და მოვემზადე მოვლენების განვითარებისთვის.

მძღოლმა პატარა ტელეფონი აიღო და დარეკა:

- გოდერძი სალაფონოვიჩ! გოდერძი სალაფონოვიჩ! - იქიდან ჟრიამულის ხმა ისმის, აშკარად სვამენ.

- რომელი ხარ მანდ, ბიჭო!?, გელა ვარ! გელა!

- ვახ, გელა, შემოგევლე, ამოდი, ბიჭო,

- არა, სალაფონოვიჩ, - შეაწყვეტინა, - ამოდი ცოტა ხანი რა იქნება!?

- არ გამოვა სალაფონოვიჩ, ჩემ გარდა თექვსმეტი კაცია, გელოდებით, მალე ჩამოდი. ასე თხოვნით გავიდა ხუთი წუთი, ათი, თხუთმეტი... პირველი ქალებმა დაიწყეს:

- რა არის ამისთანა, რამდენი უნდა ველოდოთ!?

- ვინ არის რომ ველოდებით!?,

- ვინ არის და ჩემი სიმამრია! - ხმამაღლა გამოგვიცხადა ნაწყენმა მძღოლმა და ყველა გააჩუმა, თან დააყოლა, ეს მანქანა ჩემიაო! მიგვანიშნა იმაზე, რომ ჭკვიანად თუ არ იქნებით, ჩამოგსვამთ გზაშიო, აიღო ტელეფონი და დარეკა. სიმამრმა დაასწრო: - სადა ხარ, გელა, რატომ არ ამოხვედი?

- სალაფონოვიჩ ბათუმში მივდივართ, თექვსმეტი კაცი შენ გელოდება, ჩამოდი რა? მართლაც ხუთ წუთში ჩამოვიდა მაღალი, გრძელი თეთრი სახით, სწორი ცხვირით, დიდი ხელის მტევნებით, სიმპატიური შუახნის მამაკაცი, თბილი მუქი ლურჯი ქურთუკი ეცვა, სიგარეტის, თევზის, ლუდისა და არყის სუნად გაპოხილმა ალმაცერად გადმომხედა და დამიდგა წინ. მივხვდი, რომ მის სკამზე ვიჯექი, ეს საპატიო ადგილი მას ეკუთვნოდა, მე კი ხელს ვუშლიდი, ველოდები სიტუაციის განვითარებას, ინტერესი მკლავს, წინ ველრაფერს ვხედავ, ეს აქოთებული სუნიც და გულის რევა მეწყება ნელა-ნელა.

ამ დროს იქვე ახლოს, ბენზინგასამართ სადგურზე შევედით, დიზელის საწვავი ჩავასხით, უკანიდან მოხუცმა კაცმა თავი ველარ შეიკავა და:

- შე დალოცვილიშვილო, ჯერ საწვავი ჩაგესხა, მანამდე ამ კაცისთვის დაგერეკა, დროსაც მოიგებდი, ისიც მალე ჩამოვიდოდა და ჩვენც არ ვიწვალებდით, უჰ! მძღოლი მიხვდა თავის შეცდომას და ხმა არ ამოუღია, მაგრამ ამოიღო ხმა გელას სიმამრმა: - რა მოხდა ამისთანა, ორი წუთი რომ მელოდეთ, დეიქცა ქვეყანა!? ისევ ჩამომეფარა, ქალებს ძალიან ეწყინათ ეს სიტყვები და მკვახედ მიახალეს.

- ვინ ხარ შენ, რომ გელოდოთ, ااا!!

- ვინ ვარ მე და გოდერძი ვარ სალაფონოვიჩი! არ იცით, რომ ქუთეისში ხართ!? გზაში ყაჩაღობა, მაიმუნობა რომ მოხდეს, ვინ დაგიცავთ, მითხარით! ყველა გაჩუმდა, მე კი ისევ გული მერევა. სიჩუმე მე დავარღვიე.

- ყაჩაღებს და მაიმუნებს ბოძზე გავკიდებთ ყვ...ით! შენ არ იდარდო!, - ხო! გაისმა ჩემ უკან, ვიღაც გვერდში დამიდგა, გაპარ-

სული სახითა და „გამაზული“ ფეხსაცმელებით, მოქმედი ან ყოფილი პოლიციელი უნდა ყოფილიყო, უფრო დაცვის პოლიციიდან.

- ვინ ხარ შენ!? რაცხა არ მეცნობი! - ხმამაღლა მითხრა მარადმწვანე ძველმა ბიჭმა.

- ვასილი ვარ ბერიძე! ხმამაღლა ვუპასუხე და თვალებში ჩავხედე.

- ლაშაიეს თუ იცნობ ზუგდიდელს? - არა, თქვა დაუფიქრებლად, - გიაია შონიას? - და გავუღიმე, ცოტა დაფიქრდა.

- არა!, ახლა მოვიღუშე.

- და არც გია კოხიას იცნობ ფოტინსკის!? - ვუთხარი ხმამაღლა, მიყურებდა თვალებში, თვითონაც თვალებს აცეცებდა აქეთ-იქით, გონება დაძაბა, ეძება, მაგრამ ტყუილი მაინც არ თქვა:

- არა!,

- ხოდა, გადადი, თუ ძმა ხარ, უკან თავისუფალი ადგილი როა, იქ დაჯექი, ვუთხარი, თბილად. წყნარად გადავიდა, დაჯდა უკან, იყო ჩუმად და დიდი კითხვის ნიშანი არ მოსცილებია სახიდან. ასე გავხადე ჩემი თანამშრომლები ლაშა ნინუა - ლაშაიედ, გია შონია, მთავარი მებაჟე-ოფიცერი - გიაიად, გია კოხია, ცვლის უფროსი გია ფოტინსკიდ.



მხატვარი - ზვიად ბერიძე

ცოტა ხანში გაჩერდა ჩვენი მანქანა, მძღოლმა გადაწმინდა დათოვლილი ფარები, სათლების პირამიდა გამომართვა, თურმე საბარგულში ადგილი ჰქონია. გავცდით სამტრედიას, რაც უფრო გურიისკენ მივდივართ, მით უფრო შეთხელდა თოვლი, ლანჩხუთის შემდეგ წამოვიდა თოვლჭყაპი და მანქანამ ცოტა უფრო სწრაფად შეძლო სიარული. ავიღე ტელეფონი, დავურეკე კარლო ჩხარჩხალიას, ჩვენი მორიგე მძღოლი იყო იმ დღეს, მკაცრად;

- კარლოია, დამხვდი ოც წუთში გადასახვევთან!

- ვიქნები, - მითხრა. კარლოს გაუკვირდა, რომ არ მოვიკითხე, ტონიც არ მოეწონა, ან ეს კარლოია რაღა იყო? მაგრამ ამ ტრაგიკომედიას კარგი დასასრული სჭირდებოდა. გადასახვევთან ჩამოვედი, ფული გადავიხადე, მადლობა მოვახსენე და დავემშვიდობე ყველას. სალაფონოვიჩი სასწრაფოდ დაიძრა და დაიბრუნა თავისი ადგილი, მე კიდევ თბილად მოვიკითხე კარლო, მისი ოჯახი და საქმე. ღამის ორის ნახევარი გამხდარიყო, სახლში რომ ავედი, მხოლოდ გამდნარი თოვლის წვეთების ხმა ისმოდა რაფაზე.

დილით ათ საათზე სამსახურში ვიყავი და მივდევდი ჩემს ჩვეულ საქმიანობას.

p.s. ასეთი რამ მხოლოდ საქართველოში ხდება, ამიტომაც ვართ გამორჩეული ერი მსოფლიოში, მიყვარხართ ქართველებო!

ბექირ სითქი ქუნთი (1905—1959)

ბეჭედი

ასაფ აქჩილი საბაჟოს თანამშრომელი იყო. ასე ორმოცდაათი, ორმოცდათხუთმეტი წლისა იქნებოდა. დიდი, ზორზოხი კაცი იყო. მეტად უცნაურად და სასაცილოდ იცვამდა. კინკრიხოზე თმა ერთიანად გასცვენოდა. მაგრამ დარჩენილი ხუთი-ათი ღერით, გვერდებიდან რომ ეზრდებოდა, მელოტ თავს გვირგვინივით საგულდაგულოდ იფარავდა. ყოველდღე სუფთად იყო გაპარსული. გახუნებულ წაბლისფერ ჰალსტუხს წლების მანძილზე ატარებდა და ახლით არ ცვლიდა. ყბის ქვეშ იგი კვანძს ჰგავდა და ამ კვანძზე მუდამ ეკეთა ოქროს ქინძისთავი მარკით „ა“. სამოსი — სულ ცოტა ათი წელი გაუხდელად რომ ეცვა, შთაბეჭდილებას კი ახდენდა, როცა ყავისფერი იყო, მაგრამ მერე გახუნდა და ბეჟი ფერისა გახდა — ყოველთვის სუფთად ჰქონდა ჯაგრისით გაწმენდილი, მაგრამ ცუდად — გაუთოებული. კვირისტავებზე შარვალი უკვე დაცრეცოდა და უთოს ხაზი ყოველთვის გვერდზე ისე ეხრებოდა, რომ ადამიანზე ირიბად აჭრილი შარვლის შთაბეჭდილებას ტოვებდა. პიჯაკის ორი ბორტი ღიპის ორი მხრიდან ფეხებისაკენ თავისუფლად ეშვებოდა. ქსოვილი რომ არ გაჭუჭყიანებულიყო, საყელოზე თეთრ ცხვირსახოცს ატარებდა. უზარმაზარ მუცელს ჟილეტი ფარავდა. ჟილეტის ორ ქვედა ჯიბეს შორის ყვითელი უბრალო ლითონის ძეწკვი ეკეთა. მისი ერთი ბოლო ძველ საათზე იყო მიმაგრებული, პატარა გასაღებით რომ იქოქებოდა, მეორე ბოლო კი — მელნით შეღებილ ტყავის ბუდეში ჩადებულ სამსახურის ბეჭედზე. ჟილეტის ეს ორი სავსე ჯიბე უზარმაზარ ღიპზე ჩამომსხდარ ორ ბაყაყს ჰგავდა.

ასაფ აქჩილის სუფთა ხელფასი 35 ლირა იყო. მისი გულმოდგინების, პატიოსნების, უფროსობის კმაყოფილებისა და, ბოლოს და ბოლოს, ამ განყოფილებაში უწყვეტად ოცდასამი წლის განმავლობაში მუშაობის მიუხედავად, ვერ იქნა და ვერც ხელფასი მოემატა და ვერც ჩინი. რატომ, გაუგებარი იყო. ოფიციალურ მიზეზად კადრების ნაკლებობა თუ მიიჩნეოდა... ასაფ აქჩილი, იმის გამო, რომ 35 ლირაზე გაჩერდა და გაიყინა, ცხადია, უკმაყოფილო

დარჩა. მისი ეს უკმაყოფილება განპირობებული იყო არა მხოლოდ იმით, რომ ნივთიერად უჭირდა, პატარა ოჯახი ჰყავდა ან მომჭირნეობას შეეჩვია, არამედ იმ პატივმოყვარეობითაც და ჟინითაც, რომელიც დაწინაურებისადმი ყველა მოხელეს გააჩნია.

ასაფ აქჩილი დაოჯახებული იყო, მაგრამ შვილები არ ჰყავდა. მისი ცოლი, ქალბატონი საფიე, ყველა უშვილო ქალის მსგავსად, თავის ქმარს თან ჰყვებოდა. ასაფი უყვარდა როგორც ქმარი და როგორც შვილი იმ დიდი სიყვარულით, რომელიც შეიძლებოდა თავისი ბავშვების მიმართ განეცადა. მართალია, ცოტა აღზრდისა და ძალაუფლების საკითხი კი იყო, მაგრამ ეს ურთიერთგადახლართული გრძნობებით სავსე სიყვარული, მათ შვილებსაც რომ უნდა რგებოდა წილად, ქალს უპირატესობას აძლევდა. ამ უპირატესობის სანქცია შორს არ უნდა იყოს იმ ვარაუდისაგან, რომ ფათიჰ ნიშანჯაში სახლი, რომელშიც ცხოვრობენ, შეიძლება ქალის საკუთრება გახდეს.

მხატვარი - ნანა ყორანაშილი

ქალბატონი საფიე შინაგან შფოთს შეეპყრო. ეს მღელვარება შვილით, სიმდიდრით, ბედით დაუკმაყოფილებელ ყოველ ადამიანში შეინიშნება, მაგრამ ვერავინ სათანადოდ ვერ განსაზღვრავს, ეს რატომ და როგორ ხდება. ქალბატონ საფიეს უნდოდა, დაეკმაყოფილებინა ის უქონლობა და გაჭირვება, ვერაფრით რომ ვერ დააცხრო, რადგან ნაკლებობას ყოველთვის გრძნობდა და ვერაფერს უხერხებდა. ეს ყველაფერი სისულელეა, მაგრამ მისთვის სულიერი მოთხოვნილებაა. ფუჭია ყველაფერი, რაც უნდა

თქვა და თავიდან ვერ აიცილებ იმას, რაც უნდა გააკეთო...

* * *

ერთ დღეს ასაფ აქჩილმა დავთარი გადაშალა და ანგარიში დაიწყო. ცოტა ხნის შემდეგ კურიერი შემოვიდა და ბატონი უფროსის მოთხოვნა აცნობა. რადგან მოთხოვნებს დღეში ალბათ ათჯერ მაინც იღებდა, ამაშიც უჩვეულო ვერაფერი დაინახა, და როგორც ყოველთვის, თავი ასწია, კალამი სამელნის გვერდით დადო, სათვალე ბუდეში მოათავსა, ცხვირსახოცი ჯიბეში ჩაიდო. მშვიდი, აუღელვებელი ნაბიჯებით უფროსის ოთახისაკენ გაემართა. დაუკაკუნებლად შევიდა.

უფროსი მომღიმარი სახით შეხვდა. ეს შეხვედრა სხვებისაგან განსხვავდებოდა. ასაფ აქჩილი სწორედ რომ ფრთხილად უნდა ყოფილიყო. ამასთან, საქმეს წინდაწინ მიხვედრილიყო, არ დაეყოვნებინა. მღელვარებისაგან სისხლი სახეზე მოაწვა. ბედნიერი და საკმაოდ სულელური გამომეტყველებით გაიღიმა.

— მობრძანდით, ბატონო ასაფ — თავაზიანობა გამოიჩინა უფროსმა — მობრძანდით, დაბრძანდით, ახლა თქვენი ბრძანება მოვიდა. ერთი საფეხურით დაწინაურდით და ამა და ამ თანამდებობაზე დაინიშნეთ. გილოცავთ. ღმერთმა ხელი მოგიმართოთ! ახლავე თქვენს ბრძანებას დავაწერინებ და გაცნობებთ. ასაფ აქჩილმა რამდენჯერმე მადლობა გადაუხადა.

გულს ბაგაბუგი გაჰქონდა. აჰ, ეს დაწინაურების დღეები! მოხელის ცხოვრებაში რა მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს! ეს ერთგვარი დღესასწაულივით თუ ქორწილივითაა. ახლა განყოფილების თანამშრომლები მიულოცავენ, არ შეწყდება წერილები და მისალოცი ბარათები, რომლებსაც შორს მცხოვრები ნაცნობებისაგან მიიღებს... ამ დროს ფარულად, ცხადია, მოშურნეებიც გამოუჩნდებიან, მასავით ტანადიც არ მოიცდის და ისიც, ვინც დააწინაურა. ეს სამყარო უცნაური სამყაროა, მორჩა და გათავდა! არაფერში ისეთი სისწრაფე არ გამოუჩენიათ, როგორც დაწინაურების ბრძანების დაწერაში და მაშინვე ასაფ აქჩილს აცნობეს. მანაც ყველა საქმე, რომელიც კი ხელთ ჰქონდა, სასწრაფოდ თავის ერთ ამხანაგს „გადააბარა“. როცა ჯერი მიდგა სამსახურის ბეჭედზე, რომელიც ჟილეტის მარცხენა ქვედა ჯიბეში ედო, ასაფ აქჩილის ხელი რატომღაც ცოტა მძიმედ ამოძრავდა. ბეჭედი ჩამოკიდებული ძეწკვიდან რომ მოხსნა, გვარიანად შეშფოთდა. ჰაი, გიდი, ბეჭედი!.. განა ცოტა საბუთისათვის დაუსვამს ეს ბეჭედი!.. მის გამო ყველა

დოკუმენტს როგორი ნდობა მოუპოვებია, რა სახელმწიფო საქმეები აუმოქმედებია...

რამაც ასაფ აქჩილს გული დასწყვიტა, იყო ის, რომ ძეწკვიდან მოწყვეტილი ბეჭდის ადგილას სხვას ვერაფერს დაკიდებდა. ახლანდელი სამსახური, უფრო მაღალი კი გახლდათ, მაგრამ მაინც უბეჭდო სამსახური იყო.

შესვენების შემდეგ, როცა შინ დაბრუნდა და ცოლს თავისი დაწინაურების ამბავი ახარა, ასაფ აქჩილს მთელ სხეულში უცნაური უკმარობის განცდა დაეუფლა იმის გამო, რომ ჟილეტის მარცხენა ჯიბე ცარიელი ჰქონდა. მაგრამ ცოლის პირველი სიხარული და პირველი სიამაყე კმაყოფილებას გვრიდა და ამშვიდებდა.

დანაკარგის მიუხედავად თავი მაინც ბედნიერად მიაჩნდა. როცა გულში დაწინაურებაზე ფიქრობდა, იმ დასკვნამდე მიდიოდა, რომ მის ცხოვრებაში ის ნამდვილად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო; ახალ სამსახურში უფლებები გაეზრდებოდა; თითქმის უფროსის რანგს მიაღწევდა; უფრო მაღალი თანამდებობის მისაღებად რადიკალური ნაბიჯები უნდა გადაედგა. კარგი ერთი!.. ჰქონდეს ბეჭედი თუ არ ჰქონდეს...

ღამის პერანგი რომ ჩიცვა, პიჯაკი გაიხადა. ამ დროს ჟილეტზე დამაგრებული ძეწკვის ბოლო, რომელმაც თავისი სიმძიმე დაკარგა, ქვევით თავისუფლად ჩამოეშვა და სივრცეში შეირხა. ასაფ აქჩილს უნდოდა, ეს, როგორც სირცხვილი, თავისი ცოლისათვის დაემალა, მაგრამ წარმატებას ვერ მიაღწია. ქალბატონმა საფიემ ყველაფერი შეამჩნია. წარბი შეიკრა და ჰკითხა:

— ბეჭედს რა უყავი?

ასაფ აქჩილი შეეცადა, რამდენადაც შესაძლებელი იქნებოდა, ბუნებრივად გამოსვლოდა და ისე უპასუხა, თითქოს უმნიშვნელო რამ მომხდარიყო:

— ჰა... ბეჭედი? ისა... ის ბეჭედი, რასაკვირველია, ჩემს ძველ სამსახურს ეკუთვნოდა. საქმეების გადაბარებისას, უთუოდ, ბეჭდიც დავაბრუნე...

ახლა ქალბატონი საფიეს წინაშე მისი ქმარი იმ საწყალი კაცივით უბედური იდგა, რომელმაც ტრამვაის ავარიაში სხეულის ერთი ნაწილი, მკლავი ან ფეხი დაკარგა.

— კი, მაგრამ, მის ნაცვლად სხვას ვერ მოგცემენ? — ჰკითხა განერვიულებულმა ცოლმა.

მოთმინებიდან რომ არ გამოსულიყო, ასაფ აქჩილმა ცოლი დაამშვიდა:

— დიახ, მომცემენ, ბუნებრივია, მაგრამ ჯერ არ ამიღია.

ასაფ აქჩილი გრძნობდა, რომ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, საშინლად ეტკინა გული. მაგრამ მას შეეძლო „ვითარების აუცილებლობა“ განესაზღვრა. რა უნდა ეღონა?! სახელმწიფო ყველა მოხელეს, რასაკვირველია, ბეჭედს ვერ მისცემს. მიდი ახლა და ეს ცოლს გააგებინე.

იმ ღამიდან მოყოლებული ასაფ აქჩილს ყოველი დღე და ყოველი ღამე ლამის შხამად ექცა. ქალბატონი საფიე აღარ იცინოდა. უარესი კი ის იყო, რომ ენას აღარ აჩერებდა. საწყალ კაცს საყვედურებით ავსებდა და გულს უწვრილებდა:

— გატყუილებენ, „დაგაწინაურებთო“, ხელიდან სახელმწიფოს ბეჭედი წაგართვეს. არ უნდა მიგეცა, შენი გაგეტანა. ერთხელ მაინც გეკითხა ჩემთვის რჩევა, არასგზით არ დავთანხმდებოდი. არავის ეკითხება, კაცი! ახლას დარჩი ცარიელ-ტარიელი ერთი უბადრუკი ხელმოწერის ამარა. ასეთ ხელმოწერას უბნის ღამის დარაჯიც მოახერხებს. მთელ ჩვენს სამეზობლოში, სანათესაოში ერთი მე ვიყავი, ვის ქმარსაც ბეჭედი ჰქონდა. მე ამით ვამაყობდი. შენ არ გცოდნია სახელმწიფოს ყადრი, რომელიც ხელში გქონდა. ძველი ვეზირები ერთი ბეჭდისათვის თავს წირავდნენ. უმიზეზოდ, ცხადია, არა... რადგან „ბეჭედი ვისთანაც არის, სოლომონიც ისაა“.

აქამდე სიამტკბილობაში გატარებული მათი ცხოვრება თავდაყირა დადგა. ასაფ აქჩილი დილაობით ალიონზე ქუჩას თავს გაჭირვებით აფარებდა. განყოფილებაში გაღიზიანებული, მოქუშული სახით იჯდა. სახლში საღამოს გვიან ბრუნდებოდა, ძლივს მილასლასებდა, თითქოს მისი სახლი კი არა, საწამებელი ყოფილიყო. ეს რა გაუკეთეს, დააწინაურეს...

საბრალო კაცმა არ იცოდა, რა ეღონა. უკვე მელოტ თავს იმ ხუთი-ათი ღერი თმით, გვერდებიდან რომ ეზრდებოდა, გვირგვინივით აღარ იფარავდა, ყოველდღე პირს სუფთად აღარ იპარსავდა, წაბლისფერ ჰალსტუხზე ოქროს ქინძისთავს აღარ იკეთებდა. ამხანაგები, რომლებიც ხედავდნენ, დღითიდღე როგორ ეშვებოდა, ხდებოდა და დნებოდა, მოიკითხავდნენ ხოლმე:

— კაცო, რა გჭირს, ავადა ხარ? გამოჯანმრთელებას გისურვებ!

ისინიც, მას რომ ვერ იტანდნენ, ზურგს უკან დასცინოდნენ:

— ხარს დაწინაურება არ მოუხდა.

დიას, რა გააკეთეს, რომ დააწინაურეს. ვითარების აუცილებლობა ესაა... სახელმწიფო თავის ყველა მოხელეს განსხვავებულ ბეჭდს ვერ მისცემს. ეს უეჭველია... მაგრამ სიკვდილის შემდეგ ყველაფერს ეშველება. ნეტავ, ამ მდგომარეობიდან გამოსავლის პოვნა თუ შეიძლება? ეჰ, რომ იპოვონ... ასაფ აქჩილი ამისათვის რა გაჭირვებას არ გადაიტანდა...

ის უკვე ყველანაირ შეურაცხყოფაზე, ცივად შეხვედრასა და დაცინვაზე თანახმა იყო. უფროსის ოთახში შევიდა. უამბო, რა და როგორ მოხდა. მან უარი თქვა დაწინაურებაზე და თხოვა, აღედგინათ თავის ძველ თანამდებობაზე, მისთვის მიეცათ ერთი ბეჭედი. როცა ამას ამბობდა, სირცხვილისაგან ჭირის ოფლი ასხამდა, მისი ჩამქრალი ლურჯი თვალები, გულისხმიერებასა და თანაგრძნობას რომ ითხოვდნენ, უფროსის თვალებს კი არა, ოთახის ნივთებს უცქერდნენ.

უფროსი თურმე მიხვედრილი კაცი ყოფილა. ულვაშებში ჩაიცინა. საქმის არსს მაშინვე ჩაწვდა... დაპირდა, რომ ზომებს მიიღებდა. იმ დღესვე ზემდგომთ მისწერა, რომ ამა და ამ განყოფილებას აუცილებლად ესაჭიროება ბეჭედი, საქმეებისათვის ამგვარი ბეჭედია საჭირო.

ბეჭდის საქმე ინსტანციიდან ინსტანციაში რომ გადადიოდა, ნამდვილი და ოფიციალური საჭიროების სახე მიიღო. ერთ დღეს პასუხი მოვიდა იმის შესახებ, რომ ბეჭედი ზარაფხანას შეუკვეთეს და მიღებისთანავე გამოუგზავნიან.

— მაშასადამე, გზა არსებობს, ამდენი რატომღა ვეწამე? — დარდობდა ასაფ აქჩილი, ცოლს ყოველდღე ეფიცებოდა და დღეებს ითვლიდა.

ცოტა ხნის შემდეგ „ბეჭედი“ ნარმის ქისაში ფოსტიდან გამოვიდა, ასაფ აქჩილს სულზე მიუსწრო. ცხადია, ეს ახალთახალი, უხმარი ბეჭედი იყო.

ასაფ აქჩილმა ყვითელი თითბრის ბეჭედი, ოქროსავით კაშკაშა, ყოველი მხრიდან წარწერებით რომ ჰქონდა ამოტვიფრული, ხელისგულზე დაიდო. შეიყვარა, მოეფერა. მერე ჩამოაცვა ძეწკვის ბოლოზე, რომელიც თვეების მანძილზე ცარიელი იყო და ჟილეტის მარცხენა ჯიბეში ფრთხილად ჩაიდო. სახლში რომ დაბრუნდებოდა, ცოლი, ალბათ, სიხარულით ცას ეწეოდა.

ქალბატონ საფიეს მართლაც ძალიან გაუხარდა. სიხარულის ცრემლებიც კი გადმოყარა. თითქოს თავი რაღაც უბედურებას დააღწიეს.

თურქულიდან თარგმნა მარინე შონიამ

მხატვარი - ნანა ყორანაშვილი

„ამაკი“, 2016, 12

ვრთანეს ფაფაზიანი

ვრთანეს ფაფაზიანი დაიბადა 1866 წელს ერევანში. 1868 წელს მშობლებთან ერთად გადავიდა აგულში, სადაც მიიღო დაწყებითი განათლება, სწავლობდა თავრიზის სკოლაში 1875-1878 წლებში. დაამთავრა ეჩმიაძინის გევორქიანის სასულიერო სემინარია 1878-1879 წლებში. 1894 წელს კი დაამთავრა ლიტერატურისა და სოციალურ მეცნიერებათა უნივერსიტეტი ჟენევაში.

ვრთანეს ფაფაზიანი იყო მწერალი, კრიტიკოსი, რედაქტორი, და მთარგმნელი. მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდა მასწავლებლად ვანში, თბილისში, ბუქარესტში და სხვა. იგი იყო გაზეთების „ბრძოლის“, „კვალის“, ყარაბაღის“ რედაქტორი.

ვრთანეს ფაფაზიანი გარდაიცვალა 1920 წლის 26 აპრილს. დაკრძალულია ერევნის კომიტასის სახელობის პანთეონში.

ერთი კვირა ხეზე

წარმოიდგინეთ, მთელი ერთი კვირა დავბინავდი თუთის ხეზე.

იმ დროს, როგორც ვიხსენებ, დაახლოებით 15 წლის ვიქნებოდი. საკმაოდ მოზრდილი ვიყავი, ერთი კვირა თუთის ხეზე გავატარე. არ მახსოვს, რა მძიმე დანაშაული ჩავიდინე სახლში, რომ მამაჩემი მოვიდა თუ არა, მაშინვე დამსაჯა; ამიტომ გადავწყვიტე დამალვა. ამოვირჩიე ჩვენი სახლის წინ მდგარი დიდი თუთის ხე.

დედაჩემისა ძალიან არ მეშინოდა. ავიტანე ლეიბი, ბალიში, გავშალე ხეზე მოხერხებულად და მოვიწყვე დასაწოლი ადგილი. ჩუმად შევიპარე სახლში, ავიღე წყალი, პური, ყველი და ისევ ავედი ხეზე.

შუადღისას მამაჩემი სახლში დაბრუნდა. დამიწყო ძებნა, რომ დავესაჯე, მაგრამ აჩვენეს ხე, სადაც მოკალათებული ვიყავი. მან სიცილი ძლივს შეიკავა.

კარგი, იყავი, – ამომძახა მან, – დარჩი მანდ და დავინახავ, ბოლოს ვინ ინანებს.

... და დავრჩი იქ.

გაუნძრევლად ვიჯექი ერთ ადგილას, როგორც მილურსმული, ბავშვი, რომელიც მთელი დღის განმავლობაში დარბოდა, დახტოდა ქუჩაში, ადიოდა სახლებზე, დაძვრებოდა სხვის ბაღებში, ახლა კი, წარმოიდგინეთ, თუ რამდენად აუტანელი იყო მისთვის იქ ჯდომა.

მართალია, სკოლაში გაკვეთილის დროსაც ვიჯექი ჩუმად, მაგრამ ხელში გასართობი მუდამ მქონდა. წიგნის ფურცლებისაგან მერხის ქვეშ ჩუმად ვაკეთებდი ჩიტებს, ნავებს და ასე ვერთობოდი, ხან გავიცინებდი, ხან ამხანაგს გადავულაპარაკებდი, ვუბწკენდი და ასე გადიოდა დრო.

ხოლო აქ, ტოტებში გაჭედილი, მარტო, ყველანაირი თამაშის, გართობის გარეშე, ზოგჯერაც მზისაგან გახურებული, შეწუხებული ვიჯექი ერთ ადგილას გაუნძრევლად.

დიახ, უფლება ჰქონდა მამას, რომ დავესაჯე. არ იყო გასული 2 საათიც, რომ იმავეს ვაკეთებდი,ცქედს არ ვიხრიდი, ბოდიში მომეხადა ან პატიება მეთხოვა.

ძალიან მომწყინდა, დავიწყე ტოტების მტვრევა და ძირს ჩაყრა; ხან ვუყურებდი ჩიტების მოძრაობებს და ცოტა ხნით გავერთე, მაგრამ ეს ჩემთვის ძალიან ცოტა იყო, ყოფნა აუტანელი შეიქმნა. ვიფიქრე დავიძინებ მეთქი, მაგრამ ვერ შევძელი, ნეკნები მტკიოდა, მოუსვენრად ვგრძნობდი თავს.

მოვინდომე ძირს ჩასვლა, მინდოდა, ცოტა გამერბინა, ამომეძრავებინა ხელ-ფეხი, გავსწორებულიყავი წელში, მაგრამ მამაჩემი, ფანჯარასთან მჯდომი, მე მათვალიერებდა და თან წიგს კითხულობდა.

ოჰ! რა ტანჯვა იყო, წარმოდგენა არ შეგიძლიათ.

კითხვა... უცბად გამიელვა გულში. აი, მამას შეუძლია ერთ ადგილას საათობით იჯდეს გაუნძრევლად და კითხულობდეს, იქნებ მეც შევძლებდი? ახ, ერთი საინტრესო წიგნი მქონოდა, გამიჩნდა ინტერესი.

საღამომდე ასე ვიტანჯებოდი; როდესაც მამაჩემი რაღაც საქმისთვის გარეთ გავიდა, მაშინვე ჩამოვედი ძირს.

პირველ რიგში გავიარ-გამოვიარე, და-ძმები გავაბრაზე, შემდეგ ცოტა რამ შევჭამე, რაც დარჩენილიყო საჭმლიდან, არ მოვუსმინე დედის თხოვნასა და დარიგებებს, კვლავ ავედი ჩემს ხეზე.

დაღამდა, ჩამოვედი და დავჯექი ეზოში. როდესაც მამაჩემმა დაიძინა, ჩუმად გამოვიდა დედაჩემი და შემიყვანა სახლში დასაძინებლად.

***

მეორე დილით მამაჩემს ადრე გაეღვიძა, დამინახა ლოგინში, მაგრამ უხმოდ გავიდა გარეთ.

გავიღვიძე თუ არა, ვჩქარობდი, სანამ მამაჩემი დაბრუნდებოდა სახლში, ავსულიყავი ჩემს ხეზე.

შევიპარე მამაჩემის ბიბლიოთეკაში და ამოვარჩიე ერთი დიდი წიგნი. 1-2 გვერდი გადავიკითხე. მივხვდი, რომ მსოფლიო ისტორიის შესახებ იყო. ავიღე და გარეთ გამოვვარდი...

პატარა ასოებით დაწერილი წიგნი გამოდგა, მაგრამ გასაგები ენით დაწერილი საინტერესო ისტორია იყო.

„სოსი და ვართითერი“ – წავიკითხე ყდაზე.

ჩვენი ცნობილი სომეხი მწერლის პროშიანის დაწერილი რომანი იყო. სოფლის ცხოვრება იყო დაწვრილებით აღწერილი, ჩვენი ენის შესახებ, ერთი სიტყვით, საინტერესო.

დიდი გატაცებით დავიწყე კითხვა.

წავიკითხე რამდენიმე გვერდი. არ ვიცოდი, რა დრო გავიდა. როდესაც მამაჩემი სახლში დაბრუნდა, დავინახე, დედაჩემმა სამზარეულოდან საჭმელი სახლში შეიტანა.

თურმე, შუადღე იყო. ჩამოვედი, სამზარეულოში შევედი. დედაჩემმა საჭმელი მომიტანა, შემდეგ ისევ ხეზე ავედი და გავაგრძელე კითხვა.

უცბად ვიგრძენი, რომ ქვემოდან მიყურებდნენ. დავიხარე და დავინახე მამაჩემი. ჩვენი მზერა ერთმანეთს შეხვდა.

– მანდ რას აკეთებ? – მკითხა მან ჩუმად.

– ვკითხულობ, მამა.

–კითხულობ? – გაუკვირდა მას, – გაკვეთილებს ამზადებ?

– არა, სხვა წიგნია.

– საიდან?

– შენი წიგნებიდან.

– რა წიგნია?

– „სოსი და ვართითერი“.

– მართლა? ... შენ თვითონ აარჩიე?

– დიახ.

– აი, ეს მესმის.

ერთ წუთს ჩუმად იყო, შემდეგ გაიცინა, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა ეზოს კარისკენ და თქვა:

–მაგნაირი წიგნის წაკითხვა დაბლაც შეგეძლო... მაგრამ არა უშავს, წაიკითხე...

როდესაც გარეთ გადიოდა, მობრუნდა და დაამატა:

– მე შენ სხვა წიგნს მოგცემ, უფრო საინტერესოს, როდესაც დაასრულებ.

***

ერთი კვირით ხეზე ცხოვრებამ იმდენი სარგებელი მომიტანა, რაც არ მოუცია ჩემთვის ზაფხულის მთელ თვეებს, თამაშსა და ცელქობაში რომ ვატარებდი მთელ დროს. უცოდინარი ვრჩებოდი და ვფიქრობდი, სკოლა ისეც მიმძიმებს თავს, ახლა მაინც გავერთო - მეთქი. ვფიქრობდი, რომ ცოდნის მისაღებად სკოლაც საკმარისი იყო.

ვცდებოდი.

იმ დღიდან, როდესაც მე თვითონ დავიწყე კითხვა, შვიდი დღის განმავლობაში, ხეზე ყოფნისას, 3-4 წიგნი წავიკითხე და იმ დღიდან ცხოვრებას სულ სხვა თვალით შევხედე.

ახლა საგნებს სხვა მნიშვნელობა აქვთ ჩემთვის. იქ რაც ვისწავლე, ვთვლიდი, რომ გასულ წლებში ცხოვრება ვერ გამოვიყენე.

ხეზე ჩემთვის ბევრი რამე ნათელი გახდა. როდესაც ჩამოვედი იქიდან, ის ყმაწვილი აღარ ვიყავი, რომელიც მხოლოდ თამაშობდა, დარბოდა ტყუილად, ფიქრობდა მხოლოდ ჭამაზე, სმაზე, გართობაზე და თავისი სიცელქით აწუხებდა გარშემომყოფებს.

***

ერთ დღეს შუადღისას შევიპარე სამზარეულოში. მომშივდა, ვფიქრობდი, სანამ მამაჩემი დაბრუნდებოდა, რაღაცას შევჭამდი და ავიდოდი ჩემს ხეზე, მაგრამ ამ დროს კარი გაიღო და მამაჩემი შემოვიდა, კართან გავქვავდი, შემეშინდა. – გავიქეცი მეორე ოთახის კართან და დავიმალე კარის უკან.

მამაჩემს გადაწყვეტილი ჰქონდა ჩემი დაჭერა. მოუახლოვდა კარს და მოაწვა.

– გააღე, – მითხრა მან, – ახლა სად გაიქცევი? ხმა ვერ ამოვიღე სირცხვილისაგან, შიშისაგან, გაოგნებისაგან. დამუნჯებული ვიყავი.

– შენ კარს არ მიღებ? – დამიყვირა მამაჩემმა, – კარგი. ახლა კარს გასაღებით ჩაგიკეტავ და დაგინახავ, როგორ იცხოვრებ მანდ.

და შეუდგა ნათქვამის შესრულებას. ჩგავიგე თუუ არა გასაღების ხმა:

– მამა! – დავუძახე შიგნიდან.

– რა არის? – მიპასუხა მან.

– ტყუილად კეტავ, – მე გარეთ გამოვალ!

– გარეთ გამოხვალ?

– დიახ.

– დასჯის არ გეშინია?

– არა, შენ მე არ დამსჯი.

– არ დაგსჯი? – გაუკვირდა მამას, – როგორ?

– დიახ, არ დამსჯი, ვინაიდან მე მოვინანიე ჩემი სისულელეები და ახლა პატიებას ვითხოვ. მან კარი გააღო, მეც გავაღე და ზღურბლზე დავდექი.

შემომხედა სახეზე, მიყურა დიდხანს, შემდეგ ერთი ნაბიჯი უკან გადადგა და მითხრა:

– მაშასადამე...

– მაპატიე მამა, ამის შემდეგ აღარ ვიცელქებ, სისულელეებს აღარ გავაკეთებ.

– კარგი, – მითხრა მან ღიმილით, – მართლა?

– მართლა.

– მჯერა. წიგნი დაამთავრე?

– ჯერ არა.

– კარგი. შენთვის ერთი ახალი წიგნი მოვიტანე, როდესაც მაგ წიგნს დაამთავრებ, ეს წაიკითხე... ახლა კი წადი, დაიბანე და საჭმელი მიირთვი...

დედაჩემი გახარებული და ცოტა არ იყოს, გაკვირვებული იყო, რომ აღარ მსჯიდნენ, ხელი ჩამკიდა და წამიყვანა სამზარეულოში.

მამაჩემმა ოთახისაკენ გასწია.

– მომისმინე, – გამომძახა ოთახიდან, – კითხვის დროს ბიბლიოთეკაში შედი და კარი დახურე, რომ ხელი არავინ შეგიშალოს.

***

აი, ასე იყო, როდესაც ხეზე ბავშვი ავედი და იქიდან კი ჭაბუკი ჩამოვედი.

სომხურიდან თარგმნა
მარიამ ბალასანიანმა - გოგნაძემ

ზაირა კელოშვილი

ვინ იქნება გმირი ჩვენში

ვაჰმე, ისევ არ გამოცხვა
ობლად შთენილ ბალღის კვერი,
დედა სარჩოს გარეთ ეძებს,
ბალღებს უდგათ თვალში ცრემლი.
ვაჰმე... მწარედ დამიობლდა
ზარზმა, ვარძია და თმოგვი,
მეჩქარება, გზა კი არ სჩანს,
ველარ უძლებს გული ლოდინს.
არ ყოფილა შესარგები,
გზა-ლოდინი დამქანცველი,
ვინ თქვა, გვიან გამოცხვაო,
ობლად შთენილ ბალღის კვერი.
როგორც უწინ, ახლაც ისე,
შინ მოიწევს ურდო-მტერი,
დღეს მსოფლიო რუკაზეა
ქართველების ბრძოლის ველი.
ერთ დროს შეკრულ ისრის კონას
შეხსნილი აქვს სარტყელ-ღვედი,
სულ მაწვალებს ერთი კითხვა -
ვინ იქნება გმირი ჩვენში.

მეტოქეც მისებრი ჰყვარებია

მრევლი განგაშის მომლოდინე,
რხევა სამრეკლოს ზართა,
გზა ფიანდაზად დაგებული,
მეგზური სამოთხის კართან.
სიკვდილს არ უყვარსო ჩატირება,
სიკვდილს არ უყვარსო განცდა,
გლოვა-ცრემლისღვრა უსაშველო,
თუკი მის კანონებს გასცდა.
არც კაცი უყვარს უმადური,
თუკი დარდისგან გატყდა,
უყვარს ვაჟკაცი და ჭირთამთმენი,
ვინც გამოიგლოვა რა ხან.
ვინც ჭირი ლხინით დაამარცხა,
დაჭიმა სიმები მთათა,
მეტოქეც მისებრი ჰყვარებია,
მლოცველი მაცხოვრის ხატთან.
სიკვდილს არ უყვარსო ჩატირება,
სიკვდილს არ უყვარსო განცდა.

ქვაბული....

კეთროვანივით შევაფარე თავი ქვაბულებს,
„დრო უნდობარი“ მიდის.. უკან აღარ ბრუნდება,
„ცაზე მუხუდო“ ვერ დავთესე შენთვის, მამულო,
ვერც შენთან ერთად ვიზეიმე სულის პურობა.
აკროპოლისი გადმომცქერის სევდამორეულს,
ვხედავ, მზე ზღვაში როგორ ჩადის, როგორ ხუნდება.
ახლა უცხოა ყველაფერი და ყოველივე,
მეზობელივით გამემიჯნა დედაბუნება,
„ცაზე მუხუდო ვერ დავთესე შენთვის, მამულო,
ვერც შენთან ერთად ვიზეიმე სულის პურობა.

განვერიდე

მრუმე ღამე „ძუ მგელივით“ მეპარება,
მე კი ვხატავ საფარას და ყინწვისს,
სულის სარკმელს ჩემივ ჩრდილი მოსდებია,
ლიცლიცებს და სანთელივით იწვის.
შენ კი?! შენ კი, მაშინ განიძარცვე,
სულის საყდარს განერიდე როცა,
მაშინ, მაშინ მე კი უფალს ვთხოვე,
კიდევ ერთი ამბორი და კოცნა.
მერე თავად წამოვედი,
თვით სიცოცხლე ვანაცვალე სიკვდილს,
რადგან მზესაც განვერიდე
და გავტეხე უშენობის ფიცი.
მრუმე ღამე „ძუ მგელივით“ მეპარება,
მე კი ვხატავ საფარას და ყინწვისს,

***

მოდი, გადავსეროთ გზები,
უწინ ქარები რომ ქროდა,
ავიდეთ, დავლაშქროთ მთები,
ცამდე ავამაღლოთ ოდა.
სანამ ხელისგულზე მოთოვს,
სანამ იტყვიან, რომ „ცხონდა“
მოდი, ვახმაუროთ სახლი,
მოდი, ავაშენოთ ოდა.
უნდა ვიოცნებოთ მაინც,
სიბერე გვეწვიოს თუნდაც,
ბნელში მოციმციმე სანთელს,
ხელი შევაშველოთ უნდა,
გმართებს, შემაშველო ხელი,
გავიტანოთ ხნული ჰო..და...
მოდი, ვიგალობოთ ქნარით,
მოდი, ავაშენოთ ოდა.

გზა სიმწიფეში

კაცმა არ იცის, სად მთავრდება ან სად იწყება,
გზა სიმწიფეში სიყვარულით გასათელავი,
მაგრამ ერთია, გადახვევა თუკი ისურვე,
გაიფანტები შემოდგომის ფოთოლცვენაში.
ზურგს შეგაქცევენ ოცნებები მზისკენ მზირალნი,
საათის ისარს დრო გადახრის უმისამართოდ,
ამიტირდება წრფელი გული ყოვლისმომცველი,
მარტოს შემრჩება გრძნობა სუფთა, გრძნობა უბადლო.
ლაბირინთებში ჩარჩენილსაც მესურვილები,
წარმოსახვაში ავაგორებ მთვარის ნათებას,
უსასრულობას მოვინატრებ ამ სილამაზის,
დაველოდები მზის და დილის აკაშკაშებას.

ჩვენ

მე მივდიოდი ზათქით და ცრემლით,
ეს გული შენთან მრჩებოდა, დედი,
და ნუ გაწუხებს და ნუ გადარდებს
უიღბლო შვილის ხვედრი და ბედი.
ამიტომ, ალბათ, აღარც კი ვჩქარობ,
ჩემი საგულე სავსეა ცრემლით,
დედი! ჩვენ უკვე გავითავისეთ
ბედკრულ ეპოქის მოძღვნილი ხვედრი.

სეკუნდანტის განაჩენი

ახლა საათი გდია ქვიშაზე,
თვალი ჰორიზონტს მიჰყვება სადღაც,
დრო უჩვეულოდ მიიზლაზნება,
აღარ მჭირდება ძოწი და ფარჩა,
ახლა ქარიშხალს ავყვები ცამდე,
ის დამასახლებს ღრუბლებზე მაღლა,
პლანეტებს უნდა ჩავუჯდე ნავში,
რაც არი, არი, ცოტა დრო დამრჩა
ვნახო, თუ როგორ გრგვინავენ ცაზე,
მრავალტანჯული ჩვენი სულები,
ანდა, თუ ადგათ მწველი მზის სხივი,
თუ ამოქარეს გრძნობით გულები.
ერთი ვარ, გინდათ?! ასი ათასი,
ან უთვალავი როგორც ზღვის ქვიშა,
მაგრამ ერთია წუთისოფელი,
ჩემთვის უძირო აკლდამად იქცა.
გაფანტულ ფიქრებს თავს ერთად ვუყრი,
თუმცა გვიანი როდია ახლა,
ეს სიმარტოვე ოხერ-ტიალი,
ყველა საწადელს თავისით გასცდა.
ომი წავაგე საკუთარ თავთან
და ბრძოლის ველზე დავრჩი მარტოკა,
ახლა დუელი თუ გადამარჩენს,
თუ არ იქნება ისიც გართობა.
ახლა საათი გდია ქვიშაზე,
სეკუნდანტს აქაც დააგვიანდა,
ცა, დედამიწა, დრო და მანძილი,
სუყველა ერთად დადარდიანდა.
ახლა დროს უნდა ჩავუჯდე ნავში,
გზადაგზა იქნებ შტორმიც ვიგემო,
რომ აღარასდროს, რომ აღარასდროს
ამ მუხანათ დროს აღარ მივენდო.
ვრჩები მეწილე ცა დედამიწის,
ლოდინად მიღირს ახლა წამება,
მხოლოდ თქვენ გამო აღარ ვინანებ,
საკუთარ თავთან ომის წაგებას.

***

დღეები დარჩა ფერთა გამაში,
დარჩა დღეები ალუბლის ხეზე,
ჩვენ ჩავიარეთ სხვადასხვა გზებით
და არ ვფიქრობდით ხვალინდელ დღეზე.
მოცელილ ბალახს ვესაუბრები,
ისიც მიამბობს შენზე და ჩემზე,
ო... რა ძნელია, ო... რა ძნელია,
რომ არ ვფიქრობდით არცერთი ბედზე.
ახლა სინანულს ღიმილი ახლავს,
ახლა ზამთარი შემოდგა მთებში,
ახლა თვალებში, ახლა გულზე და...
თოვს, გამეტებით მოთოვა თმებშიც.

მარინა ყიფიანი

სიცოცხლეს ვაღმერთებ...

სიცოცხლეს ვაღმერთებ - ღმერთისგან ნაჩუქარს,
მზის სითბოს ფანჯრიდან სხივებად შემოჭრილს,
მე ღმერთმა მუზასთან ჭიდილი მაჩუქა,
წლებს რომ მიხალისებს დარდისგან შემოცრილს.
იმ დღეებს ვაღმერთებ, იმ წუთებს, იმ წამებს,
როცა მაგრძნობინა პირველად დედობა,
უფალო, მე შენი ხატება ვიწამე,
მადლობა მათ, ვისაც ვუყვარვარ, მენდობა.
იმ გრძნობას ვაღმერთებ, სუფთას და ანკარას,
სამყაროს ერთ ციცქნა მუჭში რომ დაგატევს,
იმ თვალებს, რომელმაც ვერასდროს დამღალა,
სითბოს და სიყვარულს ძარღვებში დანატევს.
მეგობარს ვაღმერთებ - გზად ხიდად გადებულს,
გულს რომ ამოიღებს და ფეთქვად ჩაგიდგამს,
სიკეთეს ვაღმერთებ - დიდ ქვაზე დადებულს,
მეგობრის უბეში ფესვებს რომ გაიდგამს.
იმ ვაჟკაცს ვაღმერთებ, სიყვარულს რომ ეტრფის,
ხმამაღლა ყვირილით რომ შეძრავს სამყაროს,
„მიყვარხარს“ თვალებზე ცრემლები რომ ერთვის,
ღმერთო, ამ გრძნობებთან არასდროს გამყარო.
ყოველი თენების წუთები მახარებს.

09.12.2016

ცივი ზამთარი ბილიკებზე წამომეწია...

დღეები დღეებს მიჰყვებიან ჩუმი ნაბიჯით,
ცივი ზამთარი ბილიკებზე წამომეწია
და მაინც დღემდე შენზე ფიქრებს, გული არ იშლის,
მოგვიანებით ცეცხლის ალად შემომეჩვია.
შემომიძახა, მარტო არ ხარ, შენთან მიგულე,
სულს ჭრილობებზე მკურნალ წამლად დავეფინები,
გულში იმედებს, ნაოცნებებს მე დაგიბრუნებ,
ზურგი მაქციე, თუ სიცოცხლედ არ ვეღირები.
რაა, უჩემოდ შენი ყოფა, რაა, სიცოცხლე,
სუნთქვა ვარ შენი, გულის ფეთქვა, სულის ჩურჩული,
უფეროდ გამქრალ ყველა ნატვრას გამოგიცოცხლებ,
მხოლოდ შენს გულში მიმიჩინე ერთი კუნჭული.
სიყვარულისთვის არ არსებობს დრო და მანძილი,
ნამდვილ სიყვარულს დავიწყება არ უწერია,
ვისაც ამ გრძნობით ღამეები არ აქვს გავლილი,
ყველაზე მეტად საკუთარი თავის მტერია.

შენ რას განიცდი მაშინ, მამულო...

როცა სამშობლოს ტოვებს ქართველი,
შენ რას განიცდი მაშინ, მამულო,
რით გაგიქარვო დარდი, ნაღველი,
ძმათა ღალატით გულდატანჯულო.
როცა ცრემლებით ჩანთას ამზადებს,
შესაჩერებლად არ შეგწევს ძალა,
უკან მოხედვის შიში ადარდებს
და გაჭირვებას გაქცევით სძალავს.
იცი, რამდენჯერ ცილი დაგვწამეს,
არ გყვარებიათ სამშობლო თქვენი,
მოთმენით ვიტანთ დღეებს ნაწამებს,
შენ შემოგჩივლე დღეს გულის ტკენით.
რომ არა ჩვენი რისკი და ძალა,
გულში სათუთად შემონახულო,
ფეხზე დადგომის ვინ გაძლევს ძალას,
შენ მაინც იცი, ჩემო მამულო.

მხოლოდ ოცნება მაქვს ჩემი საკუთარი...

მხოლოდ ოცნება მაქვს ჩემი საკუთარი,
რასაც ვერ წამართმევს ვინმეს დამუქრება,
ჩემი სამშობლო მაქვს გულში სანუკვარი,
ცაზე ვერ ავიტან ღრუბლის გამუქებას.
მხოლოდ ფიქრები მაქვს ხელშეუხებელი,
სახის ღიმილიც კი მზისგან დავისესხე,
ცრემლი წვიმად მექცა - გადაუღებელი,
სულში ჯებირებად ტანჯვა ჩავიხერგე.
მხოლოდ სურვილები აუსრულებელი,
ჩამქრალ-ჩაფერფლილი ხვალის იმედები,
ღმერთო, დამაბრუნე სახლში უვნებელი,
ოცდაერთი წელი სხვის მზით „ვიკვებები“.
ჩუმად რომ იწვება ჩემი სანთელია,
დედა ღვთისმშობელთან ობლად დაღვენთილი,
ჩემი ტკივილები მისთვის ნათელია,
ჩემი ცხოვრებაა ჩემი გაკვეთილი.
წიგნად აკინძული სქელი ფურცლებია,
ზოგან შავ-თეთრია წარსულ-დაბინდული.
გული ნატანჯი და დღემდე უცვლელია,
სული არასოდეს ფულზე გაყიდული.
ბევრჯერ დაცემული, გონდაკარგული და
ფეხზე წამომდგარი ჩემი სხეულია,
ჩემში ყველაფერი მხოლოდ ქართული და
მხოლოდ სიყვარულად, სითბოდ გრძნეულია.
მხოლოდ ოცნებაა, რასაც ჩემი ჰქვია,
ზოგი ახდენილი, ზოგი ფერმკრთალია,
არ შევუშინდები აღმართს ქვა-ღორღიანს,
რადგან დარდმა ჩემში მუზა ვერ გალია.
მიყვარს ყველაფერი, რაც კი ქართულია,
რაც სულს მიცოცხლებს და ტკივილს ანახევრებს,
ქართულ მისალმებას გული ნატრულია,
მხოლოდ სიშორეა, მე რომ დამაბერებს.

თქვენი გულისთვის?

(ვუძღვნი ჩემს შვილებს)

თქვენი გულისთვის? მთებს და კლდეებს შევეჭიდები,
ჯაჭვს ავიწყვიტავ, ხელ-ფეხიც რომ მქონდეს გაკრული.
თქვენი გულისთვის გულს გავიღებ - თუკი გჭირდებით,
შვილებისათვის წამოვდგები საწოლს დაკრული.
თქვენი გულისთვის გადავცურავ ცხრა ზღვა-მდინარეს,
შევებრძოლები წყლის ნაპირებს შიშველ ხელებით,
თქვენ რომ გიჭირდეთ, ვერვინ ნახავს დედას მძინარეს,
საწოლის თავთან გაათენებს თქვენი ფერებით.
თქვენი გულისთვის? მინას ვლოკავ მშიერ-მწყურვალი,
ვერ შემაშინებს კარს მომდგარი ურჩი სიბერე,
თქვენ შეგიძლიათ, ასაზრდოოთ გული მხურვალი,
თქვენ შეგწევთ ძალა, სიცოცხლის წლებს თუ გამიბევრებთ.
თქვენი გულისთვის? განწირული ცეცხლში ჩავდგები,
კარდაკარ ვივლი ხელგაწვდილი მოწყალებისთვის,
არ მიგატოვებთ განსაცდელში, მკვდრეთით აღდგები,
თავს არ დავზოგავ, წარბს არ შევხრი ამ წამებისთვის.
თქვენი გულისთვის ფეხშიშველი, სისხლებნადენი,
დაუკვნესებლად გადავივლი ქვიან აღმართებს.
გამომივლია დამცირება, ოი, რამდენი,
გამინგრევია, რაც კედლები ჩემ წინ აღმართეს.
თქვენი გულისთვის მოვიკრებავ ძალას მუხლებში,
გავჩნდები, სადაც თქვენი გული შველას მოითხოვს.
დაიმახსოვრეთ! დედის თვალებს ეცით ნუგეში,
თქვენგან სითბოს მეტს, სხვა არაფერს დედა არ ითხოვს.

დაპირებებით გადაგვევსო თმენის ფიალა...

ნუ დაგვპირდებით, უიმედოდ ნუ დაგვპირდებით,
დაპირებებით გადაგვევსო თმენის ფიალა,
ჩვენ საქართველოს სიყვარულით არ დავიღლებით,
გული ათასჯერ მოგვიკალით, ერთხელ კი არა.
ნეტა, იცოდეთ, უსამშობლოდ რაა სიცოცხლე,
შვილების ნატრულ ემიგრანტებს როდის ეშველოთ,
გულში ჩაკლული იმედები გამოგვიცოცხლეთ,
რომ ჩამონგრეულ ბუდის კედლებს წამოვეშველოთ.
ვიდრე ქცეულა ნაცარ-ტუტად ცეცხლი ჩამქრალი,
ვიდრე შვილები დედის სითბოს გაუუცხოვდნენ,
გადაუქციეთ გაზაფხულად ცივი ზამთარი,
ვიდრე ბებიებს და დეიდებს დედა უწოდეს.
მერცხალმა იცის თავის ბუდე დასაბრუნებლად,
ჩვენ ვინ გაგვწირა უმოწყალოდ, ვინ გაგვიმეტა,
დედობრივ გრძნობით ფრთებქვეშ ისხამს დასათბუნებლად
და სითბოს სჩუქნის გასაზრდელად, ხვალის იმედად.
ცივ ეკრანიდან მოვეფეროთ შვილებს როდემდე,
მოხუც მშობლების წყლიან თვალებს სახე ვარიდოთ,
ოჯახის წევრი ბოლო გზაზე ვერ გავაცილოთ,
ნუთუ ამ ტანჯვას თვალი გინდათ რომ აარიდოთ?
ჩემი ლექსები ცრემლით არის ბევრჯერ ნაწერი,
საბედნიეროდ, მუზის წყარო არ დამშრობია.
დავუბრუნდებით ჩვენ სამშობლოს განაწამები,
არ ვიცით როდის, ეს დღე ალბათ ძალზედ შორია.

ასწავლეთ პატარებს, რას ნიშნავს სამშობლო...

ასწავლეთ პატარებს, რას ნიშნავს სამშობლო,
ასწავლეთ სიმღერა, ლექსი და პოემა,
ვაჟკაცო, ქართველი დედისგან ნაშობო,
მიეცი გზა ფართო შვილების გონებას.
ასწავლეთ, ვინ არის, რა ქვეყნის შვილია,
რა საამაყოა, რომ გერქვას ქართველი,
იცოდეს, ვინ იყო ვაჟა და ილია,
რუსთველი, აკაკი ან გრიგოლ ხანძთელი.
ასწავლეთ წარსული, საიდან მოვდივართ,
რა რწმენით, რა ენით, რა ოქროს მამულით.
მტერი გვყავს ურიცხვი, ულევი ოდითგან,
ღმერთმა გვისახსოვრა სამშობლო ხატული.
ასწავლეთ, ომში ვინ დაეცნენ გმირულად,
შვილებსაც დაუთმეთ წუთები, წამები,
ასწავლეთ, იცოდნენ, ვინ იყო იუდა,
ჯვარზე რად გაგვიკრეს იესო წამებით.
გაზარდეთ, მამებო, თქვენ მაინც გაზარდეთ,
შვილები, დედების ვინც არის ნატრული,
ფულსა და სიმდიდრეს არასდროს დახარბდნენ,
სული შეირჩინონ სუფთა და ქართული.
უყვარდეთ სამშობლოს კუთხე და კუნჭული,
გულში ჩახუტება ხუთჯვრიან დროშისა,
უყვარდეთ მთა-ველი მზით გადარუჯული,
ძალა ჰქონებოდეთ ვეფხვის და ლომისა.
ასწავლეთ, სანამდის არ არის გვიანი,
გახსოვდეთ! მაგალითს მშობლისგან ელიან,
გაზარდეთ სამშობლოს მებრძოლი,
ფხიანნი, შვილები, რომლებიც
არასდროს კვდებიან.

მე მაინც დავწერ...

დანა რომ დამცენ, მე ჩემს სათქმელს მაინც ამოვთქვამ,
მაჯა რომ მომჭრან, ჩემს დასაწერს ვერავინ დაწერს,
ჩემი სამშობლოს სიყვარული როგორ წარმოვთქვა,
გულზე ტკივილი, მონატრება ლოდებად მაწევს.
წახდა ქვეყანა, ყვავ-ყორნების იქცა საჯიჯგნად,
ვშველით ვეღარას, მართალ კაცის ცნობა გაჭირდა,
ძმა ძმას არ ინდობს, ერთმანეთში მტრობა გაღვივდა,
უფალო, დღესაც დახმარება შენი დაგვჭირდა.
რუსი თამამად დათარეშობს გლეხის ყანაში,
მავთულხლართებით გაუვლია ვითომ საზღვარი,
გაუბედიათ სისხლისმსმელებს ცეცხლთან თამაში,
ჩვენი ცრემლები არ შერჩებათ თვალზე ნაღვარი.
მაგრამ რა ვუთხრა, გადამთიელს, ღმერთის წინაშე,
როცა შენივე ქართველები შენ არ გინდობენ,
უფლის სიყვარულს ვანადგურებთ გულში მინაშენს
და დანის წვერით სისხლადა ვცლით სულის ჭრილობებს..
რა მაგალითი დავანახოთ მოსულ თაობას,
რით ვიამაყოთ, რას ვუტოვებთ შვილებს ხვალისთვის?
ჩვენ წელში გვწყვიტავს ეს უვადო ემიგრანტობა,
კარზე სიბერე მოგვადგა და დრო კი არ იცდის.
სანამ უფალმაც გაგვიმეტა, რწმენას მოვუხმოთ,
ვილოცოთ, იქნებ აგვიხილოს ღმერთმა თვალები,
ვინც ამ უფრსკულზე მიგვიყვანა ცოდვა შეუნდოს,
რომ საქართველოს არ დაერქვას ნაბაღნარევი.

რა დროს შურია...

როცა ქვეყანა თავზე გვენგრევა,
როცა მზის სხივებს ფარავს ღრუბელი,
რა დროს შურია, თავგზა გვერევა,
ვინ ჭკვიანია და ვინ სულელი.
როცა იცლება სოფელ-ქალაქი,
სიბნელე სჭარბობს როცა დღეს, ნათელს,
რა დროს მტრობაა, რა დროს ტალახი,
გამოვუწოდოთ ხელი ერთმანეთს.
როცა ცრემლები ასწრებს ღიმილებს,
როცა კლდის პირას არის ქვეყანა,
ეკალს ნუ ვაფენთ ვარდის ბილიკებს,
ღალატი სენად ნუ შეგვეყარა.
როს შობადობამ იკლო საგრძნობლად,
მტვერი დაედო ჭერში ხის აკვნებს,
გვქონდეს, ქართველნო, ერთურთ დანდობა,
თორემ უფლის გზას ვერსად მივაგნებთ.
რა დროს უტიფრად ნაცრის შეყრაა,
დანის დაცემა ზურგში მალულად,
ყველას თვალებში მხოლოდ სევდაა,
ღიმილი სადღაც გადამალულა.

მაია ქუქჩიშვილი

ათენის ვახტანგ მეექვსის სახელობის ქართული საკვირაო სკოლა

ათენის ვახტანგ მეექვსის სახელობის ქართული საკვირაო სკოლა 2004 წლის 26 მაისს დაარსდა მაშინდელი ელჩის, ზვიად ჭუმბურიძის თაოსნობით. ეს გახლდათ ათენის ქართველთა სათვისტომოს ბაზაზე შექმნილი სკოლა.

სათვისტომოს საინიციატივო ჯგუფისა და ელჩის თანხმობით სკოლის ხელმძღვანელად დაინიშნა ქალბატონი დარეჯან ღამბაშიძე. ის გახლდათ ორგანიზაციის ერთადერთი არჩეული ხელმძღვანელი ქ. ათენში. სკოლა ფუნქციონირებს უკვე 12 წელია. წინა სათვისტომო დაიშალა და ქალბატონმა დარეჯანმა დააფუძნა სათვისტომო „იბერია," რომლის შემადგენლობაშიც შევიდა საკვირაო სკოლა და რეწვის შემსწავლელი სკოლა. 2004 წლიდან დღემდე 350-ზე მეტ ბავშვს ასწავლეს ქართულად წერა-კითხვა, შექმნეს კლას-კომპლექტები. პირველ წლებში სკოლაში 165 მოსწავლე ჩაეწერა. ეს სკოლა იყო გერმანიისა და ინგლისის შემდეგ მესამე ქართული საკვირაო სკოლა ემიგრაციაში.

სწავლა დედაენის ერთადერთი წიგნით დაიწყეს, აქსეროქსებდნენ და ისე ასწავლიდნენ ბავშვებს. ახალი გამოწვევებისათვის პედაგოგებმა დაიწყეს ყოველკვირეული ერთსაათიანი პრეზენტაციები სწავლა-სწავლების შესახებ, რითაც კვალდაკვალ მიჰყვებოდ-

ნენ საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ შემუშავებულ პროგრამას. დიასპორის სამინისტროს დახმარებით, გაიარეს კონსულტაციები თბილისში, ასევე, პედაგოგებმა ტესტირების შემდეგ, მიიღეს სერტიფიკატი. როგორც სკოლის დირექტორი ბრძანებს, მოაწყვეს პედაგოგთა ფორუმი, სადაც საუბარი ჰქონდათ საქართველოდან მიგრირებულ სწავლაშეწყვეტილ უფროსკლასელებზე, რომლებმაც უსაბუთობის გამო, ვერ მოახერხეს მიმღებ ქვეყანაში სწავლის გაგრძელება. ეს ბავშვები რჩებოდნენ სკოლებსა და სხვადასხვა საფეხურის საგანმანათლებლო დაწესებულებების მიღმა. სკოლამ შეძლო კერძო „ჰუმანიტარულ კოლეჯთან“ თანამშრომლობა, რეკომენდაცია გაუწია და გააფორმა ხელშეკრულება ასეთი მოზარდების იქ მოსახვედრად. ასევე საქართველოდან ათენში სასწავლებლად რეკომენდაცია გასწია ქართველი ახალგაზრდებისათვის sitty colege.-ში მოსაწყობად.

2013 წელის ნოემბერში გაიმართა ათენში დროებით მყოფი „პედაგოგების ფორუმი“, სადაც სკოლის დირექტორის ინიციატივით, შეთავაზებულ იქნა რეპეტიტორობა გაეწიათ ასაკის განუსხვავებლად იმ ქართველი ბავშვებისათვის, რომლებიც ათენში დაიბადნენ და საერთოდ არ იცოდნენ ქართული. საკვირაო სკოლის პედაგოგებმა 2013 წელს შექმნეს „მცირე მეცნიერული კვლევები“, სადაც თითოეულ ბავშვზე დაკვირვებისას მოიძებნა ენის ფლობის სხვადასხვა დონე და შეიმუშავეს სასწავლო სტრატეგია.

ათენის ვახტანგ მეექვსის სახელობის ქართული საკვირაო სკოლა არაერთხელ გამხდარა მასმედიის ობიექტი როგორც საქართველოში, ასევე საბერძნეთში. 2009 წელს მოაწყვეს პირველი „თბილისობა“ ათენში, ათენის სათნოების სახლში, საახალწლო ღონისძიებები, დედაენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები, სხვადასხვა წელს უმასპინძლეს ევროპის ქართული დიასპორების ფესტივალს, სადაც 2012 წლის 29 დეკემბერს თურქეთის ქართული დიასპორიდან თურქეთის ქართული კულტურის სახლის დირექტორი ელიზბარ ციმნარიძე და პოპულარული მომღერალი ბაიარ შაჰინი სტუმრობდა. ღონისძიება თურქეთშიც გაშუქდა. ღონისძიებას გამოეხმაურა ევროპის ქართული დიასპორების თითქმის ყველა ხელმძღვანელი. მოიწვიეს გურჯაანის თეატრი, რომელმაც დადგა სპექტაკლი

„ფიროსმანი“; დედაენის დღე აღნიშნეს „ჯეოსტარისა“ და „ახალი ხმის“ მონაწილეობით და სხვ. სკოლამ ბევრი საინტერესო საქველ-მოქმედო ღონისძიება ჩაატარა. მათ შორის ბერძნულ-რუსულ-ქარ-თული ფორუმი სახალხო დიპლომატიის თვალსაზრისით 2014 წლის 29 დეკემბერს „მობილ აირ ტურის“ ბერძნული კომპანიისა და მაშინდელი ელჩის, დავით ბაქრაძის მეუღლის, ანა მაცუკაშვილის მხარდაჭერით ამ ღონისძიებაზე საელჩომ საახალწლო საჩუქრები გადასცა ბავშვებს, შემოსული თანხა კი საბერძნეთის ობოლ ბავშ-თა სახლის ფონდში გადაირიცხა. აგრეთვე, მცირეოდენი წვლილით, რომელიც სკოლამ შეაგროვა, მონაწილეობა მიიღეს მახათას მთაზე სამების ეკლესიის მშენებლობაში.

სკოლაში გამოსცეს გა-ზეთი „პატარა ემიგრან-ტები“, ასევე, დაიწერა წიგ-ნი საკვირაო სკოლის იუ-ბილესთან დაკავშირებით, პირველი გამოცემის შემდ-გენელია სკოლის დირექ-ტორი, დარეჯან ღამბაშიძე, რედაქტორი - ანა ყურშა-ვიშვილი, გაზეთ „ელადის“ რედაქცია;

შექმნეს პროექტები - „ემიგრანტთა კავშირი სამშობლოში“, „მსოფლიო ქართველ ემი-გრანტთა გაერთიანება“, რომლის განხილვაც სამი დღის მანძილზე მიმდინარეობდა თბილისში, 2014 წლის 23 მაისიდან 26 მაისამდე, მათ შორის, იუსტიციის სახლში, რომელსაც ესწრებოდა დიასპორის სამინისტროს წამომადგენლები და 13 ორგანიზაცია, ვინც კი დიას-პორაზე მუშაობდა. პროგრამა ითვალისწინებდა „დიასპორის სახ-ლის“ შექმნას საქართველოში, რომელიც მოიცავდა დიასპორასთან ეფექტურ ურთიერთობას და დიასპორული ორგანიზაციების გაძ-ლიერებას, დიასპორული ლობის შექმნას მიმღებ ქვეყანაში.

სასწავლო პროცესის გარდა სკოლაში საქართველოდან უამრავ სტუმარს მასპინძლობენ - მთავრობის წარმომადგენლებს, მეცნიე-რებს, მკვლევრებს, მწერლებს, ჟურნალისტებს... სკოლა თანამშ-რომლობს ქვეყნის კულტურის მოღვაწეებთან, პარლამენტარებთან, ადვოკატებთან. ახლახან სკოლას ევროპის ცნობილი ჟიური, ვოკა-

ლისტი, ჯული მასინო ეწვია. ქართული სიმღერის პოპულარიზაციის მიზნით იწვევენ საქართველოდან ქართველ ცნობილ მომღერლებს.

სკოლას მიღებული აქვთ უამრავი ჯილდო. ასევე, გაცემული აქვს სიგელები მეგობარ ორგანიზაციებზე. დიასპორის ყოფილმა მინისტრმა კონსტანტინე სურგულაძემ 2014 წელს ათი წლის იუბილარი სკოლა დააჯილდოვა საპატიო სიგელით, ხოლო ათენის პირეის მუნიციპალიტეტმა კულტურის ფესტივალზე მონაწილეობისათვის სკოლის ანსამბლი „ნერგები“, რომელიც 2007 წელს დაფუძნდა, სამგზის სიგელით დააჯილდოვა. თბილისის ჰუმანიტარულმა კოლეჯმა ოქროს მედლი გადასცა 2007 წელს.

2015 წელს შეიქმნა ათენის ქართული სახლი, რომლის შემადგენლობაში შედის ახლა სკოლა. სწავლობენ დიასპორისა და განათლების სამინისტროს მიერ მომზადებული სახელმძღვანელოებით. ასწავლიან, ასევე იაკობ გოგებაშვილის „დედაენით“. ღებულობენ მონაწილეობას სხვადასხვა დიასპორულ პროგრამაში. სკოლის ინიციატივით ეწყობა ქართველ მხატვართა გამოფენები, როგორც ხელთნაკეთი ნიმუშების, ასევე სხვა.

დიასპორა ეხმარება სკოლას. ჩუქნიან წიგნებს, დროშებს, რვეულებს, მუსიკალურ საკრავებსაც კი (ახლახანს დოლი აჩუქეს), რაც სკოლას სჭირდება და, რაც დიასპორას შეუძლია; სკოლა მუშაობს მშობლების შემოწირულობებით და საწევროებით, რომელიც იკრიბება ისევ ორგანიზაციის წევრებიდან, ანუ ისინი თვითდაფინანსებაზე არიან. სხვა შემოსავალი სკოლას არა აქვს.

სკოლა თანამშრომლობს „საბერძნეთის ქართველ ქალთა კავშირთან“. მათი წარმომადგენელი, მწერალთა კავშირის წევრი ზაირა კეღოშვილი, ხშირად სტუმრობს სკოლას. სულ მალე იგეგმება ერთობლივი ღონისძიება საბავშვო ანთოლოგიაზე, რომელიც მწერალთა კავშირმა გამოსცა.

როგორც სკოლის დირექტორი, ქალბატონი დარეჯანი, აღნიშნავს, „ჩვენ გვაქვს ისტორია, ცნობადობა, გამოცდილება. პედაგოგებს ყველას აქვთ სერტიფიკატი და ყველა პროფესიონალია. სკოლის დამთავრებისას ბავშვი თუ საქართველოში ბრუნდება, ვაძლევთ ცნობას ან სერტიფიკატს, ვატანთ პირად საქმეს, სადაც ბავშვის მთელი წლების სასწავლო პროცესია აღნიშნული.

გვაქვს აღიარება აქაური მუნიციპალიტეტიდან, საეპისკოპოსოდან, განათლების სამინისტროდან, გამგეობიდან, ასევე საქართველოს დიასპორის სამინისტროდან. ჩვენგან წამოსული ბავშვი აუცილებლად

გადადის მომდევნო კლასში. მოცემულ პროგრამას გავდივართ ბოლომდე. ბავშვები სწავლობენ მონდომებით და ხალისით“.

ამჟამად ხუთი მასწავლებელი უძღვება მეცადინეობებს. ესენი არიან: თამარ აფციაური (14 წელია, ასწავლის), მერი ზუკაკიშვილი, ელენე მეტრეველი, ლიკა ჯანელიძე, მარეხ გოგოლაძე, არჩილ ჩახლაშვილი წელს კუნძულზე გადავიდა. 15 მოსწავლე აქტიურად დადის მეცადინეობებზე. მათ შორის ოთხი უკვე გაიზარდა, თუმცა 6 წლიდან დადიან ამ სკოლაში, ახლა არიან 15-16 წლის, მაგრამ მაინც სწავლობენ ლიტერატურას, ისტორიას, გეოგრაფიას და მეტყველებას.

სკოლას უკვე მეორე თაობის ემიგრანტი ბავშვები ჰყავს. სამი ბავშვი ერთი წლის ასაკიდან ამ სკოლაში არიან, ახლა უკვე 14-15 წლისანი არიან და მაინც დადიან სკოლაში. ერთი შეძღუდული შესაძლებლობების მსმენელი ჰყავთ, 18 წლის, სულ ამ სკოლაში გაიზარდა, მას არ ესმის და ვერ ლაპარაკობს, ყრუ-მუნჯია მხოლოდ სკოლის დირექტორთან თუ ახერხებს კომუნიკაციას.

მოსწავლეთა ასაკი, ფაქტობრივად, შეუზღუდავია, 5 წლიდან და ზევით, შეიძლება 18 წლის იყოს და არ იცოდეს ენა, ნებისმიერი მოქალაქეს შეუძლია ამ სკოლაში ისწავლოს ქართული.

წარმატებებს ვუსურვებთ სკოლას, რომელიც ქართულ საქმეს ემსახურება უცხო მიწაზე.

დებიუტი

ლიკა ტიკურიშვილი

დაიბადა 1994 წლის 17 მაისს ქალაქ რუსთავში. 2016 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიის მიმართულება.

ეარენდელი

„მთელი სამყაროს დასაბამსაც და დასასრულსაც საკუთარი სხეულით დავატარებთ, დაე, ყველაფერმა თავის გზა ნახოს: სიცარიელე, სიმშვიდე და აუმღვრევლობა გაითავისე". სამყარო ვარაუდებისგან შეიქმნა, იქნებ ამიტომაც არიან ადამიანები ასეთი მერყევნი, ან იქნებ ყველაფრის დასაწყისი სწორედ ის მცდარი ილუზიაა, რომელშიც თითქოს მე აქ ვარ, შენ კი იქ... ისტორიები და მოვლენები იცვლებიან, გადაწყვეტილებები კი არა. წამიდან იწყება ათვლა, ცვლილებებამდე მისვლას კი კაცობრიობა საუკუნეებს ანდომებს. მასები ცვლიან ადამიანთა ჯგუფს, რომელნიც მართავენ სამყაროს, მაგრამ მათ არ შეუძლიათ ინდივიდების შეცვლა. ჩვენს წინაშეა ადამიანთა მოდგმის მთელი ისტორია, განა საოცარი არ არის სტრიქონთა შორის დამალული სინამდვილის ამოცნობა?! როგორ მოვედით აქამდე, შეუძლია კი გონებას ყველა იმ იდეოლოგიის შეცნობა, რაც საუკუნეების განმავლობაში დაგროვდა ჩვენ გარშემო. პიროვნებები ქმნიდნენ იდეებს, აყალიბებდნენ მოძღვრებებს, ესმოდათ კი მათი ხალხს, სოციუმს, მცხოვრებელს ამა თუ იმ ისტორიული პერიოდისა, ნუთუ, ყოველთვის იცოდნენ, სად იყო სიმართლე და სად იწყებოდა აბსურდი. ადამიანთა მართვა

ხომ ხელოვნებაა, შეიძლება კი მისი ამ კატეგორიამდე აყვანა. ხელოვნების დანიშნულება ხომ სიკეთის, მშვენიერებისა და მარადისობის შექმნაა. შეუძლია კი ჩვენს მართვას მარადიულობის, ჰუმანიზმის ინსტანციამდე მიღწევა. იქნებ, ჩვენ ყველას დაგვავიწყდა კაცობრიობისადმი განკუთვნული სიტყვები: „ოდეს ზე ავდივარ, საფეხურებს გადავახტები, ამას არ მაპატიებს არცერთი საფეხური“. ადამიანთა ყოველი საქციელი გამართლებულია მათივე გონების, მსოფლმხედველობის მიერ, მაგრამ მოვა კი დრო სამართლიანი სამსჯავროსი, შევძლებთ კი სამართლიანობის სახელით ბრძოლას, როცა ჩვენი ყოველი ქმედება გაცხადდება. სადამდე შევძლებთ სიამაყით არსებობას. გარშემო მხოლოდ ზღუდეებია ჩვენ მიერ შექმნილი, რომელიც სულ უფრო მეტად გვაცილებს რეალობას. თუმცა, გავა დრო და ისევ შეეცდებიან ჩვენს გამოფხიზლებას და გვეტყვიან, რომ „ადამიანი არამცთუ გადარჩება, გაიმარჯვებს კიდეც. კაცი იმიტომ კი არ არის უკვდავი, რომ ყოველივე ცოცხალი არსიდან მხოლოდ მას აქვს დაუდუმებული ხმა, არამედ იმიტომ, რომ სული აქვს მიმადლებული, თანამგრძნობი, მსხვერპლად მიმსვლელი და მოთმინე სული.“

წამის მარადიულობად გადაქცევა არასოდეს ყოფილა ადამიანებისთვის შეუძლებელი. სიცოცხლის საათი სწორედ ამ წუთების მიერაა შექმნილი, ამიტომაც კაცობრიობას შეუძლია დაუსრულებლად ეძიოს მარადისობა, რომლის შემოქმედნიც თვითონვე არიან. თითეული წამი უსასრულობაა, როცა თავს დაკარგულად გრძნობ. ოდესღაც სიბნელეში თეთრსა და შავ ენერგიას შორის ვიძირებოდით, არ გვესმოდა არც სიცოცხლის და არც სიკვდილის არსებობის, შეუქმნელნი ვიყავით, გალაქტიკების გროვიდან ამოვარდნილი წერტილები... შენი ცნობიერება ცხოვრების რომელიღაც ეტაპზე იწყებს ჭეშმარიტების, მარადისობის ძიებას, საბოლოოდ ყველა საკუთარ თავს უბრუნდება და აღმოაჩენს, რომ ამ ცხოვრებაში ყველაზე მეტად გაუსაძლისი საკუთარი ფიქრების მოსმენაა, ამ შორეული მოგზაურობიდან დაბრუნებულებს ერთადერთი სურვილი გვაქვს, არ გვინდა იმ ბზარის გარღვევა, რომელიც ცოტა ხნის წინ აღმოვაჩინეთ საკუთარ თავში. ამ ბზარიდან სინათლე აღწევს შენში, რომელიც თავისკენ კი არ გიზიდავს, არამედ, პირიქით, მისი სიკაშკაშით სულ უფრო მეტად გარწმუნებს საკუთარ მიუწვდომლობაში. ჩვენ თავიდანვე შეგვიქმნეს ის გარემო, რომელშიც უნდა გვეარსება თავისი გადარჩენის წესებითა და კანონზომიერებით.

თავისუფალი ნება კი მხოლოდ ის ფანდია, რომლის შეცნობის შემდეგაც სიცოცხლის დაუშრეტელ წყურვილს ვგრძნობთ. ყოველთვის გვიჭირს იმის გააზრება, თუ რას წარმოვადგენთ სინამდვილეში, ეს სივრცე კი სავსეა ჩვენი არსებობით, ჰაერში არსებული მტვრის ნაწილაკებიც კი ინახავენ ჩვენს სურნელს, წვიმის წვეთში ერთხელ არეკლილი ჩვენი სახე სამუდამოდ დარჩება ამ სამყაროში... ასე გაგრძელდება სამუდამოდ. ბუნება ყოველთვის შეახსენებს ადამიანებს მათ არსებობას, ის ინახავს ყოველ დეტალს ჩვენი არსებობისას, ამიტომაც არასოდეს უწერიათ ადამიანებს მარადისობის მიღმა დარჩენა. ხშირად ძალიან დიდხანს ვაკვირდები გაშეშებულ საგნებს, გადის წამები და ისინი მეუცხოვება, შემდეგ წუთები და ყველაფერი ბუნდოვანია. გაივლის წლები და ჩემ წინაშე აღარაფერია. შესაძლოა, სწორედ ესაა ის, რასაც ჩვენ ცხოვრებას ვეძახით-მუდმივი დაკვირვება და შემდეგ გარდაუვალი გაუცხოვება. რაც არ უნდა შორს იყო, ხმები მაინც მოაღწევენ შენამდე, აჩრდილები გიპოვნიან და აღარაფერი აღარ იქნება ისეთი შორეული, როგორც მათ გამოჩენამდე ათვლილი დრო. ფიქრები ისე მაგრად ეკვრის გონებას, როგორც კედელზე აღბეჭდილი მუქი ჩრდილები. შენ ხედავ მათ მოძრაობას, მაგრამ გათენებამდე მათ გაქრობა არ უწერიათ. უცნაურია ილუზია, თითქოს ჩრდილებს კედლის ტყვეობიდან გაქცევა შეუძლიათ, შეირხევიან, მაგრამ ეს მხოლოდ სიბნელის თამაშებია... ეს მხოლოდ ქარის გაუჩინარებამდე არსებული ილუზიაა. რა აქვთ საერთო მათ სიცოცხლესთან, რატომ მოექცა ეს სამყარო სულიერისა და უსულოს ტყვეობაში?

საბედისწეროა ყოველი შემობრუნება, შესაბრალისია ის ადამიანი, რომელსაც ეს ჯერ კიდევ არ აღმოუჩენია, ისევ სხეულის მოძრაობა და ისევ ცვლილება, წუთიერი სიბნელე და ისევ თვალების ახელა, აზრების გაფანტვა და შემდეგ ისევ ფიქრი, თავდავიწყება და გარდაუვალი დაბრუნება. უსუსურნი არიან ადამიანები, რადგან მხოლოდ ამ მომენტებში შეუძლიათ, დაემალონ მათივე სხეულში გამომწყვდეულ ენერგიას, ამიტომაც ნიშნავს ბრძენთათვის წუთების შეგრძნება მარადისობას? სამყარო მოკვდავია და მუდამ ადამიანის დასაკუთრებას ცდილობს, მისი ნაწილაკები იპარავენ ადამიანის სურნელს, მის ანარეკლს, სხეულის სითბოს, ყოველ ამოსუნთქვას, რომელსაც სხეულიდან გამოდევნილი გრძნობები, გარდაცვლილ, წამის წინ გამქრალ სიცოცხლესთან ერთად ამოაქვს, ართმევს მათ მოგონებებს და სამუდამოდ ადგილის საკუთრებად აქცევს მათ.

სწორედ ეს სიცარიელე გვაწამებს სიკვდილის წინ, სწორედ ეს არის ის გრძნობა, რომელიც მხოლოდ სიკვდილის მოახლოებასთან ერთად მოდის. ყველაფერი, რაც სამყარომ მოგვტაცა, ჩვენ გარეშე აგრძელებს სიცოცხლეს, ისინი სამუდამოდ რჩებიან უხილავის ნაწილნი. რამდენი სევდა და სიხარული, სიყვარული და სიძულვილი, მარტოობა და სიახლოვეა ახლა სამუდამოდ დაკარგული უხილავ სივრცეში. სად იყრიან ეს გრძნობები თავს, იქნებ, მათ მაინც არ დაუკარგავთ ძველი ზეგავლენა ადამიანებზე და ისევ განაგრძობენ მათ დამორჩილებას სასტიკი მეთოდებით. იქნებ, სწორედ ხიდთან დაგროვილი სასოწარკვეთილება ეძახის უიმედო ადამიანს სიკვდილთან შესახვედრად, იქნებ ზღვის ნაპირთან დაგროვილი სევდა ეძახის ადამიანს მოგონებებისგან განსაწმენდად, ან იქნებ ლამპიონის შუქთან სიყვარულით შეპყრობილი მტვრის ნაწილაკები აღელვებენ ღამით შეყვარებულთა გულებს. ეს ყოველივე მაიძულებს, ვირწმუნო ლეგენდა გაუჩინარებულ პეპელაზე, აღმოვაჩინო მისი ეფექტი თითოეულ ადამიანში და დავიჯერო, რომ „პეპელას შეუძლია ჩინეთში დაიქნიოს ფრთა და ამის გამო კარიბის ზღვაში ქარიშხალი ამოვარდეს“.

და სათქმელი აღარაფერი დარჩა... ფეხები შიშველია და თვალები ახვეული, სად მიაქვს ორ ბავშვს თავისი სხეული, ხელი არავის გამოუწვდია და მხრებიც მოხრილან, ასე ემართებათო დედამიწაზე წლებად გადაქცეულ სხეულებს... ნება მიეცით გონებას, შეწყვიტოს სულის ტკივილი, თვითმკვლელ სხეულს მამამ საათი მისცა დროის დასავიწყებლად, სიკვდილსა და მზეს შორის მოექცა აბსურდი, მან კი არ იცის, როდის გარდაიცვალა დედა: „დღეს ან იქნებ გუშინ“, უელბეკი კი ამბობს, ჩემს ადამიანებს სიყვარული აკლიათო, სადამდე მიგვიყვანს ცვაიგის დროისა და სივრცის გაფართოება. საუკუნის წინ არასრულფასოვნებით შეპყრობილმა თქვა: ღმერთის ყველაზე დიდი შეცდომა ადამიანიაო... ჩვენ ყველამ აღელვებულ ზღვაში შევცურეთ, უმანკოება ტალღებთან შერწყმამ წაგვართვა, ძალიან ბევრი ვიწამეთ და საბოლოოდ ოკეანიდან გამოდევნილნი მარტონი აღმოვჩნდით გონების პირას. ათასწლეულების წინ ბუნებამ თავისი ძალა აჩვენა ადამიანს, მათ კი მხსნელს ზეციდან მოუხმეს, რა მოხდებოდა, თუკი „გონიერი ადამიანი“ ირწმუნებდა სხეულის ძალას, მიწაზე დგომის სიმყარეს და თვალებს ცივი ცისფერი ნათებისკენ აღარ აღაპყრობდა. ოდესღაც დედამიწაზე არსებობდა ორი სისტემა – ადამიანისა და ბუნების, ადამიანურმა შიშმა კი შექმნა მესამე – ყველასთვის უცხო განზომილება: ქვეყ-

ნიერების შემოქმედი. იქნებ სწორედ ეს არის, რასაც დღეს კვანტურ ფიზიკაში დროის გადახვევას უწოდებენ... დაიწყო ისტორიის შექმნა ადამიანთა იმ მოდგმისა, რომელთაც პასუხები არ გააჩნიათ, წელში გაიმართნენ, რათა შემოქმედისთვის მუდარით აღსავსე სახე ეჩვენებინათ, მიწის ნაყოფისთვის სისხლი დაღვარეს, ისინი მხოლოდ პასუხებს ეძებდნენ. სად მიაქვს ორ ბავშვს თავისი სხეული... რომელი გზა განვლეს მათ, სხეულებს წლები დასტყობიათ, ჯერ კიდევ გაუვლელი... ძენის მოძღვრება გამუდმებით უმეორებდა კაცობრიობას: „თუკი ჭეშმარიტებას სადაც ხარ იქ ვერ პოულობ - სხვაგან სად გინდა რომ მიაკვლიო?“ რას ვეძებთ სინამდვილეში, ჭეშმარიტებას ჩვენში თუ ჭეშმარიტებას ჩვენ გარშემო, რას ვეძებთ ამ სამყაროში - საკუთარ თავს, თუ გამართლებას საკუთარი არსებობისას, რას ვეძებთ სამყაროსგან წართმეულ ნაწილებს, თუ სრულყოფილებას თანდაყოლილი არასრულფასოვნების ამოსავსებად... ბევრჯერ მდომებია გავჩუმებულიყავი, მხოლოდ ბუნების ხმებისთვის მომესმინა და არა ადამიანებისთვის და გამეგო, სინამდვილეში რისი მჯეროდა. ასეთ დროს თითქოს დასაწყისისკენ მიემართება ყოველი საათი, გრძნობ თავისუფლებას, სიმშვიდეს, სიმსუბუქეს, რადგანაც ყველა შიში გაქრობას იწყებს, თითქოს გრძნობ, როგორ აღწევს მზის სხივი ჰაერში, ხედავ, რა ფერისაა ქარი, ხედავ, როგორ ქრება უკანასკნელი ვარსკვლავი ღამის ციდან და ისევ ახლიდან იწყება სიცოცხლის ციკლი. როცა ყველა იმედი ქრება და სრული უიმედობა ისადგურებს, მარტოობა სულ უფრო მეტად ახლობელი ხდება. ასეთი სურვილით შეპყრობილს ხშირად მინახავს სამყარო გათენებისას, სინათლის დაბადებასთან ერთად შენი არსება ახალი იმედებით ივსება, ალბათ, ესაა სიცოცხლის დაუცხრომელი სურვილის მიზეზიც. სიბნელესა და სინათლეს შორის დაკარგულად გრძნობ თავს, სწორედ ისე ხარ ორ სივრცეს შორის მოქცეული, როგორც ამ დროს ცაზე შემორჩენილი ცისკრის ვარსკვლავი. სამყარო ჩუმადაა, თითქოს შენი ყოველი ფიქრის, ყოველი მოძრაობის დამახსოვრებას ცდილობს. ყველაფერი ისეა, როგორც დასაბამის დროს: მთელი სამყარო და შენ. მშვიდად ადევნებ თვალყურს ფერების დაბადებას, ჩიტების გუნდი ზეცისკენ ისწრაფვის, ხვდები, რომ სადღაც აქ უნდა იყოს ჭეშმარიტების გასაღები, მაგრამ, როდესაც ახსნას იწყებ, ყველა სიტყვა გაქრობას იწყებს. უცნაურია იმის შეგრძნება, რომ საბოლოოდ ყველაფერი მაინც თავის საწყის მდგომარეობას უბრუნდება, ცნობიერების ნაკადი კი, რომელთანაც ასე ახლოს იყავი, ისევ

უსასრულობისკენ მიედინება, გრძნობ, როგორ უჩინარდება შენს გონებაში ისე, რომ კვალის აღმოჩენასაც ვერ ახერხებ. ხვდები, რომ გქონდა წამი მარადისობის გასააზრებლად და თუკი წამს შეიცნობდი, მაშინ მარადისობაც სამუდამოდ შენში აღიბეჭდებოდა. ნუ ცდილობთ, დაეწიოთ ქაოსიდან მოსულ ჩემს ფიქრებს, მხოლოდ თვალი გაადევნეთ, მოძებნეთ გონების პირას გამორიყული სიტყვები. სად მიაქვს ორ ბავშვს თავისი სხეული... ეს მათი მზერა არ არის, თვალებმა სხვა გამახსენეს: კაცი, რომელსაც ერთ დღეს კბილი ძალიან სტკიოდა...

მითხარით, ნუთუ სრულიად უიმედოა ადამიანი, რომელიც გზაზე გაჩენილ პასუხებს ცის უსასრულობაში დაეძებს... იქნებ, თოვლი მოვიდეს და თან მდუმარებამ დაგვათოვოს, სიწმინდე უკვე დაკარგულია, რადგან ადამიანებს ღამის სიმშვიდე არ დარღვევიათ, თუმცა არც მათი დანაშაულნი გამქრალან სადმე. რა მაქვს სათქმელი მე თქვენთვის, იქნებ, ჩემგან თავის მართლებას ელით, იქნებ ისევ პასუხებს დაეძებთ და ჩემს აღსარებას მოელით... მსოფლიომ თაობათა უსასრულო ციკლი შექმნა, სად არიან ახლა ადამიანები, გამოიღვიძეს თუ ისევ სძინავთ, მისცეს საკუთარი თავის გადარჩენის უფლება მათ, ვინც ზღვის გადაცურვა შეძლო, იქნებ, ესეც მხოლოდ ჩემი ილუზიაა და ზღვაში არც არავინ შესულა... ვინ შემიბრალებს, თუკი ეს ხმებიც მათია, ვინ მომცემს ძალას, როცა ფიქრებიც გარბიან, რომელი მიწიდან გავრბოდი და სად იყო მიწა დამსხვრეული ფარების. ახლა, როცა აბსოლუტური აბსურდის აღიარება შემიძლია, ვხვდები, რომ დაუძლურებული სამყარო მხოლოდ ჩემი უსუსური გონების ნაყოფია, სხვაგვარად ვერ დაიმალებოდი, ვერ შეეგუებოდი რომ ის კი არა, შენ ხარ დასნეულებული, ყველა მცდელობა მხოლოდ ცნობიერების ამოხეთქვა იყო უსუსური ფიგურიდან...

სად მიაქვს ორ ბავშვს თავისი სხეული... ნუ გაგიტაცებთ მათი სიმშვიდე, აუმღვრეველი თვალები, ამაოებიდან მომავალი სიცარიელე, მხოლოდ გონების პირას სიტყვები ეძიეთ.

„მე რომ მინდა, ისე არა ვარ, მაგრამ ჩემს მტრებს რომ უნდათ, არც ისე ვარ“

არიან ადამიანები, რომლებიც ისეთ ეპოქაში იბადებიან და ცხოვრების ისეთ გზას ირჩევენ, რომ, ნებით თუ უნებლიედ, თავიანთი დროის ცოცხალ მატიანედ იქცევიან. მრავალმხრივი მოღვაწეობის წყალობით მათ ბიოგრაფიაში ცოცხლდება ეპოქის სულისკვეთება. წლების გასვლასთან ერთად კიდევ უფრო საინტერესო ხდება მათთან შეხვედრა.

იცხოვრა არაერთი კინოგმირის საინტერესო ცხოვრებით, პოეტური სტრიქონებით ესალბუნა სატკივარს, თხზავდა და თხზავს შესანიშნავ ზღაპრებს, იბრძოდა და იბრძვის ეროვნული იდეალებისთვის, უერთგულია და ერთგულებს ადამიანურ ღირებულებებს - ასეთია შემოქმედი გურამ პეტრიაშვილი.

მე რომ მინდა, ისე არა ვარ, მაგრამ ჩემს მტრებს რომ უნდათ, არც ისე ვარო - ბატონი გურამისთვის ჩვეული პირდაპირობით ნათქვამი ეს სიტყვები ერთი ადამიანის ყოფასაც ასახავს და, ვფიქრობთ, ჩვენს საზოგადო მდგომარეობასაც. ჟურნალ „არავის“ მე-10 ნომერში დაიბეჭდა ბატონი გურამ პეტრიაშვილის ახალი ლექსები, ამჯერად მკითხველს ვთავაზობთ მასთან ინტერვიუს.

- ბატონო გურამ, თუ ნებას მომცემთ, თქვენი მრავალწახნაგოვანი განვლილი ცხოვრების გამო ჩვენს ინტერვიუს თემატურად რამდენიმე ნაწილად გავყოფ. დავიწყოთ ლიტერატურით. თქვენს შემოქმედებაში გამორჩეულია საბავშვო ლიტერატურა, როგორც ლექსები, ასევე ზღაპრები. „მთავარი მეზღაპრე“, „ქართველი ანდერსენი“ - ის ეპითეტებია, რომელიც არაერთხელ უთქვამთ თქვენი მისამართით და დამსახურებულადაც. ჩვენც ვფიქრობთ, სხვა რომ არაფერი შეგექმნათ,

თქვენი ზღაპრები საკმარისი იქნებოდა იმისათვის, რომ გურამ პეტრიაშვილი დამკვიდრებულიყო ქართული ლიტერატურის ისტორიაში. მოგეხსენებათ, საბავშვო ლიტერატურის შექმნა ბევრად რთულია და მეტ ოსტატობას მოითხოვს შემოქმედისგან. ყველა შემოქმედი ვერ ქმნის საბავშვო ნაწარმოებებს. მახსენდება ტოლსტოი, რომელმაც სოფლის სკოლის ბავშვებისათვის სპეციალურად დაწერა პატარ-პატარა მოთხრობები. რამ განაპირობა თქვენი არჩევანი ამ მხრივ?

ახლავე უნდა გითხრათ, რომ ჩემგან ძალიან ჭკვიანურ პასუხებს არ უნდა ელოდეთ. მე უბრალო კაცი ვარ. ერთმა ჩემმა კოლეგამ „ხიხო“ დამარქვა. ჩემი ცხოვრების უდიდესი ნაწილი გავატარე ქალაქში, მაგრამ, შეიძლება ითქვას, ისევ სოფლელი ბიჭი ვარ. ვერ ვეგუები ძალიან ჭკვიანურ სიტყვებს. მაგალითად, არ ვიცი, რამ უნდა მაიძულოს, რომ ვთქვა სიტყვა „ჰ ე რ მ ე ნ ე ვ ტ ი კ ა “.

დავუბრუნდეთ კითხვას - რამ განაპირობა ჩემი საბავშვო ლიტერატურაში მოსვლა? ალბათ, პირველ რიგში იმან, რომ ზღაპრების წერა დავიწყე, როცა ვიყავი უკვე მამა. მამა გავხდი 1969 წლის 6 დეკემბერს და ამის მერე იყო, რომ დავიწყე წერა.

იქამდე სადღაც მიწერია: იქნება, მე მეზღაპრე ვარ-მეთქი, ვეუბნები ჩემს თავს. ეს საკმაოდ თამამი ვარაუდი იყო, მაგრამ დაწერილი არაფერი მქონდა. პირველი ქალიშვილი რომ შემეძინა, მახსოვს, ექვსი თვის იყო, 1970 წლის ზაფხულში, ორივე ვიწექით ფართო ტახტზე. მე შემეძლო ავმდგარიყავი, დავმჯდარიყავი, იმას არ შეეძლო. ვეთამაშებოდი და ვეუბნებოდი: ჩემო მერცხალო, ჩემო ასეთო, ჩემო ისეთო-მეთქი. ისე, როგორც ბავშვებს ელაპარაკებიან მშობლები. უცებ, ვუთხარი: „ჩემო პატარა დინოზავრო“. მოულოდნელად, რატომ, მეც არ ვიცი. შეიძლება ეს იქიდან მოდიოდა, რომ ბავშვობიდან ვიცოდი, ქუთაისში, სათაფლიაზე რომ არის დინოზავრის ნაკვალევი. დინოზავრი ჩამრჩა გონებაში. ჰოდა, რომ ვუთხარი, ჩემო პატარა დინოზავრო-მეთქი, მერე, ღამით გავიხსენე, მომეწონა, ეს სიტყვა და დავიწყე ზღაპრის წერა. ორ თვეში დავწერე პირველი ზღაპარი „პატარა დინოზავრის ამბავი“. მეორე ზღაპარიც მახსოვს რომელი იყო. მეორე ზღაპარს ჰქვია „ამბავი თეთრსულელასი“. არსებობს ლეღვის ისეთი ჯიში, რომელიც ვერ მწიფდება და ლეღვსულელას ეძახიან. ამ ლეღვსულელას მიმსგავსებით დავარქვი ჩემს გმირს თეთრსულელა. მეორე ეს იყო და მესამე რაც დავწერე, ისიც მახსოვს: „ამბავი მევიოლინისა და პატარა ჩიტისა“. მერე აღარ მახსოვს, რომელი როდის დავწერე.

არ ვიცი, ზუსტად როგორ გითხრათ, რამ განაპირობა. ალბათ, მაინც განაპირობა ცხოვრებამ - მამა გავხდი, უფრო ახლოს მივედი იმასთან, რასაც ჰქვია ბავშვი. მანამდე ისე ყურადღებიანი ბავშვებისადმი, ალბათ, არ ვიყავი. ჰოდა, აი, ასე დავიწყე ზღაპრების წერა.

- ზღაპრები ზოგადად ბავშვებისთვის იქმნება. თქვენი ნაწარმოებები კი ნებისმიერი ასაკის მკითხველის ინტერესებს ერგება. განსაკუთრებით სასარგებლოა ზრდასრულთათვის. მარადიულ ღირებულებებსა და ფასეულობებზე ნაგები თქვენი ზღაპრული სამყარო, პირველ რიგში უფროსებს უკეთილშობილებს სულს...

- ამას თქვენ ამბობთ, სულს უკეთილშობილებსო, ეს მე არ მითქვამს. მაგრამ უნდა გითხრათ, ამას ხშირად ვიმეორებ ხოლმე, რომ ზღაპრებს მე ვწერ ბავშვებისთვის და იმ დიდებისათვის, რომელთაც სულში შენარჩუნებული აქვთ ბავშვობა. ახლა, დიდებს უნდა მოეწონოთ, ცხადია, იმიტომ, რომ დედამ ხომ უნდა უყიდოს შვილს ზღაპრების წიგნი. თუ დედას ვერ მოვაწონე თავი, არ უყიდის ამ წიგნს და დავრჩები ისე. ასე უბრალოდ ვწყვეტ მე ამ საკითხსაც.

- რამდენიმე სიტყვით შევეხოთ პოეზიას. ცნობილი ფაქტია, პოეზია კონკრეტული ემოციების ფონზე იქმნება, რომელთა განზოგადება ან ხდება შემდგომ, ან მხოლოდ ამ ემოციის ლირიკულ ფიქსაციად რჩება. მაინც რა არის მთავარი თქვენი პოეზიისთვის - მუზა თუ ცხოვრება?

- რამდენიც არ უნდა იფართხალოს ავტორმა და იძახოს რაღაცა სიტყვები, ის მაინც, ცხადია, დამოკიდებულია იმაზე, რასაც ხედავს. არავის არ გაუუქმებია თეზისი, რომ: „ყოფიერება განსაზღვრავს ცნობიერებას“.

მამით რაჭველი ვარ, დედით - ქართლელი, ბავშვობა გავატარე სოფელ დიდ ლილოში. ეს ახლოსაა თბილისთან. გავიზარდე სრულიად ქართულ სამყაროში. სხვა ენაზე სიტყვა გავიგე მხოლოდ მაშინ, როდესაც თბილისში ჩამოვედი უნივერსიტეტში ჩასაბარებლად. ქართულს ვცეკვავდით, ქართულს ვმღეროდით, ქართულ ანდაზებს ვეუბნებოდით ერთმანეთს. რადიოში ქართულ სიმღერებს ვუსმენდით. ახლა არ ვიცი, არის კიდევ რადიოში ასეთი გადაცემები? მახსოვს, იყო ასეთი ქალბატონი - ქეთევან ლანდია. პოეზიასავით ჟღერდა, როდესაც იტყოდა: „თქვენ გესაუბრებოდათ ქეთევან ლანდია“. მერე მოვიდა ეროსი მანჯგალაძე. გადმოსცემდა ფეხბურთს. ისე მიჰყავდა გადაცემა რადიოში, ეს იყო ზღაპარი. როდესაც ტელევიზია შემოვიდა, ბატონმა ეროსიმ მიატოვა კომენტატორობა. ეტყ-

ობა იმიტომ, რომ ტელევიზიაში ისე ფართოდ ვერ გაშლიდა ფრთებს, როგორც რადიოში. ფეხბურთის მატჩის დროს იგონებდა მთელ სიუჟეტებს. ერთხელ, თბილისში ჩამოვიდა თურქების საფეხბურთო გუნდი თბილისის „დინამოსთან“ სათამაშოდ. ეროსი გადმოსცემს:

- აი, თურქმა ფეხბურთელმა წაართვა ბურთი ქართველს და წაიღო „დინამოს“ კარისაკენ.

უცებ, ეროსი ამბობს:

- გარბის თურქი და მისდევს ქართველი!

ახლა თქვენ, მანდ მცხოვრებ ადამიანს, არ მჭირდება ავუხსნა, რამხელა სიტკბოება ჩანს ამ სიტყვებში: „გარბის თურქი და მისდევს ქართველი!“

- საინტერესოა, როგორ იხსენებს საბავშვო მწერალი საკუთარ ბავშვობას?

- ბედნიერი ბავშვობა მქონდა იმით, რომ არასოდეს მაწუხებდნენ: აბა, შევამოწმოთ გაკვეთილებიო! ნამდვილად ასე იყო. ვიყავი თავისუფალი ბავშვი. ასევე დამოუკიდებლები იყვნენ ჩემი ძმებიც. მე ორი ძმა მყავს - რობერტი და ზურაბი. არც ერთს არ გვაწუხებდნენ. ეტყობა, ძალიან გვენდობოდნენ, იცოდნენ, რომ მომზადებულები წავიდოდით სკოლაში.

- როგორც ჩანს, ნდობა დამსახურებული გქონდათ და შემოწმება აღარ გჭირდებოდათ....

- ნამდვილად კარგი მოსწავლე ვიყავი, ზღაპრულად ვსწავლობდი. მეოთხედში არცერთი ოთხიანი არ მიმიღია. ხუთოსანი ვიყავი, სრული ხუთოსანი. ორები გამომერეოდა ხანდახან. მაგალითად, ასეთი შემთხვევა:

გუშინ ბევრი ვითამაშე ფეხბურთი, მერე დამეზარა გაკვეთილების სწავლა. მეორე დღეს მასწავლებელი მეკითხება:

- აბა, პეტრიაშვილი, მომიყევი გაკვეთილი!

არ ვიცი-მეთქი, - ვეუბნები.

- არ იცი და მაშინ ორიანი! - მპასუხობს სამართლიანად და მეც ვეთანხმები: კარგი, ბატონო-მეთქი და მერე, მეოთხედში აუცილებლად გამოვასწორებ იმ ორიანს. ასე იყო ჩემი საქმე. ამას რატომ გიყვებით, იცით?! პოეზია ცხოვრებაა. გეტყვით ერთ რამესაც. უკვე დიდი ხნისა ვარ და ეს არ არის საიდუმლო, რომ მე არა მაქვს სამუშაო მაგიდა. მე მაქვს მხოლოდ უბის წიგნაკები. უბის წიგნაკში ვიწერ შთაბეჭდილებას, ლამაზ სიტყვას, რაღაცა ამბავს. მერე გადა-

ვხედავ უბის წიგნაკს და რომელი სიტყვაც უფრო ჰგავს და ადვილად იქცევა ლექსად, ან რომელი სიუჟეტიც უფრო საინტერესოა, იმაზე ვწერ. ასე რომ, რა ვიცი, სად რომელი ვთქვა: სად არის აქ მუზა და სად ჩემი მეცადინეობა, ან სად არის ცხოვრება? რას რა დავარქვა, მართალი გითხრათ, არ ვიცი.

- გადავიდეთ თქვენი შემოქმედებითი ცხოვრების მეორე მხარეზე და შევეხოთ კინოს. დავეყრდნობით ინფორმაციას, რომელიც მოვიძიეთ საქართველოს კინომატოგრაფიის ეროვნული ცენტრის ჩართულობით შექმნილ საიტზე „ეროვნული ფილმოგრაფია“. (http://www.geocinema.ge/ge/about.php). თქვენ ბრძანდებით ორი მხატვრული ფილმის რეჟისორი, ნათამაშები გაქვთ ოცდაორზე მეტი როლი. თქვენ მიერ შექმნილი სახეები დაუვიწყარია...

- დაუვიწყარია თუ არა ეს სახეები, ამას გვეტყვის მაყურებელი. მე კი გეტყვით, რომ ვარ არა ორი, არამედ სამი მხატვრული ფილმის ავტორი. პირველ ფილმად მიმაჩნია ჩემი სადიპლომო ნამუშევარი, რომელიც მე ძალიან მომწონს, მიყვარს უბრალოდ იმიტომ, რომ იქ ბრწყინვალედ თამაშობს ჩემი მეგობარი ლევან ერისთავი. მეორე ფილმია „რად სტვენს ბულბული“ და მესამე „ელისა და რარუს თავგადასავალი“, რომლებიც გადავიღე გაერთიანება „ქართულ ფილმში“. ვარ ორი ნახატი ფილმის სცენარის ავტორი და რეჟისორი. ერთს „კაკტუსი“ ჰქვია, მეორეს - „ყვავილების ჩუქება“. ამის გარდა, კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ნახატი ფილმის გაერთიანებაში ჩემი სცენარით გადაიღეს ოთხი ფილმი.

რაც შეეხება, რამდენ ფილმში ვარ გადაღებული, მანდაც ბოდიშს ვიხდი და მთლად სწორად არ არის. ოცდაცამეტ ქართულ ფილმში ვარ გადაღებული, კიდევ ერთ ფილმში, რომელსაც ბულგარელი რეჟისორი იღებდა, თავის სადიპლომო ნამუშევარს. ამის გარდა, უკრაინაში გადამიღეს რამდენიმე ფილმში, ზუსტად აღარ მახსოვს, ხუთი იყო თუ ექვსი. საერთოდ რვა მთავარ როლში ვარ გადაღებული და დანარჩენი ეპიზოდურში. შეიძლება გაინტერესებთ და გინდათ მკითხოთ, დავასწრებ თქვენს შეკითხვას და წინასწარ გეტყვით, ყველაზე უფრო მიყვარს და ჩემთვის ახლობელია გოდერძი ჩოხელის მიერ 1986 წელს გადაღებული ფილმი „წერილი ნაძვებს“. გოდერძი ჩოხელი ჩემი ძმაკაცი იყო. იქ ვთამაშობ კაცს, რომელსაც ნაძვი ამოსდის მხარზე, ეს როლი ჩემთვის ყველაზე უფრო საყვარელია.

- კინოში თქვენ მიერ შექმნილი სახეები („ნეილონის ნაძვის ხე“, „ცისფერი მთები“ და სხვა) გამორჩეულია არა მხოლოდ ხასიათით, ტიპაჟით, არამედ „უცნაური საქციელითაც“, არატიპურია. საინტერესოა, ეს უცნაურობა მოდის გურამ პეტრიაშვილის ბუნებიდან, თუ თქვენ ასრულებთ რეჟისორის დავალებას?

- მოდით, ჯერ ვისაუბროთ იმის შესახებ, თუ რატომ მოხდა, რომ, უცებ, მთელი ქართული კინომატოგრაფია დაინტერესდა ჩემი სახით. თითქმის ყველა ქართველმა რეჟისორმა გადამიღო ფილმში - ზოგმა ეპიზოდში, ზოგმა მთავარ როლში. რა არის იცით? მე ვატყობ, რომ კინოში არის ერთგვარი მოდა სახეზე. იმიტომ კი არა, რომ მე ძალიან კარგი მსახიობი ვარ (მე კარგი მსახიობი ვარ, მაგრამ, იმიტომ კი არა, რომ ძალიან კარგი მსახიობი ვარ), უბრალოდ, ჩემი სახე მოეწონათ რეჟისორებს და მოუნდათ, რომ ეს სახე ყოფილიყო მათ ფილმში.

ახლა მეორე - ცხადია, იმის გამო, რომ მე ამ დროს უკვე ცნობილი მწერალი ვიყავი და ხალხი მიცნობდა, რეჟისორებიც მაძლევდნენ ისეთ როლებს, რომელიც ჩემს სახეს შეესაბამებოდა. აი, მაგალითად, „ნეილონის ნაძვის ხეს“ რომ იღებდა რეზო ესაძე, კინოსტუდიაში სცენარის სერიოზული განხილვა გაიმართა. ილა-პარაკეს, იმსჯელეს, მოიწონეს, რეზოს უთხრეს: ყველაფერი კარგია, მაგრამ, აი, ის კაცი ვინ არის, ყველას რომ აგინებს. ვინ არის და ვინ უნდა განასახიეროს ეს როლიო.

რეზომ უპასუხა: ეს გურამ პეტრიაშვილმა უნდა ითამაშოსო.

მაშინ კითხვები აღარა გვაქვსო, - უთხრეს.

ის გმირი ყველას აგინებს, ყველასთან უკომპრომისო და სამართლიანია. ეტყობა, ეს ჩემში არის რაღაცნაირად და ამიტომ ამ როლზე დამამტკიცეს კიდევაც.

- თქვენ გითამაშიათ თქვენივე რეჟისურით გადაღებულ ფილმში. ასეთი რამ ხდება, მაგრამ არც ისე ხშირად. თქვენი აზრით, რით არის განპირობებული ეს ფაქტი - რეჟისორისთვის სასურველი მსახიობის არარსებობით, თუ ფილმში მონაწილეობის სურვილით, თან რამდენად რთულია ეს?

- მოდით, გულახდილები ვიყოთ. ხანდახან ხედავ, ეკრანზე გამოდიან ჩვენი მსახიობები და საუბრობენ კინოგადაღების სირთულეებზე. თურმე, ვიღაცას მოუწია ცივ წყალში შესვლა, შესცივდა. ამ ადამიანებს ავიწყდებათ, რომ არიან მაღაროელები, რომლებიც ყოველდღე რისკავენ თავიანთი სიცოცხლით, ყოველდღე ისე ჩადიან

სიღრმეზე, რომ არ იციან, იქიდან ამოვლენ თუ არა. კიდევ უამრავი პროფესიაა, რომელიც არის მართლა რთული, დამღლელი. ყველანაირი შრომა გამომიცდია - სოფლისაც, ქალაქისაც, მშენებლობისაც. მაგალითად, ახლა რომ სპორტის სასახლეა, იმ ტერიტორიაზეც ვმუშაობდი. იქით, მტკვარს რომ გადაჰყურებენ ინსტიტუტები, იქაც მიმუშავია. ვაკეთებდით, აი, რას: რკინის გრძელი ღერებისთვის უნდა თავი მოგეღუნა, რომ არმატურა გაკეთებულიყო. ჰოდა, მთელი დღე ამაზე ვმუშაობდი, რკინებს ვღუნავდი. ცხადია, რაღაცა მექანიზმი არსებობდა, რომლითაც ვაკეთებდი, მაგრამ მძიმე სამუშაო იყო. მერე მთელი ღამე პირში ვგრძნობდი ლითონის გემოს, თითქოს რკინის გემოს ვერ ვიშორებდი.

ის თემა მინდა გავაგრძელო, რომ ეძნელებათ კინო. მოდით, გულახდილად გეტყვით, ძალიან მიყვარს აპარატის წინ დგომა. მიყვარს, როცა სხვა გმირად ვიქცევი. ვისაც ვთამაშობ, ის მე არა ვარ, ის სხვა კაცია! მე მხარზე არ ამომსვლია ნერგი. აი, იმ ჩემს გმირს ამოუვიდა. ადამიანს საერთოდ ერთი ცხოვრება აქვს, კინომსახიობს კი - უამრავი. მე მითამაშია „კაგებეს“ თანამშრომელი, ვყოფილვარ დარდების შემგროვებელი გოდერძი ჩოხელის მეორე ფილმში „ადამიანთა სევდა“. ნაირნაირი ადამიანი მითამაშია და თითქოს მიცხოვრია იმათი ცხოვრებით. ეს საინტერესოა და ძალიან სახალისოც. რატომ დავიწყოთ ახლა მოთქმა: „ოჰ, ეს რა ძნელია!“ კი, საქმე ყველა ძნელია, მაგრამ კინო არ არის ძალიან ძნელი საქმე. უნდა გავსებდეს, ის შენთვის სახალისო უნდა იყოს. არის ერთი ადამიანი, გივი სარჩიმელიძე, რომელიც ჩვენ გვასწავლიდა მსახიობის ოსტატობას თეატრალურ ინსტიტუტში. იქ რაღაცებს ვდგამდით - ეტიუდებს, ეპიზოდებს. მე ხომ მწერლობიდან მოვედი კინოში, ამიტომ, რომ მომცემდნენ გმირს, ვიწყებდი მსჯელობას: ვინ არის ამისი მამიდა, ვინ არის ამისი ბებია, როგორი ხასიათი აქვს... გივი სარჩიმელიძე მეუბნებოდა: არ მინდა მსჯელობა. მაჩვენე, როგორ დადის... მაჩვენე, წყალს როგორ სვამს... მაჩვენე, როგორ ლაპარაკობსო! ნელ-ნელა ბატონმა გივი სარჩიმელიძემ, როდესაც ეტიუდს ვთამაშობდი, ჩემი არსებიდან გამოდევნა მწერალი, გამოდევნა და მე დავიწყე უკვე სხვაგვარი ფიქრი. მე ვფიქრობდი იმაზე: აბა, როგორ დადის, როგორ იღიმება, როგორ იცინის და ა. შ. ეს ძალიან საინტერესოა და ძალიან სახალისო.

- საერთოდ მინდა ეს საკითხი გავაღრმაოთ. თქვენთვის უფრო ადვილი არ იქნებოდა მხოლოდ რეჟისორობა, ან მხოლოდ მსახიობობა.

რამ განაპირობა თქვენი დუალიზმი ამ შემთხვევაში და რომელი საქმიანობა უფრო საინტერესოა თქვენთვის?

- მართალს გეტყვით, მე ბუნებით რეჟისორი არა ვარ, ამიტომ, ცხადია, მსახიობობა უფრო მირჩევნია. რეჟისორი უნდა იყოს ხანდახან ზედმეტად მკაცრი, რადგან მას უწევს ცხოვრებასთან შეჯიბრი. მან უნდა შექმნას რეალობა და ნამდვილ რეალობას უნდა აჯობოს. არ არის ეს სიმკაცრე ჩემში, იცით? ვერ დავაძალებ ადამიანს. მაგალითად, მოხდა ასეთი ამბავი: უნდა გადაგვეღო ფილმი „ელისა და რარუს თავგადასავალი". განსაზღვრული იყო, რომ რარუ უნდა ყოფილიყო სპილო. ამისთვის წავედით ლენინგრადში, რადგან იქ იყო სპილო. ვიდრე გადაღება დაიწყებოდა, ჩემი ოპერატორი ნიკოლოზ სუხიშვილი, დიდებული კაცი, ავარიაში მოყვა და ხელი მოიტეხა. შემომთავაზეს სამი ოპერატორი. მითხრეს, რომელიც გინდა, აირჩიე და გადაიღე ფილმიო. მე ვუთხარი: ჩემი ოპერატორის გარეშე ფილმს კი არა, ერთ კადრს არ გადავიღებ, ეს ფილმი ღუღუ სუხიშვილმა უნდა გადაიღოს-მეთქი. სხვა გზა აღარ იყო, იქ ფილმს ველარ გადავიღებდით. ჩამოვედით თბილისში და სპილოს მაგივრად გადავიღეთ პონი. როგორც პონი ჰგავს სპილოს, ისე ჰგავს ჩემი გადაღებული ფილმი სცენარს! მე რომ მართლა რეჟისორი ვყოფილიყავი, არაფრად ჩავაგდებდი ოპერატორის მდგომარეობას, ცივი გონებით შევხედავდი, შევცვლიდი ოპერატორს. უფრო კარგი გამოვიდოდა იმით, რომ ფილმი უკეთესი იქნებოდა და ფულსაც მეტს მომცემდნენ. მაგრამ ეს იქნებოდა ჩემი თავის ღალატი. ღუღუ ისე მიყვარს, რომ გავხადე ჩემი წიგნისა და სცენარის ერთ-ერთი გმირი.

- მაინც რატომ ირჩევენ რეჟისორები თვითონ ითამაშონ საკუთარ ფილმებში?

- ჩემს ფილმებში, როგორც მოგახსენეთ, სულ სამი ფილმი გადავიღე, თითქმის ყველგან ეპიზოდურ როლს ვთამაშობ. მხოლოდ სადიპლომო ნამუშევარში ვითამაშე ერთ-ერთი მთავარი როლი. ვფიქრობ, ჩემს შემთხვევაში ჩემსავე ფილმებში მონაწილეობას არ უნდა მივცეთ რაღაცა დატვირთვა. უბრალოდ, მიხარია ობიექტივის წინ დგომა, მიხაროდა ყოველთვის და მიხარია ახლაც.

ამ ცოტა ხნის წინ ჩემს კარგ ნაცნობს - ზაზა ურუშაძეს, ჩვენი კინოკავშირის თავმჯდომარეა, რომელმაც ამ ბოლოს მშვენიერი ფილმი გადაიღო - „მანდარინები", დავურეკე და ვუთხარი: თუ ღმერთი გწამს, ვინ იღებს რამე ფილმს, მომენატრა გადაღება-

მეთქი. უბრალოდ, მე მიყვარს გადაღება და არაფერი იდეოლოგია აქ არ არის.

- რამდენიმე სიტყვით, გთხოვთ, შეაფასოთ ქართული კინოს დღევანდელი ვითარება. ხშირად ვისმენთ, რომ კინო სერიოზულ თანხებს მოითხოვს და ჩვენი ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე კინოინდუსტრია საქართველოში სათანადოდ ვერ ვითარდება. როგორ ფიქრობთ, მიზეზი ფინანსური სიდუხჭირეა თუ შემოქმედებითი კრიზისია?

- ფინანსებზეც ბევრი რამ არის დამოკიდებული, თუმცა, რაღა დაგიმალოთ და ის, რაც ჩანს დღევანდელი ქართული სერიალებიდან, „ჩემი ცოლის დაქალები“ და სხვა, გვაფიქრებინებს, რომ შემოქმედებითი კრიზისიც არის, მაგრამ კარგი რეჟისორები დღესაც არიან - ასე ვხედავ ახლა მე. დავასახელე, მართლაც, დიდებული რეჟისორი ზაზა ურუშაძე (მისი მამა იყო თბილისის „დინამოში“ საუკეთესო მეკარე რამაზ ურუშაძე). ზაზა ურუშაძე ნამდვილად არის და კიდევ სხვები ვინ არიან, მე არ ვიცი, იცით? აღარ ჩანან. ხანდახან ისეთი უგემოვნობა მოდის ეკრანიდან, რომ თვალებს ვხუჭავ. დიდი ხანია, ტელევიზორს არ ვუყურებ! რომ იცოდეთ, სამი წელია, ტელევიზორი აღარ ჩამირთავს და ვფიქრობ, ბევრი არაფერი დამიკარგავს.

- რას ფიქრობთ კრიტიკაზე საერთოდ. ვგულისხმობთ როგორც ლიტერატურულ, ისე კინოკრიტიკას. ხშირად ისეთი განცდა რჩება, რომ თითქოს კრიტიკა აღარ არსებობს. თქვენ, როგორც შემოქმედს, თუ წაგდგომიათ კრიტიკა, ან, პირიქით, ხელი თუ შეუშლია?

- ღმერთმა არა ქნას, რომ აღარ იყოს კრიტიკა. ესე იგი, მაშინ აღარა ვართ საზოგადოება და აღარა ვართ ერი. ცხადია, არის კრიტიკა, მაგრამ გააჩნია როდის რომელი კრიტიკოსი ჩანს. მაგალითად, მე დიდი ხანია, ვმეგობრობ ორ კრიტიკოსთან - ლევან ბრეგაძესთან და თემურ დოიაშვილთან. ორივე ძალიან კარგი კრიტიკოსია, დიდი ხანია, მათთან ვმეგობრობ და ვუსმენ მათ. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ისინი შეუმცდარები არიან. ეს იმას ნიშნავს, რომ ცოცხალ კრიტიკას განასახიერებენ, მუდმივად გრძნობენ პროცესს, მუდმივად აკვირდებიან, რა ხდება ქვეყანაში და, აქედან გამომდინარე, შემოქმედნი არიან. რაც შეეხება კინოკრიტიკას, უნდა გითხრათ, რომ აქაც აქა-იქ გამონათებების გარდა, ვერ ვიტყვი, რომ მაინცა და მაინც არის საქართველოში. მხოლოდ ალაგ-ალაგ. მაგალითად, იყო ნათია ამირეჯიბი, კრიტიკოსი ქალბატონი, აკ-

ვირდებოდა პროცესს: რა კეთდება, რა - არა კინოს სამყაროში. არის გიორგი დოლიძე. კარგად აქვს გურამ დოჩანაშვილს თავის შემოქმედებაში. ერთგან ლაპარაკობს ქრისტეზე და წერს: ქრისტეს უყვარს მკერავი, ქრისტეს უყვარს პურის მცხობელი, ქრისტეს უყვარს ეს, ის... დიდი ჩამონათვალი აქვს და უცებ ამბობს: ქრისტეს უყვარს კინომცოდნეები, მერე ფრჩხილებში, როგორც იცის გურამმა, ფრჩხილებში დასმულია კითხვა: ეს რა არის? აქ ჩანს მისი დამოკიდებულება. გურამი დიდი მწერალია. შეიძლება მე არ ვეთანხმებოდე მას ბევრ რამეში, კერძოდ, ჩვენი ეროვნული მოძრაობისადმი დამოკიდებულებაში, მაგრამ დიდი მწერალი რომ არის, ეს აშკარაა. კარგადა სვამს კითხვას: მაგრამ ეს რა არისო? მართლა უცნაურია, კინომცოდნე თუ ხარ, ესე იგი, იცი შენ ეს საკითხი და მაშინ შენ გადაიღე ეს კინო, რაღა სხვამ გადაიღოს.

- არადა, პროფესიონალების წყალობით ქართულმა კინომ შეძლო და თავისი ადგილი დაიმკვიდრა, შეიქმნა მხატვრულად მრავალფეროვანი, ეროვნული ხასიათის მქონე თვითმყოფადი კინემატოგრაფი, გაჩნდა გარკვეული ტრადიციები. გასულ საუკუნეში ქართულ კინოს იცნობდნენ და ანგარიშსაც უწევდნენ...

- რას ამბობთ, მთელ მსოფლიოში ცნობილია ჩვენი კინო. მე გეტყვით, რისი მომსწრე ვარ. კიევში გავიცანი ეროვნებით სომეხი რუსი რეჟისორი რომან ბალაიანი. ძალიან დიდ პატივს მცემდა, რადგან იცოდა, რომ მე თენგიზ აბულაძის მოწაფე ვიყავი. ეს პატივისცემა გრძელდებოდა მანამ, სანამ არ გაიგო, რომ ზვიადისტი ვარ. ზვიადზე ხომ ათას სისულელეს ჰყვებოდნენ! ერთხელ მეკითხება: ზვიადს მართლა საქართველო მარტო ქართველებისთვის უნდოდაო? მე ვუთხარი: არა, ეგ ჭორია-მეთქი. არაო! - მეუბნება სომეხი მაშინ, როდესაც სომხეთში სხვა ეროვნებისა არავინ ცხოვრობს. ყველაზე სუფთა რესპუბლიკაა მთელ მსოფლიოში. კაცო, შენ თვითონ არავის უშვებ და მე მეუბნები, რომ სხვების გამრეკავი ვარ?! ჰოდა, რომან ბალაიანმა მითხრა ასეთი რამ (თქვენ დააკვირდით, როგორი ავტორიტეტი აქვს ქართულ კინოს): მე რომ შემომთავაზონ, შევადგინო მსოფლიოს საუკეთესო რეჟისორების ასეული, მე ვეტყვი, რომ პირველი 50 ადგილი ეკუთვნის ქართველებს და მეორე 50 გაიყავით თქვენ თვითონ, როგორც მოახერხებთ. მთელ მსოფლიოს ვეტყვი ამასო! წარმოგიდგენიათ? ამ სიტყვების ავტორი თვითონ ძალიან კარგი რეჟისორია. ნამდვილი პროფესიონალია. მისი ფილმი „ Храни мой талисман“ დიდებული ფილმია.

- გადავიდეთ თქვენს პოლიტიკურ საქმიანობაზე. საერთოდ არ არის იშვიათი, როდესაც შემოქმედი ადამიანი აქტიური პოლიტიკური მოღვაწე ხდება...

- მაგას რომ მეუბნებით, რომ პოლიტიკაში აქტიური იყავითო, მიკვირს იმიტომ, რომ პოლიტიკაში კი არ ვიყავი აქტიური, მე პირველი ინტელიგენტი ვარ, ქართველი, რომელიც მხარში დავუდექი მერაბ კოსტავასა და ზვიად გამსახურდიას. პოლიტიკაში კი არ მოვედი, მე ვიყავი ეროვნულ მოძრაობაში. ამ ეროვნული მოძრაობის ერთი ფრთა, რომელსაც ზვიადი ხელმძღვანელობდა, ბოლომდე მივიდა და გავხდით დეპუტატები. ეს უკვე ჩემი ბრალი არ არის! სხვათა შორის, მე მაშინვე ვთქვი: არ მომთხოვოთ-მეთქი პოლიტიკოსობა, კანონშემოქმედებითობა და ა.შ. დეპუტატობა ასე მესმის: დავეხმარები ყველა ადამიანს, ვისაც რამე უჭირს-მეთქი და რაც შემეძლო, ვეხმარებოდი კიდეც - ციხიდან გავუშვი ადამიანები, მძღოლებს მივაღებინე მათი კუთვნილი მანქანები და ასე შემდეგ. ისე, არც ახლა ვიცი, რა არის პოლიტიკა. ზოგი ახლა, რა დასამალია, და იმიტომ მიდის პოლიტიკაში, არხეინად იცხოვროს. მე არხეინად არასოდეს მიცხოვრია. ერთი კაპიკი არა მაქვს უშრომელად ნაშოვნი.

- და მაინც... დაზარალდა თუ არა თქვენში შემოქმედი, როდესაც თქვენი საქმიანობა საზოგადობრივ აქტიურობას მოითხოვდა?

- გეტყვით. ვიდრე უზენაეს საბჭოში ვიყავი, არაფერი დამიწერია. ერთი წელიც არ ვიყავი. იცით რა - დავზარალდი თუ არ დავზარალდი, ეს ძალიან ძნელი სათქმელია. ის ზღაპრები, თქვენ რომ მოგწონთ, უკვე დაწერილი მქონდა. 1990-ში მოვედი უზენაეს საბჭოში, როლებიც ნათამაშები მქონდა. ვხუმრობ ხოლმე, რომ პუტჩისტებმა კარგი საქმე გამიკეთეს, ჩამომაშორეს უზენაესი საბჭოს საქმეებს. ბევრი დრო მქონდა, ლექსზე რომ მეფიქრა და ზღაპრები მეწერა-მეთქი. ისე კი, ძალიან, ძალიან დაზარალდი, რადგან დავკარგე მთელი ჩემი ბიბლიოთეკა, ჩემი ოჯახის არქივი, ფოტოები, დოკუმენტები, ყველაფერი დავკარგე...

- ეგ როგორ მოხდა, ბატონო გურამ?

- კიტოვანისთვის, სიგუასთვის, შევარდნაძისთვის და ჯაბა იოსელიანისთვის მე ვიყავი ხალხის მტერი. ამიტომ ჩემს სახლში შეასახლეს თავისი გვარდიელი, რომელიც იცით, როგორ ერთობოდა? ფირფიტების კოლექცია მქონდა, ბეთჰოვენის სონატების კოლექცია, აისროდა ფირფიტას და ესროდა ტყვიას. მე ვაკეთებდი,

თუ გახსოვთ, დეკემბერზე გადაცემას - მამადუ, დედადუ - მერე, ერთმა კაცმა (არ მინდა ახლა, გვარი დავასახელო), ტელევიზიის უფროსად რომ მოვიდა, მთლიანად წაშალა ეს გადაცემები, არქივი გაანადგურა. ის გოგონა, რომელიც იქ წამყვანი იყო, თამრიკო გელაშვილი, ტელევიზიიდან გაათავისუფლეს. ასე რომ, დავზარალდი, ცხადია, მაგრამ რა ვქნათ, ცხოვრებაა ასეთი. სამაგიეროდ, გეტყვით: ახლა ყველას აქვს დამოუკიდებლობა, მაგრამ ბევრი ხალხი ვერ დაიტრაბახებს, რომ ისინი შეესწრნენ ისეთ დიდებულ ამბავს, როგორიც ხდებოდა მაშინ, როდესაც იყო ეროვნული მოძრაობა. მე საქართველოში ყველა გამოჩენილსა და დიდ კაცს ვიცნობდი, ისინიც მიცნობდნენ, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება, როგორიც ორმა ადამიანმა - ზვიად გამსახურდიამ და მერაბ კოსტავამ, დატოვა, არა მარტო ჩემზე, არამედ მთელ საქართველოზე, არავის და არაფერს მოუხდენია.

- ეროვნულმა მოძრაობამ მთელი ეპოქა შექმნა ჩვენი ქვეყნის უახლეს ისტორიაში. ურთულეს პერიოდში ჩაისახა, მისი განვითარების არც ერთ ეტაპზე არ იყო იოლი ეროვნულ მოძრაობაში ყოფნა. თქვენი გზა ეროვნულ მოძრაობამდე...

- დიდი ლილო სტალინის მამის სამშობლოა, ამიტომ ჩვენ გარკვეული შეღავათები ყოველთვის გვქონდა. უზარმაზარი კულტურის სახლის შენობა იდგა, რომელიც მერე რატომღაც დაანგრიეს. გვქონდა საავადმყოფო, სადაც დიდი ხანია, ექთნად მუშაობს ჩემი ერთი მეზობელი დეიდა კატო. მას ჰყავდა დიდებული მეუღლე, ჰყავს ორი კარგი შვილი, ცხოვრობს გააზრებულად, არის საქართველოს კარგი მოქალაქე. დეიდა კატომ მნიშვნელოვანი სიტყვები მითხრა 1992 წელს. მაშინ მოსაკლავად მეძებდნენ. ჯერ თბილისში ვიმალებოდი, მერე გადავწყვიტე, რომ მომბეზრდა ეს დამალვა და ვთქვი: ახლა მივდივარ ჩემს სოფელში და თუ ვინმე მომკლავს, მომკლას, ჯანდაბას-მეთქი. იქ რომ ვიყავი, მაშინ მოვიდა ჩემთან დეიდა კატო და მითხრა: გურამ, მე არ ვჩივი, როგორ გავიარე ჩემი ცხოვრება. ღირსეულად გავიარე, ღირსეული შვილები გავაჩინე, ღირსეული ქმარი მყავდა. მაგრამ ის წლები, როდესაც ეროვნული მოძრაობა იყო, უბედნიერესი წლებია, რადგან იმ დროს ვიცოდი, რომ მე ვარ საქართველოს მოქალაქე, ქართველი და ვარ ამ მიწის ბატონ-პატრონი. ამაზე უფრო ბედნიერი შეგრძნება არა მქონია არც მანამდე და არც ამის შემდეგო. ამასვე ვიტყოდი მე სრულიად გაც-

ნობიერებულად იმ პერიოდზე, როდესაც მოვიდა ზვიადი და მერაბი და როდესაც გაძლიერდა ეროვნული მოძრაობა.

ერთ მშვენიერ დღეს (ამას ხშირად ვყვები ხოლმე, მაგრამ ასე იყო და რა ვქნა), მაშინ ვერაზე იყო, ასე ვთქვათ, სუპერმარკეტი. ამ სუპერმარკეტიდან გამოვედი. ჩანთა მქონდა ჩვეულებრივი, ასეთი ჩანთები ჰქონდათ ინტელიგენტებს. იღლიაში ამოსაჩრელი კი არა, ჩანთა, რომელსაც ხელს მოჰკიდებ და წაიღებ. ჩანთაში მქონდა გაყინული ქათმები, რომელიც სუპერმარკეტში ვიყიდე, გამოვედი და ვაპირებდი ქვევით ჩავსულიყავი რუსთაველის მეტროსკენ, მაგრამ რატომღაც მარჯვნივ გავიხედე და... შემიხტა გული. გული შემიხტა იმიტომ, რომ დავინახე, 40-მდე კაცი ვერის პარკის შესასვლელთან ირეოდა. მათ შორის მაშინვე ვიცანი ზვიადი და მერაბი, კიდევ რამდენიმე ადამიანი. იქვე დავინახე, რომ ნელა ფრიალებდა დამოუკიდებელი საქართველოს დროშა, 1918-1921 წლების ჩვენი სამფეროვანი დროშა. ამ დროშის ფრიალმა და ვერის პარკში ადამიანების დანახვამ მიმიზიდა იქით. მივხვდი, რომ სხვა გზა არ მქონდა, აქ უნდა მივსულიყავი. ეს იყო 1988 წლის შემოდგომა. საბჭოთა პრესა დასცინოდა ზვიადს და მერაბს: ვინა ჰყავთ, მომხრეები არა ჰყავთ, ვიღაც შპანა უჭერს მხარსო. მე ვთქვი, მეც ვარ შპანა, კაცო, მე ამათთან უნდა დავდგე! ამათ იქით გზა არა მაქვს-მეთქი! წავედი, მივედი მათთან, მივესალმე ყველას და წავედით... თურმე არ ვიცოდი, სად მივდიოდით!.. მიგვიძღვებოდა ეს სამფეროვანი დროშა და მიხაროდა, რომ ჩემს ცხოვრებაში პირველად ვიდექი იმ დროშასთან, რომელიც მიყვარდა და რომელიც მეძვირფასებოდა. გავუარეთ ტელევიზიას, გავყევით ამ ქუჩას, ახლა მერაბ კოსტავას სახელს რომ ატარებს. მივდიოდით და გზაში გვემატებოდა ხალხი. თავში თუ 40-მდე ვიყავით, როდესაც მივუახლოვდით იპოდრომს, ალბათ 1000 კაცზე მეტნი გავხდით. ეს იყო დიდებული შეგრძნება! მას შემდეგ ეს შეგრძნება მუდამ დამყვებოდა იმიტომ, რომ ეროვნული მოძრაობა ეს არის საოცარი! თან ქართული ეროვნული მოძრაობა, რომელიც, პირველ რიგში, ჩემში ტოვებს არა პოლიტიკურ შთაბეჭდილებას, რამედ ესთეტიკურს. იმიტომ, რომ აქ ხდებოდა ყველას გაერთიანება და დაძმობილება. თუ ერთხელ მაინც გაივლიდი ვიღაცა ადმიანთან ერთად, თუნდაც ასი მეტრის მანძილზე ეროვნულ მოძრაობაში, ის უკვე შენი ძმა ხდებოდა! 9 აპრილის წინა დღეებში, რამდენიმე დღით ადრე, აღარ მახსოვს 5 იყო თუ 6, ვიდრე მიტინგი დაიწყებოდა, ცხადია, დავდიოდით ხალხში, ერთმა-

ნეთს ვესალმებოდით, ვეცნობოდით განწყობებს. შემხვდა ქალბატონი მანანა არჩვაძე, მივესალმეთ, მოვიკითხეთ ერთმანეთი და მკითხა: როგორ ხარო. შესანიშნავად, ქალბატონო მანანა-მეთქი. თქვენმა მეუღლემ და მერაბ კოსტავამ ამ რამდენიმე წლის წინ გადაწყვიტეს, რომ იმ მასისგან, რასაც წარმოადგენდა ქართული საზოგადოება, შეექმნათ ვენერა მილოსელის ქანდაკება მეთქი.

მერე? - მკითხა.

მგონი გამოსდით-მეთქი, – ვუთხარი. რამდენიმე დღის შემდეგ, უკვე ცხრა აპრილს, მიუხედავად მსხვერპლისა, მიუხედავად იმისა, რა უბედურებაც მოხდა, შეგვეძლო გვეთქვა, რომ მიზანი მიღწეული იყო. აბა, უმსხვერპლოდ თავისუფლებას ვერ აღწევს ვერავინ. მოხდა მსხვერპლი. მეც შეიძლებოდა ვყოფილიყავი მათ შორის, იმ გოგოებთან - თამრიკო ჭოველიძესთან, ნათია ბაშალეიშვილთან ერთად მთელი ღამე გავათენე იქ 9 აპრილის წინა ღამეს. მაშინ რომ მომხდარიყო ეს ყველაფერი, ალბათ მეც მოვკვდებოდი. ამიტომ მაქვს უფლება, ვთქვა: დიახ, ეს იყო დიდებული რამ იმიტომ, რომ, როგორც მერაბ კოსტავამ ბრძანა: ეს არის დიდებული წუთები, მეგობრებო, როდესაც გადმოგვყურებს მთელი ზეციერი საქართველო! ესე იგი, მართლაც, გავხდით იმ დღეს ხალხი. 9 აპრილს კიდევ უამრავ ადამიანთან ერთად თბილისის ქუჩებში დავდიოდი, ჩასაფრებული იყო რუსების ჯარი, ჩვენ კი თბილისის ქუჩებში დავდიოდით და მე ვიყავი ამაყი, რომ ვარ დიდი ერის შვილი. სამწუხაროდ, უნდა გითხრათ, რომ არც მანამდე და არც ამის შემდეგ დღემდე არ მქონია მსგავსი შეგრძნება (იმედია, არ ამომიშლით ამ სიტყვებს).

- არ შემიძლია, არ გკითხოთ 90-იანი წლების კატაკლიზმების შესახებ. ერთი მხრივ, ეროვნული მოძრაობა, ერთიანობა, აღმავლობა და მეორე მხრივ, სასტიკი, დაუნდობელი დაპირისპირება. რა მოხდა? დავშალეთ საბჭოთა კავშირი, თუ დაიშალა და ჩვენ ნანგრევებში მოვყევით. რა დავმართეთ მაშინ ჩვენს ქვეყანას?

- გეტყვით, რაც მოხდა. ხშირად პუტჩისტები ტირიან: როგორ მოხდა, რომ ერთად ვიყავით, მერე გავიხლიჩეთ და ერთმანეთს დავუპირისპირდითო. ძალიან მნიშვნელოვანია ამაზე ჩემი აზრი. არა იმიტომ, რომ ჩემი აზრია, არამედ იმიტომ, რომ მართალი ვარ. კერძოდ, რა მოხდა იცით? როდესაც 9 აპრილის მერე დაიჯერა რუსეთმა, რომ ერთადერთი რამ დარჩენოდა, - საქართველოსთვის ბრჭყალები უნდა მოეშორებინა, ქვეყანა თავისუფალი უნდა გამხდარიყო. სხვა გზა აღარ იყო და გაუშვა საქართველო. აი, მაშინ,

უცებ, „გამოერკვა“ ბევრი ქართველი და შეხედა საქართველოს ისე, როგორც შემდეგაც უყურებდნენ. იფიქრა: საქართველოში თავისუფლებაა, ახლა არავინ დამიშლის. რასაც მინდა, იმას ვიზამ, ამ საქართველოს შევსვამ და შევახრამუნებო. ეს რომ გაიაზრეს, კარგად გამოჩნდა. ისტორიას ისეთი გენიალური ფაქტები აქვს, მიგახვედრებს თავისთავად. მაგალითად, ლენინის ძეგლი რომ ჩამოაგდეს, 1990 წელს, ზაფხულში, მაშინვე გაჩნდა უამრავი ურიანი ახალგაზრდა (ეტყობა, იმათ ეს ურიები უკვე მზად ჰქონდათ), ერთთან მივედი, ურახუნებდა ლენინის თავს. ცალკე იდგა და ამ თავს გამალებით ურტყამდა ურიოს, სხვათა შორის, ყურებში. ვუთხარი: რად გინდა ეს თავი, რომ ურტყამ. ეს არც სუვენირად გამოდგება, არც სხვა რამისთვის და ძვირფასი რამეც არ არის-მეთქი. წადი, წადი, ბიძა, მე თვითონ ვიცი, რატომაც მინდაო, - მითხრა. ეს ხომ ბრინჯაო იყო! აი, აქ გამოჩნდა კარგად დამოკიდებულება. უამრავმა ქართველმა გადაწყვიტა, რომ დაესწრო თავისი თანამემამულისათვის, თანამოძმისათვის და წაეგლიჯა საქართველოს მეტი სიმდიდრე. აი, ეს იყო პუტჩის მიზეზი. როცა ჩამოვიდა შევარდნაძე, მისი მთავარი მიზანიც ეგ იყო. იცოდა, რომ საქართველო გადადიოდა კაპიტალიზმში და უნდოდა, თავისი ნათესავებისთვის, ძმაკაცებისთვის, დამქაშებისთვის მიეცა საქართველოს სიმდიდრის დიდი ნაწილი. მისცა კიდევაც. ამიტომ ზვიად გამსახურდია განწირული იყო. რუსეთსაც და ამერიკასაც უნდოდათ, საქართველო წასულიყო სხვა გზით, ამ გზაზე კი ზვიადის ადგილი არ იყო. ზვიადს სხვა რამ სურდა. ამბობდა, როდესაც თავისუფლები გავხდებით, დავიანგარიშებთ საქართველოს სიმდიდრეს და შევეცდებით, რაც შეიძლება თანაბრად გავუყოთ მის მოქალაქეებსო. ახლა ვის აქვს მთელი სიმდიდრე - ბანკებს. ქვეყანა, სადაც წარმოება არ არის საერთოდ, ამდენი ბანკი რა საჭიროა. ბანკები წოვენ სისხლს საქართველოს, უკვე რამდენი წელია! იცით, რამდენი კაცია დარჩენილი მათგან უსახლკაროდ. მე მგონი, კარგად ავხსენი, რატომ მოხდა განხეთქილება. გახსოვთ, მაშინ პრესაში ხშირად იბეჭდებოდა: რა მნიშვნელობა აქვს ვიღაცების აზრს (ჩვენ მაშინ სოფლელები დაგვარქვეს), რა აზრი აქვს, ისინი რას იტყვიან, ჩვენ ვართ მთავარიო, ჩვენ რასაც ვიტყვით, ის არის სიმართლეო. ისინი არიან მთავარი, მათ ხელშია მთელი საქართველოს ქონება. რა იცის ხალხმა, ხალხს არა აქვს მნიშვნელობაო. არის ერთი ამერიკული ფილმი „დონ ჟუან დე მარკო“. იქ თამაშობს ამერიკის და საერთოდ მსოფლიო კი-

ნოეკრანის უდიდესი ვარსკვლავი მარკო ბრანდო. ძალიან ჭკვიანი კაცია. იმ ფილმშია: დონჟუანი არის ავად სენით, რომელიც არ იკურნება. ამ სენს ჰქვია „რომანტიციზმიო“. აი, ამ „რომანტიციზმით“ ვიყავით ავად ქართველები და ამიტომ იყო, რომ მაშინ სიმღერა გაჩნდა, თვითონ გაჩნდა სიმღერა: „მტერი ბევრი გვყავს, ბიჭებო, საქმენი გველის დიადი, ერთ მუჭად შეკრულ ქართველებს, წინ მიგვიძღვება ზვიადი“. უამრავ მტერს რომ შესჭიდებია ქართველი ერი, „რომანტიციზმი“ გვჭირს ჩვენ, ამ ხალხს. ვისაც „რომანტიციზმი“ არა სჭირს, ისინი ხდებიან მერე ბანკირები, ბატონო. გაყიდიან, იყიდიან, ფულს იშოვიან, ახლაც მაგ ამბავში არიან. ხდებიან ზოგი პარლამენტის წევრები, ზოგსაც სხვა თანამდებობები აქვთ და იმ თანამდებობებზე ხელფასის გარდა ყოველთვე იღებენ უზარმაზარ, 100- ათასიან პრემიებს. საქართველოს პირველ პრეზიდენტს კი საკუთარი სახლიც არ ჰქონდა.

- ამჯერად გვინდა კითხვით მივმართოთ ბატონ გურამ პეტრიაშვილს, როგორც დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას თანამებრძოლს. ასევე იდექით საქართველოს ეროვნული გმირის, მერაბ კოსტავას გვერდით. გვიამბეთ ამ ურთიერთობების შესახებ.

საქართველოს პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია ცხოვრობდა მამისის, დიდი კონსტანტინე გამსახურდიას სახლმუზეუმში. მას ბინა არა ჰქონდა და რომ უთხრეს, აგერ, ვორონცოვის სახლი, პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე და აქ იცხოვრეო, პრეზიდენტმა გადაჭრით თქვა: რას ამბობთ, ბავშვებს გავყრი და მე ვიცხოვრებ?! ეგ არ მოხდებაო!

ბედნიერი ვარ იმიტომ, რომ შევესწარი ამ ორი კაცის ზეობას. ნამდვილად ზეობა იყო. ანეკდოტი მახსენდება, რომელშიც კარგად ჩანს, როგორი გავლენა ჰქონდა ზვიადს მთელ საქართველოზე მანამდეც კი, ვიდრე პრეზიდენტი გახდებოდა. ბატონ გივი გუმბარიძესთან, ცეკას ბოლო მდივანთან, მივიდნენ სტუდენტები და ეუბნებიან:

- ბატონო გივი, სპილოები თუ დაფრინავენ?

- რას მიჰქარავთ თქვენ, რა სპილოები! - უპასუხებს გუმბარიძე.

- აი, ზვიად გამსახურდია კი ამბობს, რომ დაფრინავენ, - აზუსტებენ სტუდენტები.

- აა, ზვიადი თუ ამბობს, როგორც მერცხლები, ვერ იფრენენ, მაგრამ ისე დაფრინავენონ, - ასეთია გუმბარიძის პასუხი.

ერთი სიტყვით, ეს იყო ორი გმირი. კარგადა თქვა კოკა გაწერელიამ, დიდი ქართველი მეცნიერის აკაკი გაწერელიას ვაჟმა, რომ ეს არის ერთი სული ორ სხეულში და ეს მართალია. ერთი სული ორ სხეულში იყვნენ. ქართული მატეანედან გადმოსული ორი უზარმაზარი რაინდი, რომელთაც მე ყოველთვის ვგრძნობდი და მიხაროდა. რომ ვუყურებდი, ვგრძნობდი, შუბლზე აჩნდათ ღვთის ხელი. ღმერთმა უთხრა: წადით, უშველეთ საქართველოსო, უშველეთ თქვენს ერსო.

ასეთი არის ჩემი დანახვა ამ გმირებისა. ისინი მე ყველანაირ კრიტიკულ სიტუაციაში ვნახე და არასოდეს, ერთი წამითაც არ დაუკარგავთ თავიანთი ღირსებები, თავიანთი სიდიდე, თავიანთი მასშტაბი, ყველგან და ყოველთვის. თან ძალიან სასიხარულო იყო მათი ერთად დანახვა. არის ასეთი ფოტო გადაღებული - უკან დროშებია სამფეროვანი და წინ ზვიადი და მერაბი. ერთმანეთს უყურებენ თითქოს, მაგრამ არა, ერთიც და მეორეც შორეთში იყურება და შორეთს მისჩერებია.

ამ ყველაფრის მომსწრედ ყოფნის შესაძლებლობა ღმერთმა მომცა და არა მარტო მომსწრე ვიყავი, შეიძლება ითქვას, საკმაოდ აქტიურადაც ვმონაწილეობდი ამ ამბებში. დეიდა კატოსავით მეც შემიძლია ვთქვა, რომ რამდენიმე წელიწადი ჩვენ ვიყავით აბსოლუტურად თავისუფლები, აბსოლუტურად თავისუფლად გვიყვარდა სამშობლო და გვქონდა განცდა, რომ ვართ ჩვენი სამშობლოს ბედის გამგებლები.

- თქვენ ახასიათებთ ქართულ ეროვნულ მოძრაობას, როგორც გამორჩეულს და ძნელია, ამაში არ დაგეთანხმოთ. იყო კიდევ ერთი თავისებურება - ამ მოძრაობას ლიდერთა სიცოცხლე შეეწირა...

- დიახ, გმირი ეწირება! ზვიად გამსახურდიაც და მერაბ კოსტავაც ზვარაკად შეეწირნენ და უნდა შესწიროდნენ კიდეც, სხვა გზა არ არის! ისტორია ასეთია! ყველა დიდ ლიტერატურულ ნაწარმოებში, სწორედ ასეა, რომ გმირი ეწირება. ზვიად გამსახურდიას შეეძლო, დაერეკა ჩეჩნეთის პრეზიდენტისთვის, ის გამოგზავნიდა ვერტმფრენს, რომელიც წაიყვანდა მას და იქნებოდა იქ არხეინად, ბუზს ვერავინ აუფრენდა, ჯოხარი ძალიან მაგრად იყო მაშინ. მაგრამ, არა! ჩამოვიდა თუ არა, უკვე გაცნობიერებული ჰქონდა, რომ აქედან ვერ წავიდოდა. ის ვალდებული იყო, შესწიროდა თავის ბრძოლას.

ერთი პატარა ამბავი მინდა გავიხსენო. მოგეხსენებათ, 9 აპრილის მერე ზვიადიც და მერაბიც დაჭერილები იყვნენ. ამ პერიოდს

დაემთხვა სწორედ, შევარდნაძე ჩამოვიდა საქართველოში, მას ჩამოჰყვა რაზუმოვსკი. ის იყო ცეკას მეორე თუ მესამე მდივანი, დიდი კაცი საბჭოთა იმპერიაში. ისინი შეხვდნენ საზოგადოებას აკადემიაში, ასევე კინოსტუდიაშიც, სადაც მეც ვიყავი. მაშინ ხალხმა ჩემი მათ წინაშე გამოსვლა განსაკუთრებულად შეაფასა. მაგალითად, გიგა ლორთქიფანიძემ მითხრა: ეს იმის გარდა, რომ იყო გაბედული, მამაცური, იყო ძალიან ლამაზი და ძალიან ნიჭიერი გამოსვლაო. მაშინ რაზუმოვსკის ვუთხარი: გადაეცი გორბაჩოვს, ლიგაჩოვს და სხვა „ჩოვებს“, რომ თქვენ საქართველოს ვერასოდეს ვერ დაიმონებთ და თვითონ გასკდებით იმ ბაყაყივით, რომელსაც უნდოდა ხარისხელა გამხდარიყო-მეთქი. შევარდნაძეს კი უკვე ქართულად ვუთხარი, რომ შენ რადგან ქართველი ხარ, მაგათ უკვე სძულხარ და ერთხელაც იქნება, შენც წაგასხეპავენ თავს ნიჩბით-მეთქი. ეტყობა, როგორც მოგვიანებით მივხვდი, ეს ჩემი გამოსვლა ნანახი ჰქონდათ ზვიადსაც და მერაბსაც და კერძოდ, ამის გამო მოხდა, რასაც ახლა გიამბობთ: მოვდივარ კინოს სახლთან და ვხედავ, მერაბი ელაპარაკება ვიღაცას. მე რომ დამინახა, იმ კაცს ზურგზე ხელი დაარტყა: მაპატიე, ძმაო, ერთ წუთს ეს კაცი უნდა ვნახოო. წამოვიდა ჩემკენ და გადამეხვია, ჩამბუჯნა, შეიძლება ითქვას. ქართლში, სადაც მე გავიზარდე, ასე ამბობენ, ძვლებმა ჭახა-ჭუხი დაიწყესო. ისე ჩამბღუჯა და მითხრა: „ჩვენო ლომო“. სხვა ისეთი არაფერი გამიკეთებია, ეტყობა, რაზუმოვსკისთან გამოსვლის გამო მითხრა ასე. ცოტა ხანს ვიყავი და ლუიზა შაკიაშვილმა მითხრა: გურამ, არ გინდა, ზვიადთან ავიდეთო და ავედით. ის თავის ოთახში იყო. ჩვენ სასტუმრო ოთახში ველოდით. გამოვიდა ზვიადი, წამოვიდა ჩემკენ და „ჩვენო ვეფხვო“, მითხრა. ალბათ დამიჯერებთ, რომ ქვეყანაზე არ არის ისეთი პრემია, არც კინოში, არც ლიტერატურაში - არსად, რომელიც გადაძალავს ამ გმირების „ლომო და ვეფხვოს“. მათთვის თუ ლომი და ვეფხვი ვარ, რაღა მნიშვნელობა აქვს, მე ხუთჯერ მომცემენ ნობელს თუ თორმეტჯერ ოსკარს. ამას არაფერი მნიშვნელობა ჩემთვის აღარა აქვს.

- ჩვენმა ჟურნალმა გაუღო კარი ემიგრანტ ავტორებს. მათ სამშობლოს სიყვარულის სხვა განცდა შემოიტანეს. ემიგრაციაში წასვლა თქვენც მოგიწიათ, თუმცა სხვა ვითარებაში. იძულებული იყავით, სამშობლო დაგეტოვებინათ, რადგან საქმე თქვენს სიცოცხლეს ეხებოდა. რას გვეტყვით თქვენი საკმაოდ ხანგრძლივი, იძულებითი ემიგრაციის შესახებ?

- აბსოლუტურად მართალი ბრძანდებით. ზოგმა ჟურნალისტმა ქარაფშუტულად თქვა: გურამ პეტრიაშვილი კიევში გადავიდა საცხოვრებლადო. კიევში კი არ გადავედი საცხოვრებლად, მე წავედი აქედან, თავი დავაღწიე, არ მივეცი საშუალება, რომ მოვეკალი. სიცოცხლე გადავირჩინე. ცხადია, სხვა არის კიდევ ის ამბავი, რომ საკმაოდ აქტიური ადამიანი ხარ და ბევრი მეგობარი გყავს. იქაც ბევრი მეგობარი გავიჩინე, მაგრამ მე იქ ვერ ვნახე ვერცერთი ბედნიერი ქართველი. იცით, ფულიც აქვს, ყველაფერიც, მაგრამ მაინც ნაღვლიანია საწყალი. სხვაგან, უცხოეთში ქართველი ვერ იხეირებს, კარგად ვერ იქნება. ჩვენ იმასა ვგავართ, ბერძნულ მითოლოგიაში რომ ანთეოსია. ანთეოსს მიწას თუ მოაშორებ, ძალას კარგავს. სწორედ ანთეოსებივითა ვართ ქართველები. რახან თავის ქვეყანაში არ არის, მიწას მოშორებულია, სუსტია. აი, მაგალითად, ჩვენი მეზობელი სომხები ძალიან კარგად არიან, სადაც გინდა იყვნენ, კარგად არიან. მოდიან გალაღებულნი, ლაპარაკობენ სომხურად. ჩვენი ქართველები გადადიან რუსულზე (ესეცა გვაქვს ჩვენ - ცოტა ქარაფშუტობა) და კარგავენ თავის ქვეყანასთან შეხებას.

აქ ალბათ უნდა ვთქვა, ჩემი იქ ყოფნა კიდევ რით იყო განპირობებული. ზვიად გამსახურდიამ გროზნოში ყოფნის დროს შემიყვანა თავის კაბინეტში და მითხრა: როგორც ვიცი, შენ უკრაინელი მეუღლე გყავს და, ალბათ, უკრაინაში წახვალო, - მე დავეთანხმე, - მინდა, რომ შენ უკრაინაში ჩემი ელჩი იყოო. ელჩი როგორ უნდა ვიყო, მე ხომ პოლიტიკისა არაფერი გამეგება, მე მთელი სულითა და გულით ვარ ეროვნულ მოძრაობაში, მაგრამ პოლიტიკა ხომ არ გამეგება, რა უნდა გავაკეთო-მეთქი, - ვუთხარი. იქ ის გააკეთე, რასაც აქ აკეთებო. აქ შენ იცავ ქართულ კულტურას, ქართულ ენას, ქართულ ისტორიას. აი, ეს გააკეთე იქაც. დაიცავი უკრაინული ენა, ისტორია და კულტურა რუსული იმპერიისგან. ამას თუ გააკეთებ, ეს იქნება დიდი საქმეო, - მიპასუხა. მართლაც, უკვე მქონდა მიზანი, რა უნდა გამეკეთებინა და მე მგონია, არ დავიმსახურე ლანძღვა, არავის ვუგინებივარ, პირიქით, გაჩნდა უკრაინაში ასეთი ანეგდოტი: ორი უკრაინელი ლაპარაკობს ერთმანეთთან, ერთმა იხმარა რუსული სიტყვები საუბარში. მეორე ეუბნება: ჩუმად, გურამ პეტრიაშვილი მოდისო. ასე რომ, მთავარი ადამიანობაა. უნივერსიტეტი რომ დავამთავრე და ჯარში წამიყვანეს, არც სამი წლით (მერე ერთი წელი გახდა) ჯარში წასვლა იყო სასიამოვნო საქმე, მაგრამ იქაც მოიძებნა ურთიერთობები. რამდენიც გინდა ყოფილიყო - სამი,

ათი წელი, ციხეშიც რომ დაგიჭირონ, ადამიანი, თუ ნამდვილად ადამიანია, ყველგან იპოვის მიზანს, ყველგან იქნება ღირსეულად - ეს ზუსტად ვიცი. თუ შენ ღირსებას არ დაკარგავ, ყველგან მოიძებნებიან ღირსეული ადამიანები, რომლებიც მხარს დაგიჭერენ, გვერდით დაგიდგებიან. უკრაინაში წავედი როგორც უცხო ქვეყანაში და იქ ვიპოვე მეგობრული ქვეყანა, რომელიც ბევრ რამეში ჩვენ გვგავს. კერძოდ, ისინიც და ჩვენც ვსხედვართ დიდი ზღვის პირას, მაგრამ ვსხედვართ ზურგით შემობრუნებულები. არც იმათ, არც ჩვენ არა გვყავს დიდი აღმომჩენი, მაგალითად, როგორიც იყო კოლუმბი, ან მაგელანი. ჩვენც გვიყვარს ჩვენი მიწა, ჩვენც ამ მიწას ვეფერებით და რაც მთავარია, ამ მიწაზე ისევე, როგორც უკრაინელები, ჩვენც ვწერთ, უფრო სწორად, ვთხზავთ სიმღერებს. გაოცდებით, რამდენი სიმღერა აქვთ უკრაინელებს! იმდენი, რომ მეც, ქართველს, გამიკვირდა სიმღერების სიუხვე - 400 ათასამდე ხალხური სიმღერა აქვთ შექმნილი. საოცარია! ერთი სიტყვით, ბევრი მეგობარი გავიჩინე, ისინიც უბედურები არიან და, როგორც ხედავთ ვითარებას, ჩვენც უბედურები ვართ, მაგრამ მერაბ კოსტავა ამბობდა ასე: თავისუფლებისათვის ბრძოლა უფრო ტკბილია, ვიდრე თვითონ თავისუფლებაო. ეს არის მთავარი, ესეც კანონზომიერებაა!

- პრაქტიკულად საქართველოსთვის ამ დიდმა ტრაგედიამ, გახშირებულმა ემიგრაციულმა პროცესებმა, ერთი პოზიტიური შედეგი გამოიღო. გაჩნდა ქართული დიასპორა საზღვარგარეთ. მოვლენების როგორ განვითარებას ელოდებით, დაბრუნდება ქართველი კაცი საზღვარგარეთიდან, თუ იქ შექმნის თავის წილ საქართველოს?

ყველა მოვლენას აქვს ორი მხარე. ასეა ამ შემთხვევაშიც. შექმნილი ვითარება ცუდთან ერთად კარგსაც შეიცავს. ცხადია, აღმოჩნდება, რომ ყმაწვილებს, რომლებიც ახლა არ ვიცით, ვინ არიან, მშობლებისგან თუ პაპა-ბებიისაგან ჩაგონებული, ჩანერგილი აქვთ ქართული სული. ისინი ცხადია, იქ რაღაცას ისწავლიან და იმას გამოიყენებენ თავიანთი სამშობლოსთვის. ვისაც ეს სული არა აქვს, ისინი დაიფანტებიან და გაქრებიან საერთოდ, იმიტომ, რომ უზარმაზარ ამერიკასა და უზარმაზარ რუსეთში, შენ თუ შენს საფუძვლებს, შენს ფესვებს არა ხარ ჩაფრენილი, გაქრები დედამიწის პირისგან. რაღაცა კარგიც იქნება ქართული დიასპორების არსებობაში, თუმცა კარგი რომ მივიღოთ ამათგან, ძალიან დიდი შრომა გვჭირდება.

მე თქვენ ადრეც გითხარით, მომხრე ვარ, მათ, ვინც არიან შორს, ჩვენთან დაბეჭდონ, მაგრამ კითხვა მიჩნდება: შენ რომ აქ დაბეჭდე და მეუბნები, რომ ვტირი და საქართველო მიყვარსო. რომ ცხოვრობ ჩვეულებრივად, დღეში რამდენი ხანი ტირი სინამდვილეში და როგორა ხარ. არ არის გამორიცხული, შენ აქ კი აღვარღვარებ ცრემლებს, მაგრამ სინამდვილეში ძალიან არხეინადა ხარ. არის ასეთი ანეგდოტი - ცოლი შემოვიდა და ქმარს უთხრა: უი, იცი, გამაუპატიურესო. ქმარმა უთხრა: გადი, ლიმონი შეჭამეო. გავიდა ცოლი, შეჭამა ლიმონი, შემოვიდა: არ მისმენ, გამაუპატიურესო! ლიმონი შეჭამეო, - ისევ უთხრა კაცმა. რად მინდა ეს ლიმონიო და, ძალიან კმაყოფილი სახე გაქვსო. ამიტომ არ ვიცი, ამათ ლიმონის ჭამა სჭირდებათ თუ არა და მერე, ბოდიში და, ერთმა გოგომ დაწერა (სახელსა და გვარს არ დავასახელებ): მე მავალია, რომ ამერიკასა და საქართველოს შორის ხიდი გავდოო. რა ხიდი უნდა გადო სპილოსა და კურდღელს შორის?! ამერიკისთვის ჩვენ ვართ არაფერი! ჟურნალისტები ამბობდნენ, გურამმა ისწავლა უკრაინული ენა, უკრაინის ისტორია, ყველაფერი იცის და გურამს ორი სამშობლო აქვსო. ამაზე მე ყოველთვის ერთი და იგივე პასუხი მქონდა: შვილებო, ორი სამშობლო თუ არის, მაშინ სამიც შეძლება იყოს, ოთხიც და ხუთიც. ორი სამშობლო არ შეიძლება. მყავს ერთი დედა, ერთი ღმერთი და მყავს, დიახ, მყავს ერთი სამშობლო! აქ მე თქვენთან რომ ვარ, დიდ პატივს გცემთ, ამას გრძნობთ, ალბათ, კარგები ხართ, დიდ მადლობას გეუბნებით, რომ შემიფარეთ, მაგრამ ეს არ არის ჩემი სამშობლო. როცა შევძლებ, აუცილებლად საქართველოში წავალ-მეთქი. ორ სამშობლოზე ლაპარაკი არ უნდა იყოს არცერთი ემიგრანტისგან. ასე უნდა იყოს ეს! ორი სამშობლო და სამი სამშობლო არ არსებობს!..

- რამდენიმე სიტყვით შეეხოთ თქვენს დამოკიდებულებას განათლების საკითხებზე. ბოლო ათეული წლებია, განათლების სფეროს რეფორმირების პროცესი აქტიურად მიმდინარეობს. რა არის, თქვენი აზრით, საქართველოში განათლების უმთავრესი პრობლემა?

- მას შემდეგ, რაც ეროვნული ხელისუფლება წავიდა, სასწაულები მოხდა განათლებაში. მინისტრად დანიშნეს სანტექნიკოსი. განა სანტექნიკოსობა ცუდია, ბევრს ვიცნობ სანტექნიკოსს, შესანიშნავ მოქალაქეს და ქართველს, მაგრამ ის არც კარგი სანტექნიკოსი იყო და არც არაფერი. ერთხელ მე ვნახე, როგორ იდგა განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დაფასთან და სთხოვეს,

დაეწერა სიტყვა „ბავშვი“. მინისტრმა ვერ დაწერა! დაწერა ხან „ბავში“, ხან „ბაშვი“, ეს მაშინ, როდესაც ჩემი უნივერსიტეტში სწავლის დროს განათლების მინისტრი იყო დიდებული კაცი, გიორგი ჯიბლაძე, მოაზროვნე, დიდი კაცი, წერდა მეცნიერულ შრომებს. მოკლედ, ცოტა ხნის წინ „ქრონიკა პლუსში“ დავბეჭდე წერილი განათლების საკითხებზე და ამჯერად აღარ გავიმეორებ.

- 2017 წელი თქვენთვის საიუბილეო წელია. გვინდა, დავასწროთ ყველას და „არავის“ სახელით მოგილოცოთ 75 წლის იუბილე, გისურვოთ მხნეობა, შემოქმედებითი ღწვა. ველით ახალ ნაწარმოებებს. რას ისურვებდით, ბატონო გურამ, საიუბილეოდ?

- დიდი მადლობა მილოცვისთვის. იუბილეების კაცი არა ვარ, თუმცა, ყველაზე კარგი იქნება სტუდენტებთან შეხვედრა. დიდი ხანია, მაქვს ასეთი იდეა. ჩვენ გავიძახით: რუსთველი დანტეზე კარგია, შექსპირზე კარგიაო და ქართველები ნაკლებად ვკითხულობთ „ვეფხისტყაოსანს“. ვკითხულობთ ვთქვი, ჩემი თავიც ჩავთვალე, მაგრამ მე არა, მე „ვეფხისტყაოსანს“ ვკითხულობ ბევრს და მინდა რაღაცა ვასწავლო ბავშვებს, ახალგაზრდებს. რუსთველის თაობაზე კარგი იქნებოდა, მესხებს დავლაპარაკებოდი იმიტომ, რომ მჯერა, მესხი იყო რუსთველი. ამისი საბუთი მაქვს ერთი ძალიან დიდი. მესხეთში რეზო ჩხეიძე იღებდა ფილმს „რაიკომის მდივანი“. რეზო მე ძალიან მიყვარს. სულ ვამბობ, რომ ჩემს ცხოვრებაში ორი ნამდვილი დირექტორი მყავდა, ერთი იყო ზვიად გამსახურდია (დირექტორად მივიჩნევ), მეორე - კინოსტუდიის დირექტორი რეზო ჩხეიძე, უსათნოესი ადამიანი. ორივე მიყვარდა. გადაღებას ამზადებდნენ, არჩევდნენ, სად უნდა გადაეღოთ. რეზომ ხელი მომკიდა: წამოდი ერთი აქეთო. ვიფიქრე, ალბათ ახალი გადაღების ადგილს ეძებს და უნდა, რომ მეც შევხედო-მეთქი. გავყევი და მივედით ერთ ღრმა ხევთან, სხვათა შორის, მშრალი ხევი იყო. აბა, უყურე, - მითხრა, - შეხედე, რანაირი სილამაზეა. სილამაზე ხომ სილამაზეა, მაგრამ როგორი მკაცრი სილამაზეაო. მე მგონია, „ვეფხისტყაოსანი“ სწორედ აქ, ამ მკაცრი სილამაზის გარემოში დაიწერაო. ასე მითხრა და დღემდე მახსოვს. მოდით, ინტერვიუც „ვეფხისტყაოსნით“ დავამთავროთ.

გადამდებია სიცოცხლის, სამშობლოს, ადამიანების სიყვარული, რომელსაც გრძნობ გურამ პეტრიაშვილთან საუბრისას. წლობით გაჰყვებათ ჩვენს ბავშვებს და ბავშვობაშემონახული სულის ზრდასრულებს მისი ზღაპრების ხიბლი. თავად შემოქმედს კი დაღ-

ლა არ ეტყობა, კვლავაც ეძებს თავისი სამშობლოს ბედნიერებას, როგორც „ულრან ტყეში დაკარგულ თიკანს“, ათეულწლებ-გავლილი, ბევრისმნახველი შემოქმედი კვლავაც იჩქარის ქარის დასამორჩილებლად, თუმცა, კარგად უწყის, რომ: „ძნელია ქარის დამორჩილება და შეიძლება ამ ჭაბუკსაც დააგვიანდეს. მაგრამ შემდგომ კვლავ გამოჩნდება ვინმე მისი მსგავსი. დააგვიანდება იმასაც... კვლავ სხვა დაედევნება ქუდს... და ასე შემდეგ... უსასრულოდ. კი, ნამდვილად სევდისმომგვრელია ეს ამბავი, მა-გრამ განა უფრო არ შეგიპყრობთ სევდა, თუკი ოდესმე გაიგებთ, რომ გადაშენდა ქუდის მდევნელთა უცნაური ტომი და ქალაქში ტყუილადღა უბერავს ქარი?“ (ზღაპარი „კაცი და ქარი“).

ინტერვიუერი მაკა კაჭკაჭიშვილი-ბერიძე

მხატვარი აწყურიდან

ქართულ მიწაზე ფეხი პირველად დადგა. მთელი ცხოვრება ემზადებოდა მესხეთის სანახავად... სულ რამდენიმე დღე ჰქონდა ნახატების შესაგროვებლად. თხუთმეტიოდე ნამუშევარს ძლივს მოუყარა თავი, მაგრამ... ახალციხის ციხის საგამოფენო დარბაზში ერთი ნახატის განსათავსებლადაც ჩამოვიდოდა.

დეპორტირებულთა შთამომავალ მხატვარს მესხეთის მიწაზე მეგზურობას სარვარ საფაროვი უწევდა. ბატონი სარვარი გაუძღვა მას სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორთან, პროფესორ მერაბ ბერიძესთან შესახვედრად.

უხვი ემოციები... მდიდარი შთაბეჭდილებები... წლობით ნალოლიავები წარმოსახვების რეალობად ქცევა... მშობლიურ სოფელთან პირველად შეხვედრის განცდები... ხელოვანთათვის ჩვეული ცოტა დაბნეული, მაგრამ, რაც მთავარია, გულწრფელი საუბარი...

- გვარად ვარ მამუკაძე, მქვია ქამილი, მამას ერქვა ენვერი. პირველ რიგში დიდი მადლობა, რომ დამხვდით, მიმიღეთ. ვინც ორგანიზატორები იყვნენ, ყველას მადლიერი გახლავართ. ორგანიზატორების დახმარებით ვარ აქ.

- ვინ გაუწია ორგანიზება ამ შეხვედრას?

- ორგანიზატორები იყვნენ თბილისიდან.

- საზოგადოებრივმა, არასამთავრობო თუ რომელიმე სახელმწიფო ორგანიზაციამ?

- არა, ეს ორგანიზაცია არ არის, ეს უბრალო ადამიანები არიან.

- თქვენ მათთან მეგობრობთ?

- დიახ, ვმეგობრობ. სიმართლე გითხრათ, გულითადად გამოვხატავ მადლიერებას, რადგან ასეთ დახვედრას არც მოველოდი. მადლობა ახალციხელებსა და თბილისელებს, რომ შემხვდით, მიმიღეთ.

- როდის ჩამოხვედით საქართველოში, გამოფენა თბილისშიც გქონდათ?

- 16 ნოემბერს ჩამოვედი. თბილისში გამოფენა არ მქონია. მე ყაზახეთში გამოვფინე, ალმა-ატაში და, საერთოდ, ძალიან ბევრი, 70-ზე მეტი გამოფენა მაქვს მოწყობილი.

- სად ცხოვრობთ?

- ალმა-ატაში.

- განათლებით მხატვარი ბრძანდებით?

- არა, მე მაქვს საშუალო სპეციალური განათლება, მაგრამ მთელი ცხოვრება ვხატავ. 46 წელია, მხატვარი ვარ. უმაღლესი განათლება რომ არა მაქვს, ეს არაფერს ნიშნავს. უბრალოდ, ისე მოხდა, რომ თავიდან, მერვე კლასის შემდეგ, გეოლოგიის მიმართულებით წავედი, ოთხი წელი ვისწავლე. ძმას გავყევი, არადა, ძალიან გატაცებული ვიყავი მხატვრობით. იქ, გეოლოგიურ ტექნიკუმში, სიმართლე გითხრათ, იმდენად არ მისწავლია, რამდენიც გაზეთებსა და სხვადასხვა რაღაცებს ვხატავდი. დიდი გამოცდილება მივიღე უფროსკურსელებისგან. ჯარში გამიწვიეს, იქაც ორი წელი ვმხატვრობდი. ახლა წარმოიდგინეთ - ტექნიკუმის წლებს დაუმატეთ ჯარის წლები და ამის მერე მაინც მინდოდა ჩაბარება ინსტიტუტში, მაგრამ მითხრეს, რომ ტექნიკური განათლების დიპლომი არ გამომადგებოდა. მომიწია ტექნიკუმში კიდევ ერთხელ ჩაბარება უკვე სამხატვრო მიმართულებით და კიდევ სამი წელი წარმატებით ვისწავლე. მომცეს წარჩინების დიპლომი და მიმართვა ინსტიტუტში სწავლის გასაგრძელებლად. 1978 წელს წავედი სამხატვრო თეატრალურ ინსტიტუტში. მაშინ, როგორც საბჭოთა პერიოდში იყო, ყველგან აგვისტოს დასაწყისში იწყებოდა გამოცდები. ტაშკენტში გავემგზავრე. იმ წელს აღმოჩნდა, რომ ინსტიტუტში სამანდატო კომისიამ მუშაობა 20 ივნისს დაიწყო. წარმოგიდგენიათ, უბრალოდ დავაგვიანე! მაინცდამაინც იმ წელს გამოცდები მთელი ერთი თვით ადრე, 5 ივლისს (აგვისტოს ნაცვლად) ჩატარდა. ასე გამოვიდა!. სახლში მითხრეს: გეყოფა, აქ სწავლობდი, იქ სწავლობდი, მოკლედ, კმარაო. ახლობლებს უკვე აღარ უნდოდათ, რომ სადმე სასწავლებლად წავსულიყავი და არ მომცეს ამის საშუალება. დავიწყე მუშაობა

მხატვრად. მაშინ უზბეკეთში, ბუხარაში ვცხოვრობდით. ვმუშაობდი საოლქო ცენტრში და ოთხ რაიონში დავდიოდი.

- მოდით, აწყურზე ვილაპარაკოთ, საიდან ხართ წარმოშობით?

- რა თქმა უნდა, სიამოვნებით. აქედან ვართ ჩვენ წარმომავლობით. ყოველთვის აქ რაღაც მიზიდავდა. არ ვიცი, რაღაცა მიზეზების გამო ვერ ჩამოვდიოდი. ჩვენ სულ გვესმოდა: აწყური, ახალციხე, ახალციხე, აწყური. გვესმოდა აქაური ადამიანების შესახებ, აქაურ ცხოვრებაზე, აქაურ ყოფაზე. ჩვენები ყველაფერს გვიყვებოდნენ და იმ ადამინებისგან, რომლებიც აქ ცხოვრობდნენ, ყველაფერი კარგი დაგვრჩა. ვიცით, რომ აქ მშვიდობიანად ცხოვრობდნენ. მშობლებისაგან მხოლოდ კარგი მოგონებები დაგვრჩა. ეს ჩვენს სულებსაც შემორჩა და ჩვენს მეხსიერებასაც. დღეს ვიყავი სოფელ აწყურში და ავტირდი კიდეც. მე აქ არ დავბადებულვარ, მაგრამ რასაც მიყვებოდნენ, ჩემი თვალით ვნახე.

- თუ დაემთხვა ის, რასაც გიყვებოდნენ იმას, რაც ნახეთ?

- რა თქმა უნდა. დედაჩემი სულ მეუბნებოდა: აი, ჩვენი სახლი დგას. იქვე მეზობლის ეზოა. აქ ჩვენი სახლის ერდოა, აქედან მეზობლის ეზო იწყებაო. მე ამ დღეებში რეალურად ვნახე ყველაფერი. დედა უკვე აღარ მყავს. აქაც ვერ შევხვდი ვერავის, ვინც ჩემს მშობლებს იცნობდა. ვნახე აწყურის ხიდი, რომელიც პაპაჩემს არ აუშენებია, მაგრამ... პაპაჩემი 1912 წელს იყო სახელმწიფო მოხელე, ნიკოლოზის დროს. მამა თავის ხელნაწერებში, მემუარებში წერს, რომ პაპაჩემი არა, მაგრამ პაპაჩემის უფროსი ძმა, იყო ქვისმთლელი, ქვას თლიდა, აშენებდა. მამა მიყვებოდა, ახალგაზრდობის დროს როგორ გამოჰყავდა კუთხეები და აგებდა კედლებს. როგორც გითხარით, პაპაჩემის ძმა იყო სახელმწიფო მოხელე. ადრე ხის ხიდებს აგებდნენ. აწყურში იცით, რა ვნახე? ვხედავ, ძველი ხიდის ხის ბოძებია შემორჩენილი. გამიკვირდა, ნუთუ ამ ბოძებს შეუძლიათ ასი წელი იდგნენ? მამა წერს, რომ აქ ხალხი ცხოვრობდა მეგობრულად.

- სად წერს ამას მამა და რა ენაზე წერს?

- ხელნაწერი მაქვს, ახლა მისი გამოქვეყნება მინდა. რუსულ ენაზე დაწერა და მეც რუსულად მინდა გამოქვეყნება. წიგნს ერქმევა „ჯარისკაცი, რომელმაც ჯოჯოხეთი გამოიარა“. რატომ ჯოჯოხეთი? მან ფრონტზე დაწერა, ნამდვილად ჯოჯოხეთი გაიარა: რუსეთი, გერმანია, პოლონეთი, ავსტრია, ჩეხოსლოვაკიით დაამთავრა. მთელი ევროპა ომით მოიარა. ორჯერ ფრონტზე იყო. ხალხი

გამორბოდა, ტყვედ ბარდებოდა, მამამ კი ბოლომდე იბრძოლა. მამა ჯარში საქართველოდან გაიწვიეს.

– ***გახსოვთ, რას წერს მამა აქაურ ცხოვრებაზე?***

- აქ იყო ჩვეულებრივი ცხოვრება. ერთმანეთთან მეგობრობდნენ, ერთმანეთის ესმოდათ. მამამ 1940 წელს დაამთავრა აწყურის სკოლა, მას აქვს ფურცელი - ერთ გვერდზე ქართულად წერია, მეორეზე რუსულად. ერთი ოთხიანის გარეშე დაუმთავრებია სკოლა. მამა იგონებდა, მარტო რუსულში მყავდა ოთხი. მასწავლებელმა მითხრა, მოდი ატესტატი არ გავაფუჭოთო და ხუთიანად გადამიკეთაო. ჩემს ოჯახში სკოლას ვეძახდით „ჩვენი აწყურის სკოლა“. მე იქ არ ვსწავლობდი, მაგრამ, ასე ვეძახდით. ბერიას სახელობის აწყურის სკოლა ყოფილა.

- მამამ ქართული იცოდა?

- რა თქმა უნდა, იცოდა. მაშინ ყველამ იცოდა. მან კარგად იცოდა. პაპამ კიდევ უფრო კარგად.

სარვარ საფაროვი: შენ პაპა გახსოვს?

- პაპა არ მინახავს. იცით, რომელი პაპა ვნახე? დედის მამა, 1960 წელს მოკვდა და იმას მოვესწარი. მამის მამა არ ვიცი. როცა მამა ჯარში მსახურობდა, 1940 წელს გაიწვიეს ის ჯარში, მალე ომი დაიწყო და 1941 წლის მაისში პაპა გარდაცვლილა. მამა ჩამოსულა შვებულებით და დაუმარხავთ საქართველოში.

- პაპის საფლავი ნახეთ?

სარვარ საფაროვი: შეცდომა დავუშვით და ბევრი დრო დავკარგეთ. უბრალოდ, ვერ მოვასწარით. უნდა ვნახოთ, სად არის ჩვენი ძველების საფლავები. ვინც დაგვხვდა, ნუგზარი, მან იცის ეს ყველაფერი.

- მე ორი დღეა, დავდივარ. გუშინ დილიდან საღამომდე ვიარე. მერე წავედით ტყემლანაში. იქ ერთი მოხუცი ვნახე. მამაჩემი, როცა დაიჭრა, დემობილიზაციის შემდეგ აქ დაბრუნდა და თვე-ნახევარი საქართველოში იყო.

- რას ამბობდა მამა, ვინ იყო წარმოშობით - ქართველი თუ თათარი?

- თათარიო, - ამბობდა.

- ოდესმე თუ უთქვამს, თურქი ვარო?

- არასოდეს. მე ვწერივარ აზერბაიჯანელად, არ ვიცი, რატომ. არადა, გვარი ქართული მაქვს.

- არავინ ამბობდა, რომ იყო თურქი, თათარს ეძახდნენ იმიტომ, რომ მუსლიმი იყო. ვინც არ იყო ქრისტიანი, იმას თათარს ეძახდნენ, არ

ჰქონდა მნიშვნელობა რუსეთში, შუა აზიაში, საქართველოში თუ სადაც გინდა. თქვენ რას იტყვით ბატონო სარვარ?

სარვარ საფაროვი: ჩვენ თათარს გვეძახდნენ, მუსულმანებს ყველას გვეძახდნენ თათარს ქრისტიანები. საბჭოთა კავშირის შექმნის მერე აქ მიდიოდა კულტურული აზერბაიჯანიზაცია. ამიტომ ზოგიერთ პასპორტში იმ დროს ეწერა აზერბაიჯანელი. ჩვენი ხალხის წარმომადგენლები საბჭოთა კავშირის გმირები რომ გახდნენ, ბევრს ეწერა აზერბაიჯანელი. თუმცა, მე მქონდა საქართველოს გმირების წიგნი და იქაც ეწერათ აზერბაიჯანელი.

- აქ საკითხავია, რატომ?

სარვარ საფაროვი: მე ყოველთვის ვსვამდი კითხვას - გახსნიდა აზერბაიჯანი თავის ტერიტორიაზე ქართულ სკოლებს? რა თქმა უნდა, არა! არადა, საქართვლოში...

- მე ასეთ საკითხებში ვერ ვერკვევი. შემოქმედი ადამიანი ვარ და ჩემი საქმე ხელოვნებაა...

- მაშინ, მოდით, ვისაუბროთ ხელოვნებაზე. თქვენი წინაპრებიდან ვინმე მხატვარი იყო?

- მხატვარი არა, მაგრამ, აი, ქვისმთლელი იყო, მეტი არავინ.

სარვარ საფაროვი: ორნამენტები თუ დაგიხატავთ?

- კი ორნამენტები გამომყავდა, კედლებს მოვხატავდი ხოლმე. სიმართლე გითხრათ, მე არ მინდა ვიტრაბახო, მაგრამ ხელოვნება ისეთი რამ არის, რომ მოდის სულიდან, ეს გამორჩეული განცდაა.

- ოდესმე საქართველო დაგიხატავთ?

- აწყური რამდენჯერაც გინდათ, იმდენჯერ. ფოტოსურათების მიხედვით.

- დაემთხვა ის, რასაც ხატავდით, იმას, რაც ნახეთ?

- ახლა ისეთ რამეს გეტყვით, რომ შეიძლება არ დამიჯეროთ. გიყვებით 80-იანი წლების ამბავს. როცა ჯარიდან დავბრუნდი, 1974 წელს, ერთმა ადამიანმა მომცა პატარა ბარათი, რომელზეც ეხატა აწყურის ციხე. მაშინ მე არ ვიყავი დიდი სპეციალისტი. ბარათიც პატარა იყო. ის მეგობარმა მომცა, რომ მე სურათი დამეხატა. მაშინ პირველად ვნაზე აწყურის ციხე. 1980 წელს მივდივარ ერთ რაიონში, სადაც მხატვრების სურათები და სხვადასხვა ნივთი იყიდებოდა. შევდივარ, შევნიშნე, ახალი სურათები იყო გასაყიდად გამოფენილი. ერთი სურათი მეცნო. დავაკვირდი და ვხედავ, რომ აწყურის ციხეა. წარმოგიდგენიათ, ეს ხომ ზღაპარია?! მე ამას სიმართლეს გეუბნებით! ვიღაცას შეიძლება ეგონოს, რომ ვიგონებ, მაგრამ ეს ნამდვი-

ლად ასე იყო! მხატვარი იყო მაყაშვილი. იმ გამოფენიდან ბევრი სურათი გადავხატე. ბევრი პორტრეტი დავხატე. რომ არ მოგატყუო ხუთი-ექვსი. მეტიც, მე ვიცი, რომ ადამიანებს სახლში მიჰყავდათ მხატვრები და მონაყოლით ახატვინებდნენ ამ ციხეს. მოხუცები აღწერდნენ და მხატვრები ხატავდნენ.

- სხვა მესხი მხატვრები გყავთ?

- მე არ შევხვედრივარ. ერთი მხატვარია. ის ჩემზე პატარაა. უფრო სწორად, ძალიან პატარა კი არ არის, ერთი წელია განსხვავება, ზუბანოვია გვარად, ალმა-ატაში ცხოვრობს. იქ არის მუზეუმში. არის ერთიც, ახლა დაამთავრა აკადემია.

- ***რამდენიმე სიტყვით აღგვიწერეთ თქვენი ნამუშევრები***

- სიმართლე გითხრათ, მე მიყვარს, პეიზაჟი. ვხატავდი 50 კვადრატზე, 100 კვადრატზე. იმ დროს, ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში, როცა არ იყო ეს ფოტოშპალერები, მე სამასი ფოტოშპალერი მოვხატე. თითოეული სამ, ხუთკვადრატიანი. ჩვეულებრივ, კერძო სახლებში ვხატავდი, როდესაც მოდაში შემოვიდა. „3 დე“ ახლა შემოვიდა, თორემ მე იქამდე ვხატავდი. აეროგრაფიაც ახლა შემოვიდა, არადა, მე აეროგრაფიაზე ჯერ კიდევ როდის ვმუშაობდი...

- საქართველოში თუ გააკეთეთ ესკიზები თქვენი მომავალი ნახატებისთვის?

- ესკიზები არ გამიკეთებია, მაგრამ უამრავი ფოტო გადავიღე. კიდევ მინდა რაღაცის გადაღება, მაგრამ უკვე ადგილი აღარ მაქვს ტელეფონში.

- ესე იგი, აწყური თან მიგაქვთ?

- დიახ, აწყურიც მიმაქვს და ახალციხეც. გეგმა მაქვს, დავბრუნდე და ეს სილამაზე ვაჩვენო ხალხს. იცით რა? ადამიანები, რომლებიც აქ ცხოვრობენ და ყოველდღე ხედავენ ამ სილამაზეს, ვერ გრძნობენ, რა ზღაპარში ცხოვრობენ. მე დავხატავ, დავბრუნდები, მათ ვაჩვენებ. შეხედავენ და იტყვიან: ნახე, თურმე რა სილამაზეში ვცხოვრობთო! მინდა, ჩამოვიდე. მაპატიეთ, ახლა არა ვარ მომზადებული ისე, როგორც საჭიროა. ვერ მოვასწარი, რომ ნამუშევრები სრულად წამომეღო. დროში ძალიან შეზღუდული ვიყავი. დიდ საერთაშორისო ღონისძიებებში, გამოფენებში ვიღებ ხოლმე მონაწილეობას. გამოფენები მქონდა ევროპიურ კინოფესტივალზე სამჯერ, ასევე ევროპიურ მედიაფორუმზე. გამოვფენ ხოლმე ძირითადად პეიზაჟებს.

- დახატეთ ერთი სურათი უნივერსიტეტისთვისაც. ჩვენი უნივერსიტეტის მუზეუმში გამოვყოფთ ადგილს და თქვენს სურათს სიამოვნებით გამოვფენთ.

- აუცილებლად, მე ერთ ძალიან ფაქიზ საკითხზე არ მისაუბრია. 1989 წლიდან 27 წლის განმავლობაში 260-ზე მეტი სურათი გავაჩუქე. ახლა მხოლოდ თხუთმეტი სურათი ჩამოვიტანე. უდიდესი რაოდენობა გაჩუქებული მაქვს. ოც სახელმწიფოშია ჩემი სურათები. ერთი თვითონ მიქელე პლაჩიდომ წაიღო, იაკუბოვიჩთან არის ერთი სურათი, ასევე საბერძნეთში წაიღეს, იტალიაში, ბულგარეთში. მე სულაც არ მრცხვენია, რომ უმაღლესი განათლება არა მაქვს. თვითონ ცხოვრებამ მომცა უმაღლესი განათლება. ვიმეორებ - არც უნივერსიტეტმა, არც აკადემიამ, თვითონ ცხოვრებამ.

- ორიოდე სიტყვა ოჯახის შესახებაც გვითხარით.

- მყავს სამი ქალიშვილი სამ ქვეყანაში: ყაზახეთში, ყირგიზეთში და, რას იზამ, ბედია, ერთიც თურქეთში.

- თქვენ ოჯახით თუ ჩამოხვალთ საქართველოში, დავუშვათ, აწყურში დასახლდებით?

- ეს ჩვენი წინაპრებისა და ჩვენი სამშობლოა, ამიტომ აწყურიცა და ახალციხეც ყოველთვის გულის ერთი ნაწილით მუდმივად დაგვაქვს. სანამ ცოცხლები ვართ, გულიდან არ გაქრება სიყვარული ახალციხისადმი, სიყვარული აწყურისადმი, სიყვარული ქართველი ხალხისადმი, სიყვარული თბილისისა და საქართველოსი. თან დავატარებთ! ჩვენ საქართველოს ფარგლებს გარეთ ვცხოვრობთ, ამიტომ ყოველთვის გონებით, გულითა და სულით დავატარებთ საქართველოს. გულწრფელად გეუბნებით, როცა თქვენ გიხარიათ, ჩვენც გვიხარია! სასიამოვნოა, როდესაც რამე კარგს გავიგებთ საქართველოზე, როგორც მაგნიტი ისე გვიზიდავს რაღაცა ძალა ამ მიწისაკენ. ჩვენ ერთი მიწის შვილები ვართ! მე შემოქმედი კაცი ვარ. ხელოვნებას არა აქვს საზღვრები, ხოლო შემოქმედ ადამიანს (როცა რასტრაპოვიჩი დავინახე, დავამატე) არა აქვს ასაკი! ეს მე თვითონ დავამატე. როცა ნახატს ვხატავთ, მხოლოდ კი არ ვხატავთ, ჩვენ ასევე ვფიქრობთ.

- საქართველოში პირველდ ხართ, თუ ადრეც ყოფილხართ?

სარვარ სარვაროვი: ბოლომდე არ თქვა ახლა, რომ ამ მემუარებში მამამისი წერს აწყურის ტოპონიმებზე, ასევე ისმაილის ბაღზე და ბევრ საინტერესო რამეზე.

- მართალია, მამა მემუარებში იგონებს ასეთ რამესაც: როდესაც ფრონტისთვის ფულს აგროვებდნენ, 200, 300, 1000-ს აძლევდნენ. ისმაილმა ბოხჩა მოიტანა, 17 ათასი დადო მაგიდაზე. მისი ორსართულიანი სახლი ახლაც დგას აწყურში, ასევე ბაღიც. ეს ხომ ცხადია, რაზე მეტყველებს?

- როგორ მიაგენით ბაღს. იკითხეთ თუ ..?

- არა, მე და სარვარი ჩავდივართ „მარშუტკიდან“ აწყურში. სამი კაცი დგას, ერთი გამოეყო და ჩვენკენ წამოვიდა, ნუგზარი რქმევია. ჩვენ გზის აქეთ ვიყავით, ისინი - იქით. მოვიდა, ერთმანეთს მივესალმეთ, გავესაუბრეთ და ჩვენი გიდი გახდა. აწყური მოვიარეთ, მაღაზიაში შევედით, რაღაცები ავიღეთ, სახლში წავედით, სუფრა გავშალეთ. მიგვიღეს, როგორც ახლობლები. ორი დღეა, ნუგზარი გვმასპინძლობს.

- ხალხი, მოსახლეობა როგორ შეგხვდათ?

- ძალიან კარგად. იქ ოთხი სურათი დავხატე. ადგილზევე - ერთი ნუგზარი იყო, რიტუალების სახლის დარაჯიც დავხატე. წელიწადში 40-60 პორტრეტს ვხატავ, არასოდეს ამაში ფული არ ამიღია. ფული არა არის მთავარი!

ცხოვრებამ ასწავლა, რა არის მთავარი. ამიტომ ჩამოვიდა საქართველოში! ტელეფონმა შეზღუდული რაოდენობის ფოტოები დაიტია, სამაგიეროდ, გულმა და გონებამ შეინახა დაუვიწყარი დღეები, საათები, წუთები... წავიდა დიდი იმედით, რომ კვლავაც დაბრუნდება. სამშობლოში ჩამოიტანს ახალ ნამუშევრებს. ტილოებად აქცევს სიზმრად ნახულს, მამის დაწერილსა და დედის მონაყოლს, საკუთარი თვალით აღქმულ წინაპართა მიწის ხიბლსა და მშვენებას. ახლა თვითონ მოუყვება შვილებსა და შვილიშვილებს საქართველოზე, თბილისზე, ახალციხეზე, აწყურზე...

ინტერვიუერი მაკა კაჭკაჭიშვილი-ბერიძე

გოგონა ფერების სამყაროდან

პატარა ქალაქში თითქოს ყველა ერთმანეთს ვიცნობთ, მაგარამ, ნეტავ, თუ იცნობენ თამარს? ის გახლავთ ახალგაზრდა მხატვარი, რომელიც ქალაქმა გულში უნდა ჩაიხუტოს, რადგანაც თამარი ნიჭიერი შემოქმედია...

ქუჩაში მიმავალ თამარს ერთი თვალის შევლებით გამოარჩევთ. ნაცრისფერ, მოშავო მასაში, ჩვენ ხომ ძალიან გვიყვარს შავი ფერი. მოაბიჯებს ქუჩაზე, არ უყვარს ტრანსპორტით სიარული. მუდამ ფეხით არჩევს გზის გავლას და იქცევს ყურადღებას მისი ნათელი ფერი, ანთებული მწვანედ მოციმციმე თვალებით. ვისაც მისი მხატვრობა უნახავს, მიხვდება, როგორ ჰგავს საკუთარ ნახატებს თავად.

თამარი გახლავთ მხატვარი, რომელიც ყოველდღე რაღაცას ქმნის. ეძებს ფორმასა თუ ტექნიკას. შემდეგ კი გამოფენებით გვანებივრებს. მან უკვე მეოთხედ გამოფინა საკუთარი ნამუშევრები სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში. იგი მუდმივ ძიებაშია და სწორედაც რომ ყოველი ექსპოზიციის შემდეგ ვხედავ მის წინ გადადგმულ ნაბიჯებს.

თამუნა ჩემი ყოფილი სტუდენტია. ალბათ, დამეთანხმებით, რომ ცხოვრებაში უამრავი ადამიანია ჩვენ გვერდითე, ჩვენ წინ, ჩვენს წარსულში, მაგრამ ჩვენ ერთეულებს ვამჩნევთ და ვიმახსოვრებთ. სწორედ ამ ერთეულებს განეკუთვნება თამრიც, ყოველთვის გამორჩეული, ცოტა უცნაური ხასიათით, დაფიქრებული და თან პირდაპირი... შრომისმოყვარე და მუდამ სიახლის მაძიებელი.

თამარ თამარაძემ 2005 წელს წარმატებით დაამთავრა თსუ მესხეთის ფილიალის მოდელირების ფაკულტეტი. შემდეგ ახალციხის სასულიერო სემინარიაში სწავლობდა მინანქარსა და ხატწერას. ამჟამად მუშაობს ახალციხის სამხატვრო სკოლაში. უნდა ნახოს ყველამ - რა სიყვარულით, როგორი თავდადებით ასწავლის ბავშვებს ხატვას. ისეთივე მომთხოვნია მათ მიმართ, როგორც საკუთარი თავისადმი. ბავშვებს კი ისე უხარიათ თამარის დანახვა და მასთან მუშაობა, რომ გაკვეთილიდან წასვლა ეძნელებათ.

მე კი მგონია, რომ მასზე საუბარი გაუთავებლად შემიძლია, მაგრამ, ალბათ, აჯობებს მას მოვუსმინოთ:

- თამარ, არ არის მხატვარი, რომელსაც რაღაც არ უბიძგებდეს შემოქმედებაში. შენთან რა ხდება, რა არის შენი ინსპირაციის წყარო?

- გააჩნია რა ხასიათზე ვარ. ჩემს ნახატებში ჩემი განწყობა ჩანს. ზოგჯერ შეიძლება უბრალო საუბარს მოვკრა ყური და რაღაცა ნებისმიერმა სიტყვამ და წინადადებამ ნახატისკენ მიბიძგოს. ხშირად ტაძარში ლოცვის შემდეგ მომსვლია იდეა... მაგალითად, ჩემი კომპოზიციები, რომლებიც ბიბლიურ თემებზეა შექმნილი, მათი უმრავლესობა ეკლესიაში ყოფნისას, განსაკუთრებით, როცა ტაძარში მარტო ვარ, მაშინ დაიბადა.

- შენი საყვარელი ნახატი თუ გაქვს?

- ვერ ვიტყვი, რომელი ნახატი მიყვარს. მიჭირს მათი გამორჩევა. როგორც დედა ვერ არჩევს შვილებს, დაახლოებით ასე მემართება, მეც მათთან მიმართებით.

- ხშირად იცვლი სამუშაო ტექნიკას და ფორმას. რა მასალ გაინტერესებს და სად გრძნობ თავს უკეთ...?

- ვფიქრობ, გრაფიკა მეტად მიყვარს, ვიდრე ფერწერა, ვერ ვიტყვი, უკეთ რომელი გამომდის, მაგრამ ზეთში მუშაობისას დიდ სიამოვნებას განვიცდი. რაც შეეხება ვიტრაჟს, ეს ტექნიკა თავიდან მართობდა, თუმცა მასზე მუშაობისას საინტერესო ტექნიკური აღმოჩენები გავაკეთე.

- ხშირად პორტრეტებს ხატავ, მე ვიცი, შენ საუკეთესო მამა გყავდა, ის იყო შენი „თეო“ (როგორც ვან გოგის ძმა), დაგიხატავს მისი პორტრეტი?

- კი, მამა ხშირად მყავს დახატული, არ მწყინდებოდა მისი ხატვა, თითქოს მის ყოველ ნაკვთს ვიზეპირებდი. მამა ჩემი საუკეთესო მრჩეველი, მეგობარი, მოსაუბრე ადამიანი იყო. ძალიან დამაკლდა. იყო ერთადერთი ადამიანი, რომლის შეფასებაც ჩემთვის მისაღები იყო, პირველი შემფასებელიც მამა გახლდათ. კარგად ერკვეოდა ხელოვნებაში და ამიტომაც იყო მნიშვნელოვანი მისი აზრი.

- რას იტყვი ავტოპორტრეტზე? აქ გულღიად იცინი. მე არც მახსენდება გაცინებული ავტოპორტრეტი....

- ეს პორტრეტი ჩემი შინაგანი განწყობაა. მიყვარს სიცილი, განსაკუთრებით მაშინ, როცა ცუდად ვარ.

- გამოდის, რომ, თუ იცინი, ცუდად ხარ?

- კი ასე, ამ პორტრეტზეც მაშინ ვმუშაობდი, როცა სულიერად ძალიან ცუდად ვიყავი და ამიტომაც იცინის ავტოპორტრეტი.

- რას აირჩევდი, რომ არა მხატვრობა?

- ალბათ იურიდიულზე ვისწავლიდი. გეგმაც ასეთი მქონდა: მისაღები გამოცდების ჩაბარებისას, თუ ვერ მოვხვდებოდი ხელოვნებაზე, მაშინ იურიდიულზე ვცდიდი. დედის ნათესაობა იურისტები მყავს და ალბათ ამან განაპირობა ამ პროფესიისადმი ინტერესი. აი, მხატვარი კი - გარშემო არავინ არა გვყავს ხელოვანი და თავადაც მიკვირს, რატომ ვხატავ. ალბათ ესეც მამის ხელოვნებისადმი სიყვარულმა განაპირობა.

- რატომ არ ცდილობ, სადმე სხვა ქვეყანაში წასვლას, ეს ხომ მხატვრისთვის აუცილებელია (მე ამას დროებით გისურვებდი, რადგან შენნაირი ქართველები აქ გვჭირდება).

- მოგზაურობა ჰაერივით სჭირდება ადამიანს, მით უფრო ხელოვანს, მაგრამ... აი, მამა რომ მყოლოდა, ალბათ, ხშირად ვიმოგზაურებდი, ამისრულდებოდა ოცნებები, მაგრამ ჩვენი ხელფასებით შორს ვერ წავალთ. ალბათ, ისევ ნახატები თუ მამოგზაურებენ გაყიდვის შემთხვევაში (იცინის).

- რას იტყვი სიყვარულზე? რამდენი დაგახატინა....

- სიყვარულით არცერთი არ დამიხატავს, რადგან არც შეყვარებული არ ვყოფილვარ. როგორც ჩანს, ეს ნიჭი არ მაქვს.

- რას გეგმავ და ან საერთოდ გეგმავ კი რამეს წინასწარ?

- წინასწარ დაგეგმილი არასოდეს არაფერი ამსრულებია, ამიტომაც გადავეჩვიე დაგეგმვას.

- შენ ჩემი გამორჩეული და საყვარელი სტუდენტი იყავი, შენ თუ გყავს ასეთი მოსწავლე და რითი გამოარჩევ მას სხვებისგან?

- კი, ალბათ, არ უნდა ვარჩევდეთ, რადგან ბავშვები ყველანი საყვარლები არიან, მაგრამ ვარჩევ ნიჭიერებისა და ბუნების გამო. ბავშვები ულამაზეს, სუფთა ენერგიას აფრქვევენ და არ შეიძლება მათთან ცუდად იგრძნო თავი.

- მოგწონს ქალაქი, სადაც ცხოვრობ და ხედავ აქ შენი განვითარებისა და წინსვლის საშუალებას. რას შეცვლიდი შენს ცხოვრებაში?

- აქ გავიზარდე და მიყვარს ეს ქალაქი. აქ ყველა და ყველაფერი ჩემია. ადამიანების სითბო მავსებს და მახატინებს. თუმცა, როგორც ხელოვანისთვის ძალიან პატარა ქალაქია და უპერსპექტივო. სამწუხარო, მაგრამ მე ასეთი შეგრძნება მაქვს. მიუხედავდ ამ წუხილისა, მინდა, მადლიერება გამოვხატო ბატონი მერაბ ბერიძის მიმართ, რადგანაც მისი მახარდაჭერით უკვე რამდენიმე გამოფენა მოვაწყე ჩვენს უნივერსიტეტში. ეს გახლავთ ადგილი, სადაც გრძნობ, რომ ხელოვნება უყვართ და იციან მისი ფასი. მინდა მად-

ლობა ვუთხრა ყველას, ვინც დამითმო დრო და მოვიდა ჩემს გამოფენაზე. ეს გარემოება ნამდვილად მეხმარება იმაში, რომ გავაგრძელო ცხოვრება და ხატვა ჩვენს პატარა ქალაქში.

- რაზე გწყდება გული, რა გიხარია ყველაზე მეტად, რაზე ოცნებობ?

- გული მამის დაკარგვამ დამწყვიტა, მახარებს ისევ ჩემი ოჯახი და ხატვა. ვოცნებობ იმდენი თანხა მომეცეს, რომ ძალიან ბევრი საღებავი ვიყიდო და ვხატო იმდენი, რამდენიც მინდა.

არ შემიძლია, არ შევეხო თამარის ნამუშევრებს. მას აქვს ნათელი, კონტრასტული კოლორიტის მქონე ფერწერა. თამარი მრავალფეროვან კომპოზიციებს ქმნის. ეს გახლავთ ბიბლიურ თემებზე შესრულებული კომპოზიციები, პორტრეტები, თამამად გადმოსცემს საკუთარ მსოფლმხედველობას ფერწერებში. არის თემები, რაზედაც ყველა ჩვენგანს გვიფიქრია და გვიმსჯელია საკუთარ თავთან და გიხარია, როცა შენთვის ნაცნობ თემებს ხედავ ტილოზე გადატანილს. თამარი ყოველივე განცდილსა და წარმოსახულს საინტერესოდ და ოსტატურად გადმოგვცემს თავის შემქმედებაში. ის ნამდვილი შემოქმედია. დაუღალავი, ენერგიული და ცოტა უცნაური ხასიათით. ვუსურვოთ მას წარმატება. მე მჯერა, რომ ის საზოგადოებას დაამახსოვრებს თავს, როგორც საინტერესო მხატვარი. ქალაქელებმა კი მინდა, ახლავე გაიცნონ, ინახულონ მისი გამოფენა და დარწმუნებული ვარ, თამარის ნათელი ფერები მათაც გაუნათებს გულებს.

ინტერვიუერი ლელა ფერაძე

დებიუტი

ნინი გვირჯიშვილი



დაიბადა ასპინძის რაიონში სოფელ ჭობარეთში 1992 წელს. სწავლობდა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ბიზნესის ადმინისტრირების ჯერ საბაკალავრო და შემდეგ სამაგისტრო პროგრამაზე.

მეუდაბნოე

მამსუბუქებენ
ფიქრები და
წვიმის წვეთები,
რადგან ცოდვების ნიაღვრები
მიაქვთ გულიდან.
ჭიდან ამოზრდილ ბალერინებს
ფრთხილად ვეხები,
ვერხვი ხმაურობს და
ვინ იცის,
დრო რას მოიტანს...
ქარში დაგრეხილ მოცეკვავე,
ყვითელფოთლიან...
ფიქრი გავრეკე აზიისკენ
ოქროსფერ გზებზე....
თეთრი რაშები ნისლში
ცურვით, სწრაფად მოქრიან.
მე უდაბური მდიდარ ველზე
„უდაბნოს“ ვეძებ...
ბედუინივით მახსენდება

დამღლელი სიცხე
და აქლემების ბეწვისფერი
ქვიშის კალათა,
ათასი ქარის გამოქროლა
სიცხეში, ღამით...
და გზის ბოლოსკენ
გრძნეულივით სუნს ვუდარაჯებ,
კვლავ ვცნობ ჰორიზონტს
უდაბნოში მიწის შემნახველს,
ვცნობ აქ ყვავილებს,
მიწის გულზე არ ინახება...
და თვალს შევავლებ პაპირუსებს,
პალმების რტოებს...
ჩემი სიცოცხლე
დაუღალავ მიწის ზმანებას
დაემსგავსება
რეალობა უარყოფილი...
მიტოვებული ბილიკები
მიწის კარებად...
თვალებს გავახელ
ბედუინი მეუდაბნოე...

***

როგორ ცივია ქარი
და ქარიც არ ქრის ახლა...
როგორ ცვივიან გარეთ
ცაცხვის ფოთლები დაბლა...
მზეს ვერ ვუყურებ-რატომ?
თვალს ვერ ვუსწორებ, ალბათ,
გულში აღარ მაქვს გული,
გულის ფეთქვა კი გაქრა...
არა, სიკვდილი არა,
ჯოჯოხეთია მწარე,
მწარე სინათლის მიღმა
ის დარჩენილი არე...
და ფიქრებს სტკივათ თავი,

ცაში სილურჯე ქრება,
დურაჯისფერი, ავი
რაღაც ღრუბელი ჩნდება...
სიცარიელე შორი
და მარტოობის ფერი...
აღარ არსებობს, მგონი,
ფოთლები ყავისფერი,
რაღაცა არის შორი
და გზა გრძელდება ხვალე,
ჩამოიღვენთა გულის
დამატებითი არე,
დღეს გამიჩერდა გული,
გზა გაგრძელდება ხვალე...
ქარი არა ქრის,
მაგრამ ისევ ცივია ქარი...
გარეთ ცვივიან დაბლა
ნეკერჩლისფერი ფრთები,
მე გული გამიჩერდა...
და ახლა ლექსებს ვყვები...

***

მე ერთი გზა მაქვს
ციდან მინამდე,
მე ერთხელ ვცხოვრობ
დედამიწაზე...
ციდან ვარსკვლავი-ციდა,
ვიწამე...
გზა შორად დავდე. ისევ
ვვლი და მე...
დაედო ფერი ცხოვრებას
ფიქრის,
გზა ისევ შორი ოცნებით
დაქრის...
მზე გვტყორცნის სხივებს,
როგორც არასდროს,
და დროც წამებში,

უეცრად გადის...
ისევ მოვდივარ მიწაზე,
როგორც ბურთის თამაშით
დაღლილი ბავშვი...
დღეს და ოცნებას
არა აქვს ბოლო...
და მე ვბრუნდები
უეცრად სახლში...

ალბათ მეც გიჟი ვარ

და მე გადავრაზე
ყველა დარაბიდან,
„ფანჯრის წვეთებიდან
მინის აორთქლებით“.
ასფალტს დავახეთქე
ძველი ლარნაკი და..
თმები შევიჭერი
(ვიცი გაოცდებით)...
ველარ გამიბედავთ,
რომ მე გიჟი ვარ და
აღარ გავიქცევი,
აღარც დავლონდები..
ცისკენ სიჩუმეა,
მზეც კი აღარ ტოკავს,
მხოლოდ სიყვარული.
ბოლავს გამუდმებით,
ძველი საკვამურიც
შავ ფერს დაიმატებს...
თეთრ თოვლს
დარჩენია რაღაც,
არ ვუტყდები....
.....
მერე მეკითხები:
- რატომ არ ლონდები?
- ახლა სიმარტოვე...

ნატო ყატაშვილი-აფაქიძე

დაიბადა 1975 წლის 17 აპრილს, დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძეში. 1992 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა; 1997 წელს - შალვა ნუცუბიძის სახელობის უნივერსიტეტი „რიტორიკა“, ჟურნალისტიკის ფაკულტეტი.

არის რამდენიმე ალმანახის, კრებულის რედაქტორ-გამომცემელი. აქვს საკუთარი ლექსების კრებული „მზე ზღვის გადაღმა“.

ამჟამად არის დედოფლისწყაროს მწერალთა გაერთიანება „ფიროსმანის“ თავმჯდომარე.

* * *

თვითმკვლელობა არ ეპატიება,
ვინ მიიყვანა აქამდე, ფიქრობ?
იქნება შენ, მე ან უგულობამ,
ან გულცივობამ, როცა მან გვიხმო...
ჩვენ კი გავრბოდით! სხვა მხარეს. ის კი...
ცრემლით ეძებდა ბუნკერში ლუკმას,
თუ თვალს მოვკრავდით შევიბრალებდით,
თავს გავაქნევდით და მერე უკან
მოუხედავად გავრბოდით! ისევ
სხვა მხარეს... დრო არ გვრჩებოდა სხვისთვის....
ჩვენი სულისთვის გვეფიქრა თუნდაც,
ან სულაც ... მისი გადარჩენისთვის!
გავწირეთ ყველა! მოძმეც, მოყვარეც
და სხვა კი არა, ჩვენივე თავიც...
გავწირეთ! მერე, ო, საოცრებავ,
მოკვდა და მერე ვიგრძენით ვალი, -
მოყვასის... თუმცა ეს წუთით... მერე
ისევ გავრბივართ სხვა მხარეს! ვჩქარობთ!
ის კი ეწამა მშიერი აქ და...

* * *

მე ამ დილითაც ავივსე ლექსით,
წუხელ ახალი ოცნება ვშობე,
ვითომ ზეცაში ვცეკვავდით ტანგოს,
მეცვა ყვითელი ფოთლების ბოდე.
მე ამ დილითაც ავივსე ლექსით
და ვიდრე დავცლი სულს სტრიქონებად,
ჩამაცვი თეთრი ოცნების კაბა,
რომ აღარ მექცე ხვალ მოგონებად,
მე დავიღალე ლოდინით ძლიერ,
ლოდინით დღე და სიზმრად ლოდინით,
თუ უშენობას მომისჯი დღესაც,
მოვალ სიზმრების ანგელოზივით
და ჩამოგაღვრი თვალებზე სევდას,
სევდას, რომლითაც ფოთლებმა მომრთეს,
შემომაძარცვავ ტკივილებს კოცნით,
ყვითელ სევდას და ფოთლების ბოდეს.
... მე ამ დილითაც ავივსე ლექსით...

* * *

თითქოს წარსული დაგრჩა ბაქანზე...
ფანჯრიდან შემხვედრ ვაგონებს ითვლი,
შენ ყოყმანობდი გზაგასაყართან...
დღეიდან სულ სხვა სვლა-გეზით ივლი.
ღია ფანჯრიდან მოჰქონდა ნიავს
იასამნების სუნი... და რელსებს
შორს, შორს მიჰყავდა მატარებელი...
იქ კი ტოვებდი უშობელ ლექსებს,
რომლებსაც ვეღარ დაწერდი მისთვის...
თუმცა ღირდა კი, რომ გყავდა მუზა,
წყებად მოგდევდა იასამნები
და იწყებოდა დიდი პაუზა
შენი ლექსების, ... უკან რჩებოდა
სიცარიელე ღია ბაქანთან
და აღარავინ იდგა თავდახრით
შენს მოლოდინში გზაგასაყართან.

მე გაპატიებ

თებრონესავით შევიდგამ კოკას,
დარდასაყრელად წყაროზე ჩავალ.
შემოვიბურავ მანდილს და მორცხვად
ჩამოვისწორებ ფოჩებს და დალალს.
ამოვუყვები შიშველი ფეხით
ბილიკს და მზერას წამოვკრეფ მრავალს.
იმ „ჭორიკანა ჭადარს“ ჩავუვლი,
სოფლის შავ-თეთრს და ავ-კარგს რომ მალავს.
მერე შემოვდგამ ჯორკოზე კოკას,
გადავევლები უბელო ლურჯას,
დარდასაყრელად ვაგელვებ დიდხანს
და შეღამებას დავუცდი ურჩად,
რომ შენ თუ არა, ის მაინც მოვა,
მთვარე ცაზე და მიწაზე სევდა...
მერე საჩეჩელს დავართავ ნდომას,
ლექსებად მოვქსოვ, ვისწავლი თმენას.
ალიონს, გარეთ, ქარაფზე ვნახავ,
დილით, სისხამზე დავკრეფ იელებს,
მერე წლები და თვეები გავა...
რომ შემაგუონ სიცარიელეს.

მოგონებები

გულისა ჩხაიძე

დავიბადე 1948 წელს ლანჩხუთში. 1966 წელს დავამთავრე ლანჩხუთის პირველი საშუალო სკოლა.

იმავე წელს ჩავირიცხე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე. უნივერსიტეტი დავამთავრე 1971 წელს. ოცდაჩვიდმეტი წელი ვიმუშავე თბილისის 26-ე, 30-ე და 47-ე სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. მონიჭებული მაქვს უფროსი მასწავლებლის წოდება და უმაღლესი საკვალიფიკაციო კატეგორია. ჩემი წერილები და თარგმანები იბეჭდებოდა ჟურნალ-გაზეთებში: „ახალგაზრდა კომუნისტი“, „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, „ბურჯი ეროვნებისა“, „მაცნე“, „მრევლი“, „ქართული ენა და ლიტერატურა“, „გურიის მოამბე“ და სხვ.

სხვა საუკუნის მგზავრი გვიანი*

არსებობს ერთი მშვენიერი წიგნი – „დარდისას გეტყვი“. კრებულია, გიორგი ჯაფარიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი...

აქ შენი მეგობრები და მეგობრებად ქცეული შენი ნასტუდენტარები წერენ შენზე, გიორგი... ამ წიგნში იმდენი კარგი რამ არის შენზე ნათქვამი! აქ ნათქვამია, როგორი ვაჟკაცი იყავი, როგორი უშიშარი და გამბედავი; როგორი მეგობრობა იცოდი, როგორ გიყვარდა შენი სამშობლო, შენი ხალხი; როგორ გიყვარდა ქართული ლექსი და ყოველივე ქართული; რა ღრმა იყო შენი ერუდიცია, რომელსაც უფრო მალავდი, ვიდრე ამზეურებდი; როგორი თავმდაბლობით გამოირჩეოდი, იუმორის რა საოცარი ნიჭით იყავი დაჯილდოებული...

აქ არის შენი ძალიან საინტერესო წერილებიც...

---

* გაგრძელება — შემდეგ ნომერში.

ვინც გიცნობდა, ამ წიგნის წაკითხვის შემდეგ კიდევ მწარედ დაეننანები. შენ ხომ ნაადრევად წახვედი ამ ქვეყნიდან. ვინც არ გიცნობდა, გული დასწყდება, რატომ არ ვიცნობდიო.

მადლობა ღმერთს, რომ მე შენ შეგხვდი, გიორგი. მე შენ გიცნობდი და გიცნობდი ძალიან ახლოს. ახლობლები იურას გეძახდნენ. მეც ასე მოგმართავდი.

მე შენზე ახალს, ალბათ, ვერაფერს ვიტყვი, მხოლოდ მოვყვები იმ ამბებს, ერთად რომ გადაგვხდენია თავს. იმ დღეებს გავიხსენებ, შენთან ერთად რომ გამიტარებია; იმ ადამიანებს, ვისაც შენთან ერთად და შენი წყალობით შევხვედრივარ, ჩემო მასწავლებელო, ჩემო უფროსო ძმაო და მეგობარო. ისე მოვყვები, როგორც იყო. ისე ლამაზი იყო ყველაფერი, შელამაზება რად უნდა? უბრალოდ მოვიგონებ.

...მაგრამ ცოტა შორიდან დავიწყებ.

1966 წლის შემოდგომაა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი ვარ. მანანა ჭინჭარაულთან ვმეგობრობ. ხევსური ავირჩიე მეგობრად, რა თქმა უნდა. სკოლის მერხიდან ვარ შეყვარებული ხევსურეთზე. ბარის გურიაში დაბადებული და გაზრდილი ვარ (თუმცა, ყოველ ზაფხულს ბახმაროში ავდიოდით). ხევსურეთი ჩემი ოცნებაა. მე ის ხევსურეთი მიყვარს, რომელსაც დიდი ვაჟა ხატავს... „თუ ხელის მოჭრა მდომიყო, განა ვერ მოვსჭრიდი თავადა?!“...მიყვარს გურამ რჩეულიშვილის თვალით დანახული ხევსურეთი... მზია ბათარეკას ასული ჭინჭარაული... მე აუცილებლად უნდა ვნახო ეს ზღაპრული მხარე. მე აუცილებლად უშუალოდ უნდა გავიცნო ხევსურეთი და ხევსურები. მე უნდა ვნახო ხახმატი, გუდანი, შატილი, არხოტი...

მანანა ორი წლის იყო, როცა საბჭოთა მთავრობამ მისი ოჯახი სხვა ხევსურულ ოჯახებთან ერთად შატილიდან კახეთში ჩამოასახლა. ჩემი მეგობარი გატაცებით მელაპარაკება თავისი მშობლიური კუთხის შესახებ, ბევრი რამ იცის, მაგრამ... ბარში ჩამოსახლების შემდეგ აღარ უნახავს ხევსურეთი. მაშინ კი მხოლოდ ორი წლის იყო...

და ერთ დღეს მე და მანანამ უნივერსიტეტის ვესტიბიულში განცხადება წავიკითხეთ – ტალპინიადა ეწყობოდა ხევსურეთში, ჭაუხებზე. ჩვენს სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა. მაშინვე გადავწყვიტეთ, გავყოლოდით ალპინიადას.

ასე დაიწყო ყველაზე ლამაზი დღეები ჩემს ცხოვრებაში.

საბარგო მანქანაზე დაგვსხეს. სულ მაღლა-მაღლა მივიწევთ. გავიარეთ დიდებული დარიალის ხეობა. ამ მთებს რომ უყურებ, გგონია, სადაცაა გაფრინდები. გული მკერდში აღარ გეტევა. ნისლებში გავეხვიეთ... ჩავედით ხევსურულ სოფელში, ჯუთაში, არაბულების სოფელში. კარვები გავშალეთ. მანანა მალე გაიცნეს ჯუთელებმა. მამამისს, ბატონ ალექსი ჭინჭარაულს, აქ ყველა იცნობდა. სახლებში ეპატიჟებოდნენ. მე მანანას არ ვშორდებოდი და ასე ვხდებოდი მეც ჯუთელების სტუმარი. ულამაზესი, მთის ძირში განფენილი ჯუთა მაშინ კარგა მოზრდილი სოფელი იყო. თხელი თოვლი იდო. უკვე ღუმელი ენთოთ. წივას წვავდნენ. ეს მხოლოდ გამეგონა. ხევსურები ძალიან ხალისიანები აღმოჩნდნენ. ხმამაღლა ლაპარაკობდნენ, იცინოდნენ - კაცებიც, ქალებიც. მე თითქმის არაფერი მესმოდა მათი საუბრიდან. ხევსურული დიალექტი ძნელად გასაგები იყო ჩემთვის, მაგრამ რაღაცნაირად შინაგანად ახლობელი და ამაღელვებელი. მანანა შიგადაშიგ მიხსნიდა. თვითონაც ცდილობდა, ხევსურულად ელაპარაკა. ჯუთაში ერთი არხოტიონი იყო გადმოსული, ვალიკო ოჩიაური, აი, ის, გურამ რჩეულიშვილი რომ ახსენებს მოთხრობაში „სიკვდილი მთებში“, ელპიდე რომ დაამარხვინა ალფრედ კურელას. მე ახლაც მოთხრობას ვკითხულობდი, ასე მეგონა. არადა, ვალიკო ოჩიაური ნამდვილად იჯდა ჩემ წინ, მუხლზე ხელისგულს ირტყამდა და ხარხარებდა, მანანას ხევსურულს რომ ისმენდა. მანანა წითლდებოდა, ეტყობა, მთლად უნაკლოდ ვერ ლაპარაკობდა, მაგრამ მაინც მონდომებით განაგრძობდა ხევსურულად საუბარს. დაუჯერებლად ბედნიერი ვიყავი. სწორედ ასეთ სახლში მინდოდა მეცხოვრა, ნახევრად ბნელში, მიწურში, დაბალჭერიანში, სადაც შემწვარი ხორცისა და ჟიპიტაურის სუნი იდგა. ასე იწყებოდა ჩემი ხევსურეთი, ჩემი თვალით ნანახი და ჩემ მიერ უშუალოდ განცდილი. სულ ირგვლივ ვიხედებოდი. რაღაც უზომოდ მიხაროდა, ფრთები მესხმებოდა, მაგრამ მაინც გაუნძრევლად ვიჯექი, სუნთქვაშეკრული და თვალებგაფართოებული.

ამ ალპინიადის მონაწილეთა შორის იყვნენ იურა ჯაფარიძე და თემურ მაღლაფერიძე. მე და მანანას ისინი მაშინ არ გაგვიცნია. იურას დიდ ალპინისტად ვთვლიდი და რიდით ვუყურებდი. თურმე, ალპინისტებს მაინცდამაინც ვერ ეწყობოდა, რადგან იმათ წესებს ვერ ემორჩილებოდა. იურა და თემური სხვა ალპინისტებთან ერთად

ქართულ ხალხურ სიმღერებს მღეროდნენ. იურას ხმა ყველასაგან გამოირჩეოდა. თითქოს ომში იყო, იბრძოდა და ხაფი ხმით ყიოდა.

მწვერვალი დავლაშქრეთ თოკებით ერთმანეთზე გადაბმულებმა, წინ მანანა მიდიოდა და უკან მე. ეს იყო პირველი კატეგორიის მწვერვალი დამწყები ალპინისტებისათვის. ამის შემდეგ ჩვენ ალპინისტის სამკერდე ნიშნები მოგვცეს, ანუ გავხდით ე.წ. ნიშნოსნები. იურა არ ამოსულა იმ მწვერვალზე, არც თემურ მაღლაფერიძე. ალბათ, სხვა მწვერვალზე ავიდნენ.

ჯუთიდან როშკის გზით წამოვედით, ფეხით. როშკაში ღამე გავათიეთ. არ მახსოვს, სხვებს სად ეძინათ, მაგრამ მე და მანანა ერთმა ოჯახმა მიგვიღო სტუმრად. მანანა მიიღეს, როგორც ხევსური, როგორც შინაური. მაშინ პირველად დავიძინე ხევსურულ სახლში. როშკაშიც თხელი თოვლი იდო. სახლში თბილოდა. ღუმელი ენთო. ჭრაქი ანათებდა. ჯიხვის ხორცით და ერბოში შემწვარი კარტოფილით გაგვიმასპინძლდნენ. პირველად ვიგემე ჯიხვის ხორცი. ხალისიანი საუბარი გაგვიბეს. ისევ მანანა მეხმარებოდა, ცოტას ახლა მეც ვხვდებოდი. ხევსურებს იუმორის გრძნობაც არ აკლდათ. იმ სითბოსა და სიმყუდროვეში ჩაგვეძინა ჩვენ-ჩვენს საძილეებში. გამაბრუებლად მოქმედებდა მთის სახლის სუნი. როშკა წიკლაურების სოფელია და ჩვენი მასპინძლებიც, რა თქმა უნდა, წიკლაურები იყვნენ. ერთი ახალგაზრდა ქალის სახელი მახსოვს, ძილა ერქვა. დილით ფოტოც გადავიღეთ მასპინძლებთან ერთად. თბილისში რომ დავბრუნდით, დიდი ხანი არ იყო გასული და გავიგეთ, ძილა ავტოკატასტროფაში დაღუპულიყო. ძილას ქალაქის ნახვა უნდოდა...

როშკიდან ბარისახოში ჩავედით, მერე ჩარგალი, დიდი ვაჟას სახლ-მუზეუმი... და ეს იყო ჩემი პირველი მოგზაურობა ფშავ-ხევსურეთში. შთაბეჭდილებებით დახუნძლული დავბრუნდი თბილისში.

მეორე კურსზე ვიყავი, როცა ხევსურეთში მეორედ წავედი. 1968 წელია, იანვარი. ამჯერად ფოლკლორულ ექსპედიციას გავყევი. ეს იყო პირველი ფოლკლორული ექსპედიცია ზამთარში. სულ ორიოდე კვირის გარდაცვლილია ნოდარ ჩხეიძე, ლიტერატურათმცოდნე, კრიტიკოსი. უბედურ შემთხვევას ემსხვერპლა ნიჭიერი ახალგაზრდა კაცი. ჩვენი ექსპედიცია სწორედ მის ხსოვნას მიეძღვნა. სულ შვიდნი ვიყავით: გიორგი ჯაფარიძე (ხელმძღვანელი), ომარ გოგიჩაიშვილი, ჯარჯი ფხოველი, ჯემალ აჯიაშვილი, მიხეილ არაბული, მანანა ჭინჭარაული და მე.

ბნელოდა, სახლიდან რომ გამოვედი. ჯერ გათენება შორს იყო. ვერაზე ვცხოვრობდი. ჩემი ვეებერთელა ზურგჩანთით ჩავიარე ბელინსკის ქუჩა, ჩავიარე ელბაქიძის დაღმართი და მივედი ავტოსადგურში, რომელიც იქვე იყო, გალაკტიონის ხიდთან (მაშინ ელბაქიძის ხიდი ერქვა). დუშეთის ავტობუსს გავყევით. როგორც მახსოვს, ბარისახომდე თბილისიდან ავტობუსი არ მიდიოდა. დუშეთიდან მაღაროსკარში ჩავედით და გრიშა ბილიხოძის ოჯახს ვესტუმრეთ. ეს გურული კაცი ფშავში ცხოვრობდა, სოფლის საბჭოს თავმჯდომარე იყო, თუ არ ვცდები. მეუღლე ფშაველი ჰყავდა. ბატონი გრიშა ბიძად ეკუთვნოდა თემურ მაღლაფერიძეს და იურასაც კარგად იცნობდა. დიდი პატივი გვცეს. ღამეც იქ გავათიეთ და მეორე დღეს ხევსურეთისაკენ გავწიეთ, მაგრამ რით ვიმგზავრეთ, აღარ მახსოვს.

დიდი თოვლი იდო პირაქეთა ხევსურეთში. ბარისახომ გულთბილად მიგვიღო. სკოლა-ინტერნატის შენობაში გამოგვიყვეს ერთი ოთახი. ბავშვები შემოგვეხვივნენ, ულამაზესი, უსაყვარლესი ბავშვები, უმრავლესობა – ქერათმიანი, ცისფერთვალება, მწვანეთვალება... ჩვენ, მე და მანანა, უფროსკლასელ გოგონებს დავუმეგობრდით. ყველა გოგონას ერთნაირი ცისფერი პალტო ეცვა.

მე და მანანა დიდი მოკრძალებით ვექცეოდით ექსპედიციის ხელმძღვანელს, „ბატონოთი“ და „თქვენობით“ მივმართავდით. იურამ ერთ-ორ დღეს ითმინა, მერე კი გამოგვიცხადა, „ბატონო“ და „თქვენ“ არ გამაგონოთო. გაგვიჭირდა „შენობაზე“ გადასვლა, მაგრამ რას ვიზამდით? ასაკით ჩვენზე შვიდი-რვა წლით უფროსი იქნებოდა. შვიდი-რვა წელი მაშინ ჩვენ ბევრი გვეგონა, თანაც ექსპედიციის ხელმძღვანელი იყო...

ბარისახოში ჩასვლიდან მეორე დღეს ჩირდილს ვეწვიეთ. სოფელში მხოლოდ ერთი კაცი დაგვხვდა, ხნიერი, მოღუშული ხევსური. იურამ დიდხანს ისაუბრა მასთან და მაგნიტოფონზეც ჩაწერა მთელი საუბარი.

სპეტაკ თოვლში იყო ჩაფლული არემარე. მეფობდა დუმილი და სიდიადე. ჰაერი იყო სუფთა და გამჭვირვალე, უხვად გვთავაზობდა მთა ამ მადლიან ჰაერს. თავს ისე ვგრძნობდი, თითქოს დიდი ხნის ნატარები ბორკილები მომაშორეს. როცა ზემოთ ავდიოდით, ჩირდილისკენ, მე და მანანა ბიჭებს მივდევდით უკან. ისინი მიკვალავდნენ თოვლს, ხოლო, როცა ქვემოთ დავეშვით, გოგონები გავთამამდით, გაკვალულ გზაზე აღარ მოვდიოდით, ფაფუკ თოვლში ვაბიჯებდით, ვეფლობოდით, ერთმანეთს ხელს ვკრავდით და ხმა-

მაღლა ვიცინოდით, აღარც ხელმძღვანელის გვერიდებოდა და არც სხვების. ბიჭები ცოტა გაკვირვებული სახეებით გვიყურებდნენ, მაგრამ ეს ჩვენ არ გვანაღვლებდა. როცა ბარისახოში ჩამოვედით, ომარ გოგიჩაიშვილმა თქვა, ამათ კინაღამ კლასი დავუხატეო. მთლად ბავშვებად ჩაგვთვალა. მართლა არ ვიყავით მე და მანანა ბავშვობის ასაკიდან გამოსული – ის თვრამეტი წლისა იყო, მე – ცხრამეტის.

მეორე დღეს გველეთს ვესტუმრეთ გიორგი და ტარიელ არაბულების ოჯახს. ტარიელი ჩემი ტოლი იყო, სოფლის მასწავლებლად მუშაობდა და თან დაუსწრებლად ისტორიულზე სწავლობდა. იმ საღამოს გვიანამდე ვისხედით სუფრასთან და ენთო პოეზიის ცეცხლი. იურას მაგნიტოფონი უქმად არ იყო. დასაძინებლად ერთი მოზრდილი ოთახი მოგვიჩინეს. გავშალეთ ჩვენი საძილეები და ჩავწექით. ნაშუაღამევს იურას გაეღვიძა და დამიძახა: გულისა, ადექი, იქ შემოსასვლელში ლუდის ბოცა დგას და შემოიტანეო. მე წამოვიწიე. მართლა დგებაო და სიცილი აუტყდა. სხვებსაც გამოეღვიძათ. იურამ შემოგვთავაზა, მოდი, ახლა ლექსები ვთქვათო. არ მახსოვს, რა ლექსი თქვა მიხამ ან ომარმა. ჯარჯის, მგონი, არაფერი უთქვამს. მე ვთქვი „შემოდიოდა ჩიჩილაკებით ჩვენში კალანდა“. მანანამ თქვა „ქარი ჰქრის“. ჯემალ აჯიაშვილმა სპარსული ლექსი გვითხრა, რომელიც ასე მთავრდებოდა: „შარაფ, შარაფ! აფსუს, აფსუს!“. მე იურას გავუბედე, ახლა შენ თქვი ლექსი-მეთქი. მე ლექსები არ ვიციო. აბა, წუხელ სუფრასთან რომ თქვი-მეთქი? მართლა ვთქვიო? თქვა, რა თქმა უნდა“, შარაფ- შარაფში“. მართლა თქვი-მეთქი:“ მაია, სად მიხვალ? ქმართან მივდივარ“..., გაიმეორე-მეთქი, გამეორება ცოდნის დედაა, მაგრამ მაინც არ გავიმეორებო.

დილით თოვაში დათვისისკენ გავწიეთ. ვესტუმრეთ მინდია არაბულის ოჯახს. ისე, როგორც ყველგან, სადაც მივსულვართ, აქაც ხალხური ლექსების სიუხვეს ახლავს უხვი და გულითადი მასპინძლობა. ვისაც მინდია არაბული ერთხელ მაინც უნახავს, შეუძლებელია, დაავიწყდეს ის ახოვანი, ღირსებით სავსე, მთასავით უდრეკი ხევსური (პოეტ კობა არაბულის მამა). მინდიას ოჯახიდან ზევით გავემართეთ. იქ გველოდება ჩვენი ექსპედიციის წევრის მიხა არაბულის დედა – ლელა, გველოდება თბილი კერა და ღამის გასათევი. იწყება ხინკლის სამზადისი. იქ პირველად ვნახე, როგორ

კეპავდნენ ხანჯლით სახინკლე ხორცს. თვითონ მიხა კეპავდა. წავიდა შარაფ-შარაფი ხინკლითა და ჟიპიტაურით.

გათენებისთანავე ავდექით ყველანი. ნამთვრალევი ბიჭები ცუდ გუნებაზე არიან. თავჩაქინდრულნი სხედან ცეცხლთან. მე მათ შევთავაზე, კარტოფილის პიურეს გაგიკეთებთ-მეთქი. არ მიხუმრია. გულწრფელად მეგონა, რომ გაუხარდებოდათ. მიხას სახლში ბევრ კარტოფილს და ერბოს ვხედავდი. თავი არცერთს არ აუწევია. დუმილი ომარ გოგიჩაიშვილმა, ჩემებურმა, გურულმა, დაარღვია: ეიღე, აი, შეშა და ჩამარტყი თავშიო. პიურე გვინდა ახლა ჩვენო?

როცა მოვდიოდით, მიხამ ყველას დაალევინა საკართანო. მხოლოდ მე ვიუარე. მაძალებდა. ყანწი ხელში მომაჩეჩა. საშველი რომ არ მომცა, ავდექი და ჟიპიტაური თოვლში გადავღვარე. მიხამ გაიცინა, თუმცა შეიძლება ეწყინა ან გულში შეიძლება გაბრაზდა კიდეც. მერე მუდამ მახსენებდა, როგორ გადავუღვარე არაყი თოვლში.

ისევ ბარისახოში ჩამოვედით. ამასობაში გაბრიელ ოჩიაური დაბრუნებულიყო თბილისიდან. მას იურაც იცნობდა, ომარიც, მიხაც, ჯარჯიც. ყველასათვის ახლობელი იყო, მაგრამ მაინც განსაკუთრებული სიყვარული და პატივისცემა ჰქონდათ ერთმანეთისა გაბრიელსა და იურას. გიორგის ეძახდა, იურას – არა. ის ჩემთვის გიორგიაო. თითქმის თანატოლები იყვნენ. გაბრიელი დაუსწრებლად სწავლობდა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, სატყეოზე და ამავე დროს ფშავ-ხევსურეთის მთავარ მეტყევედ მუშაობდა. თვალისჩინივით უფრთხილდებოდა თავის ტყეებს. თითქოს ხოგაის მინდია გაცოცხლებულიყო. მაშინ სატყეოს შენობაში ერთი ოთახი ეჭირა, ჩვენც მასთან გადავბარგდით. ბიჭებს იქ ეძინათ, მე და მანანას კი თებრო დეიდასთან. თებრო მანანას დედის და იყო. ძალიან გემრიელ წვნიანს გვაჭმევდა – ხორციან-კარტოფილიანს, უმწვანილოს. პიტნის ჩაის გვასმევდა, მურაბიანს. ფუმფულა მატყლის საბნებს გვახურავდა.

დღისით გაბრიელის ოთახში ვისხედით. სკოლა-ინტერნატის მოსწავლეებმა თავიანთი რვეულები გადმოგვცეს, სადაც ხევსურული ხალხური ლექსები ჰქონდათ ჩაწერილი. ჩვენ, მე და მანანა ჩვენს რვეულებში ვიწერდით. ზოგიერთმა ბავშვმა უშუალოდაც ჩაგვაწერინა. მახსოვს ძალიან ცოცხალი, ხალისიანი, ენაკვიმატი 15 წლის ბიჭი გივი ბაბოს ძე შეთეკაური, ხონისჭალელი, რომელმაც ასეთი სახუმარო ლექსი ჩამაწერინა:

„ბანზეით გადმაფრენაში
ძაღლს დავეჯახე, მურასა,
ზედაზე შავიყარენით,
გადავჯე ცხენებურასა“.

ჩემი ჩანაწერები უნივერსიტეტში ფოლკლორისტიკის კათედრაზე მქონდა ჩაბარებული. როცა ამ მოგონებების წერა დავიწყე, საჭიროდ დავინახე მათი გადათვალიერება. მოვიძიე არქივი, ვიპოვე ჩვენი რვეულები, თითქმის ყველა. ბევრი მთქმელი, ბევრი სოფელი გამახსენა ამ რვეულებმა. ზოგიერთი რამ, რაც ნათლად არ მახსოვდა, არქივის საშუალებით დავაზუსტე.

გაბრიელთან პირველი პურობისას მასპინძელმა ტაბლას ნოდარ ჩხეიძის სახელი დასდვა. როგორც ჩანს, ისიც იცნობდა. საერთოდ, იმ ექსპედიციაში სულ ნოდარ ჩხეიძის შესახებ საუბრობდნენ, განსაკუთრებით, იურა ბევრ რამეს იგონებდა მასზე.

იურასაგან გავიგე, გაბრიელს თავის ქალის ტრეპანაცია ჰქონოდა გაკეთებული განთქმულ ხევსურ დასტაქართან, ბაძია ჭინჭარაულთან. ამ ურთულესი ოპერაციის დროს, რომელიც ყოველგვარი გაუტკივარების გარეშე ტარდებოდა, ხევსურები არც კი კვნესოდნენ, რადგან ეს სირცხვილად ითვლებოდა. იურას უკითხავს გაბრიელისთვის, შენ რას შვრებოდი იმ დროს, როცა ბაძია ოპერაციას გიკეთებდაო. გაბრიელს უპასუხია, მე გაზეთს ვკითხულობდიო.

გაბრიელი მხოლოდ ხევსურულ დიალექტზე საუბრობდა, კილოს არც მთაში იცვლიდა და არც ბარში. არაჩვეულებრივად იცოდა ქართული სალიტერატურო ენა, მაგრამ მას სხვანაირად საუბარი არ შეეძლო, ისევე როგორც არ შეეძლო უხევსურეთოდ ცხოვრება და იმ გამონაკლისთა შორის აღმოჩნდა, ვისაც არც უფიქრია ბარში ჩამოსახლებაზე, გაქალაქელებაზე, მშობლიური კუთხის დატოვებაზე.

იმ დროს ბარისახოში ცხოვრობდა პოეტი ალუდა არაბული. სვანი მეუღლე ჰყავდა – ლირა კუსიანი, ძალიან გულთბილი და სტუმართმოყვარე ქალბატონი. ალუდა სკოლაში ისტორიას ასწავლიდა, საოცრად თბილი და გულისხმიერი ადამიანი იყო. ასეთი თვისება ჰქონდა: რომ გესაუბრებოდა, იღიმებოდა და სიყვარულით ჩაგცქეროდა თვალებში. ეს მზერა სულის სიღრმემდე გწვდებოდა და გათბობდა. ექოსავით ხმა ჰქონდა. ალუდა ძალიან უხდებოდა იქაურობას. მერე ისიც თბილისში გადმოსახლდა. ალუდა ფინურ სახლში ცხოვრობდა დედასთან და ცოლ-შვილთან ერთად. რა თქმა უნდა, მანაც მიგვიწვია სტუმრად. შემოდიოდა და შემოდიოდა ორთქლად-

ენილი ხინკალი, იყო სითბო, სიყვარული და ახლობლობის საოცარი განცდა. მე ვგრძნობდი, რომ არავისთვის უცხო არა ვარ. მე ვარ სამშობლოში... ამასვე გრძნობდნენ, ალბათ, სხვებიც.

სხვათა შორის, ალუდამ მშვენიერი ლექსი უძღვნა გაბრიელ ოჩიაურს:

„ჩემო გაბრიელ, - ესაა ერის
სიმდიდრე, ლხენა და სიცხოველე, -
ტყე თუ შრიალებს და წყარო მღერის,
მუნ მართლა მღერის ცის ქვეშ ყოველი.
დღეს რომ უხსენო დგნალი და წნორი, -
მოიქექავენ ზოგები კეფებს...
შენა ხარ ახლა ნამდვილი ლომი,
და ხევსურეთის ტყეების მეფე...
და რომ ხსენება იფნის და თელის
არ დაგვიძვირდეს, წინარე ყოვლის,
მართლა სჭირდება ჩვენს ტყეებს შველა, -
ტყეში ბუხუნი შენნაირ ლომის“.

მეორე დღეს გაბრიელი ლიქოკისკენ გაგვიძღვა. მანანა შეუძლოდ იყო და ბარისახოში დარჩა. ბიჭები მძიმედ მოდიოდნენ, ჟიპიტაური არ გამონელებოდათ. მე მათ კარგა მანძილით გავუსწარი. იურამ მიხა დამაწია. ასე მითხრაო, არიქა, გვიშველე, თორემ დაეფარება ფოთოლი და დაგვეკარგებაო. კვდებოდა მიხა სიცილით. მე ჩემი მაინც არ დავიშალე, მაინც წინ-წინ გავრბოდი, მაგრამ არ ვიცოდი, საით უნდა წავსულიყავი, შევდგებოდი და ველოდებოდი მათ. წამომეწეოდნენ, ვიკითხავდი, საით მიდის გზა-მეთქი. იქითო, გამიშ-ვერდა იურა ხელს კარგა მომაღლო გორაკისაკენ. ახლა-მეთ-ქი?–იქიდან გადმოვძახებდი. ახლა ჩამოდი ძირსო. ასე რამდენჯერ-მე... ბოლოს და ბოლოს დავყარე ფარ-ხმალი და გაბრიელს გავყევი უკან. საღამო ხანს მივაღწიეთ სოფელ ბაქჩვილოს და ბაბუა ლიქო-კელს ვესტუმრეთ. საზამთრო სახლში ჩავედით. საქონელიც იქვე ჰყავდათ. იყო ჩემთვის ამაში რაღაც თბილი, მიმზიდველი. გურიაში ძროხას დედას ვეძახდით. ჭიშკარს რომ მოადგებოდა და მოაბღავ-ლებდა, ბავშვებიც კი გავრბოდით „მოო, დედას“ ძახილით. აქაც სუფრა გაგვიშალეს. „ვიც, ჩვენ გამამცხვარ პურ ქალაქელ ქალს არ მაეწონების“, – ჩაილაპარაკა ხევსურის ქალმა, როცა ქერის პურს დებდა მაგიდაზე. არა, მიყვარს-მეთქი. გაბრიელს გაეცინა. მიხვდა, ალბათ, განასინჯიც რომ არ მქონდა. საიდან უნდა მყვარებოდა?

პურიც მომეწონა და ყველიც. რომც არ მომწონებოდა, იმ ალალ ხალხს ამას როგორ ვაგრძნობინებდი! მე დედაჩემის გაკეთებული, ქილაში ჩადებული დაკონსერვებული აჯაფსანდალი მედო ზურგ-ჩანთაში, ჩვენებურად, გურულ-მეგრულად შეზავებული, ცხარე, გემ-რიელი. იურას ძალიან მოსწონდა. აბა, მოიტანე შენი აჯიკაო, მითხრა. ხევსურებსაც მოეწონათ. ბაბუა ლიქოკელისგანაც ბლომად ჩაიწერა მაგნიტოფონზე იურამ ლექსები. მერე მოასმენინა. ხევსურ-მა ოდნავ ჩაიღიმა.

ლიქოკის გზაზე ერთი საოცარი სურათი ვნახე (თუმცა, ჩემთვის ხევსურეთში ყველაფერი საოცარი და უჩვეულო იყო). დაბალი ბან-იანი სახლის წინ მოტკეპნილ თოვლზე ფეხშიშველი იდგა ხანში შესული ხევსური ქალი. გაბრიელს საუბარი გაუბა. ქალი იდგა მშვიდად, უშფოთველად, თითქოს თოვლს კი არა, რბილ თბილ ხალ-იჩას ეხებოდა ფეხებით.

ჭალაის სოფელში შევედით. მჟავე წყალი ვიგემეთ. მახლობელი სახლიდან ძაღლმა ატეხა ყეფა. გაბრიელი სწორედ იმ სახლისაკენ გაგვიძღვა. იქ, თურმე, მისი ნათესავი გიორგი ოჩიაური ცხოვრობდა. ხალხმრავლობა დაგვხვდა: ოჯახის წევრები, მასწავლებელი ეთერ გი-გაური, სტუმარი–ამავესოფლელი ალექსი ლიქოკელი. სოფლის სკოლა ამ სახლში იყო მოწყობილი. ზემო სართულზე, ჭერხოში იდგა მერხები და ეკიდა დაფა. მასწავლებლის საწოლს საკლასო ოთახისა-გან ფარდა ტიხრავდა. ოჯახის პატარა წევრებს–მზიას და ადა-დას–გაბრიელმა კანფეტები მიუტანა. მზიას წითელი პალტო ეცვა და მორცხვობდა. ადადა კი პირდაპირ იჯდა მიწის იატაკზე, წინ ლურსმნები ეყარა და ჩვენ დიდად არ გვაქცევდა ყურადღებას. ვახ-შამი მომზადდა, სუფრა გაიშალა, ბიჭები დასხეს, მე კი არავინ მიწვევს სავახშმოდ. „ოდეს ყოფილ არს აქამომდე, თუცა მამათა და დედათა ერთად ეჭამა პური?“ ეს წესი აქ ცოცხალია.სხვა ოჯახებში კი დამსვეს სუფრასთან მამაკაცებთან ერთად. ვზივარ ღუმელთან და ვფიქრობ: ნუთუ არაფერს მაჭმევენ? არადა, როგორ მშია! მოვიწყინე. გაბრიელმა ჩემზე ანიშნა ეთერს. ამას ახლავე ჩემთან ავიყვანო, უთხრა მასწავლებელმა და ის იყო, ამიყვანა ჭერხოში–თავის საკლასო და, ამავე დროს, საძინებელ ოთახში. უგემრიელესი კერძით გამი-მასპინძლდა, ჩაიც დამალევინა და თავის საწოლშიც ჩამაწვინა.

მეორე დილას მეზობელი სოფლიდან, აჭიდან, ჭალაის სოფელში ამოვიდა განძა ლიქოკელი, ვისგანაც იურამ უამრავი ლექსი ჩაიწერა მაგნიტოფონზე.

მერე ისევ ბარისახო და თბილისში ჩვენი დაბრუნების დროც მოვიდა. ოღონდ ჯერ ფშავი გველოდა. ჯარჯის ჯერი დადგა, ახლა იმას უნდა ემასპინძლა. ფეხით გავუდექით გზას ფშავისაკენ. უკან დარჩა ბარისახო, თოვლიანი და თბილი, ტკბილად მოსაგონარი.

აი, ორწყალი, სადაც ხევსურეთის არაგვს ფშავის არაგვი ერთვის. მარცხნივ გადაუხვევ და შუაფხოს გზას დაადგები... ესეც „ლურჯ თხილიანას კალთები", ამჟამად დათოვლილი. აქ ჩემთვის ყველა სახელი ნაცნობია ანას პოეზიიდან. თხილიანას წინ, არაგვის გაღმა, უძილაურთა აღმართულა. „უძილაურთას ნუ ახვალ, ცაშია მისი წვერები"... ჩრდილოეთით მოწმაო მოჩანს.

ამ ულამაზეს სოფელში, თხილიანაში, ცხოვრობს ციგროშვილების ოჯახი, პოეტ ჯარჯი ფხოველის დიდი ოჯახი. ახლაც თვალწინ მიდგას დარბაისელი, მოხუცი–გიორგი ციგროშვილი, ჯარჯის მამა; დედა–მზექალი, სწრაფი, ფუსფუსა, მოუსვენარი პატარა ქალი; მამასავით სიტყვაძუნწი ძმები (ჯარჯიც ხომ ასეთია)–იოსები და ირაკლი (თედო); და–ენატკბილი ეთერი. უფროსი დები გათხოვილი იყვნენ.

ეთერი და მისი ბიძაშვილი პარასკო ხინკალს ახვევდნენ. მე და მანანაც ხალისით ჩავერთეთ. მანანას ერბო უყვარდა. ჯარჯის სახლში ერბოთი სავსე დიდი ქილები იდგა. მანანამ ჩამჩურჩულა: უჰ, რამდენი ერბოა! მე აქ უნდა გავთხოვდეო. ეს სიტყვები თურმე ეთერს გაუგონია, როგორც მერე მითხრა. ახდა–სულ მოკლე ხანში მანანა მართლაც ჯარჯიზე გათხოვდა.

რა დამავიწყებს ციგროშვილების მასპინძლობას! მას შემდეგ, რაც ჩემი მეგობარი ამ ოჯახის რძალი გახდა, არაერთგზის მრგებია პატივი მათთან სტუმრობისა და პურობისა.

სრულებით აღარ მინდოდა თბილისში დაბრუნება. არ მეთმობოდა მთა, ეს მართალი, ჯანსაღი ადამიანები არ მეთმობოდნენ, იქაური სიწმინდე, სითბო, მყუდროება არ მეთმობოდა... ორწყლიდან ბარისახოდან მომავალი საბარგო მანქანით გამოვემგზავრეთ.

როცა ფშავის ხეობა უკან მოვიტოვეთ, სივრცე გაიშალა და მთები დადაბლდა, გული დამიმძიმდა. ზღაპრიდან უფერულ მოსაწყენ რეალობაში ვბრუნდებოდი.

1969 წელია. გიორგი ჯაფარიძემ ახალი ექსპედიცია დაგეგმა ხევსურეთში, ისევ ზამთარში. პირველი სემესტრის გამოცდები ჩავაბარე და მზადება დავიწყე. ამჯერად ექსპედიცია ექვსი ადამიანისა-

გან შედგებოდა: გიორგი ჯაფარიძე (ხელმძღვანელი), მიხა არაბული, ივანე არაბული, რაულ ბაბუნაშვილი, დავჯი ჩართოლანი და მე.

ისევ ჩავედით თოვლიან ხევსურეთში. ბარისახოში სულ ერთი ღამე გავათიეთ. ვჩქარობდით, შატილში მივდიოდით, დათვისჯვარი უნდა გადაგველახა. საღამოს ხახმატში ჩავედით, ალუდაურების ოჯახში გავათიეთ ღამე. დილით უთენია ავდექით და გზას დავადექით. თუმცა გზა სად იყო? თოვლს ერთიანად დაეფარა მიდამო. მძიმედ მივიწევდით წინ, ნელა. კაცის სიმაღლე თოვლი იდო და ძნელი საკვალავი იყო. იურას ეს გზა მარტოს ჰქონდა გავლილი. მარტომ გადაიარა დათვისჯვარი ზამთარში. მაშინაც დიდი თოვლი იდო. ხევსურები უშლიდნენ და არ დაიშალა. შეუსვენებლად მივდიოდით. როგორმე ლებაისკარამდე უნდა მიგვეღწია. სადამდეც თვალი მიგიწვდებოდა, ჩანდა თოვლი და მეტი არაფერი. მკაცრი მთა და თოვლი... გზას დასასრული არ უჩანდა. მთელი დღე ისე ვიარეთ, არავინ შეგვხვედრია. თუ რაღაც დიდი გასაჭირი არა, ძნელად მოუვიდოდა კაცს აზრად ასეთ ზამთარში შატილში ჩასვლა ან იქიდან წამოსვლა? დაგვიღამდა. ყინვამ ძალზე მოუჭირა. ხმაგაკმენდილები მივდიოდით.არ ვიცი,რაზე ფიქრობდა ამ დროს იურა. შეიძლება ნანობდა კიდეც, რომ ზამთარში ასეთი დიდთოვლობისას შატილში ექპედიციის წამოყვანა გაბედა. პასუხისმგებლობა მას ეკისრებოდა. მე საშინლად მიჭირდა სიარული, ფეხები მტკიოდა, მეწვოდა. ასეთი სიმწარე ჯერ არ განმეცადა. თოვლი დადაბლდა, მერე შეთხელდა. ახლა ვხვდები, როგორც ჩანს, უკვე ველკეთილზე ვიყავით. ჩუმად ვიცრემლებოდი. თბილისში, დებთან ყოფნას ვნატრობდი, თბილ განათებულ ოთახში. როგორც იქნა, შუქი გამოჩნდა. მკრთალი შუქი გამოდიოდა ერთი სახლიდან, ესე იგი ლებაისკარში მოვედით. გადავრჩით! როგორ შემიძლია გადმოვცე, რა ნუგეში იყო ჩვენთვის ის მბჟუტავი შუქი. ძაღლის ყეფაც გაისმა. და ჩვენ, უბედნიერესმა ადამიანებმა, შევაბიჯეთ სახლში, ჭერქვეშ, სადაც თბილოდა, სადაც ღუმელი ენთო, ოღონდ ჩემი საქმე იყო ცუდად. აუტანლად მტკიოდა ფეხები, უკვე ხმამაღლა ვტიროდი. „ბატინკები“ გამხადეს. ფეხები მომყინვოდა. სახლში სამი ადამიანი ცხოვრობდა: ცოლი, ქმარი და შვილი, პატარა ბიჭი. ჭინჭარაულების ოჯახი იყო, ერთადერთი ოჯახი მთელ სოფელში. კაცს მიხეილი ერქვა, ქალს, როგორც მახსოვს – ნათელა და ძალიან ლამაზი იყო. მე ტკივილისაგან ვკიოდი. თან მრცხვენოდა. მიხას ვკითხე, ხევსური ქალი იკივლებდა-მეთქი? იკივლებდაო, დამამშვიდა. თითქმის მთელ

ღამეს ნავთით მიზელდნენ ფეხებს. დილისთვის ტკივილი ჩამიცხრა, მაგრამ ფეხზე ვერ დავდექი, ვერ გავიარე. საოცარი ის იყო, რომ ვიღაცას თბილისში ფოლკლორისტიკის კათედრის გამგის ქალბატონი ქსენია სიხარულიძისთვის ენა მიეტანა, მოყინულები ყრიან ლებაისკარშიო. ზამთრის ექსპედიციებს ქალბატონი ქსენია არ ემხრობოდა. არ ვიცი, იურა როგორ ახერხებდა მის დათანხმებას. მესამე დღეს გამოვედი გარეთ და თვალწინ გულსაკლავი სანახაობა გადამეშალა – ბანებჩაქცეული, მინგრეულ-მონგრეული, დამუნჯებული სახლები... კოშკი კი ამაყად, მაგრამ ნაღვლიანად იდგა – ლებაისკარის ცნობილი კოშკი.

ჭირხლივით თხლად მოსდებოდა თოვლი მიწას.

არქივის თვალიერებისას აღმოვაჩინე(აღარ მახსოვდა), რომ ლებაისკარში ყოფნისას ჩვენს მასპინძელთან შემოუვლია გიორგიწმინდელ ჩუა იმედას ძე გოგოჭურს (38 წლის, განათლება–4კლასი). ხახმატში მიდიოდა, თურმე, მარტო. ჩანს, რა უშიშარიც ყოფილა. მისგანაც ჩამიწერია ორი ლექსი. ერთი კარგა ვრცელი ლექსი შატილზე ქისტების თავდასხმას ეხება.

წასასვლელად მოვემზადეთ, მასპინძლებს დავემშვიდობეთ. იურა წინ გაგვიძღვა. უცბად შეჩერდა და თქვა, ველარ წავალთო. რატომ?თრითინას გაუვლიაო, აი, ნაკვალევიო. როგორ თუ ვერ წავალთო, ყველაზე მეტად რაული აღშფოთდა. დათვისჯვარი გადმოვლახეთ და ახლა ისევ უკან უნდა მივბრუნებულიყავით? წარმოდგენა არ მქონდა თრითინაზე, ზოოლოგია ძალიან ცუდად ვიცოდი. ოო, თრითინა ისეთი მხეციაო, თქვა იურამ, პირდაპირ კისერში იცის ცემაო. ჩვენ მთაში ისე დავდიოდით, არასოდეს გვქონია სანადირო თოფი. ღამითაც ხომ ბევრჯერ გვივლია. ნუთუ არ იყო საშიში, ნადირი დაგვსხმოდა თავს? ვდგავართ ახლა თრითინას ნაკვალევთან და ვერც წინ მივდივართ და ვერც უკან. მაშინ რაულმა მიიღო ვაჟკაცური გადაწყვეტილება, თრითინას თვითონ გამკლავებოდა. აიწია ქურთუკის საყელო, კაშნეც შემოიხვია, ხელში დანა დაიჭირა და წინ გაემართა. აი, მაშინ კი აუტყდა იურას სიცილი...

შატილში დაღამებამდე ჩავედით. გაზაფხულივით ამინდი იდგა პირიქითა ხევსურეთში. არსად თოვლი. შატილის ციხესოფელი შორიდან არ ჩანს. უცბად გამოჩნდება და შეგაკრთობს თავისი იდუმალებით. დამუნჯებული ვიდექით ერთხანს და შევცქეროდით ამ საოცრებას. არ მჯეროდა, რომ ეს ყველაფერი არც სიზმარი იყო და არც კინოკადრი, რომ ნამდვილი შატილი იდგა ჩემ თვალწინ.

იდგა მდუმარე, ნაღვლიანი, ზვიადი და მეგონა, უნდოდა ეთქვა, დიდი ხანია გელოდებითო.

ერთ ფინურ სახლში დავბინავდით. არ ვიცი, ვის თუ რას ეკუთვნოდა ის სახლი. იქ მაგიდაც იყო, სკამებიც და, რაც მთავარია, იყო ღუმელი. შატილიონები საზამთრო ბინებში იყვნენ გასული. სოფელში დაგვიხვდა მასწავლებელი, მეგრელი კაცი ივანე კუცია. ზამთრისათვის უამრავი კონსერვი ჰქონდა მომარაგებული, სამეგრელოდან წამოღებული, მეუღლის ნახელავი, რასაც ჩვენც უხვად გვთავაზობდა. ცოლ-შვილი სამეგრელოში ჰყავდა. სკოლაში მხოლოდ ხუთი თუ ექვსი მოსწავლე სწავლობდა, პირველკლასელები, მეორეკლასელები, მესამეკლასელები და მეოთხეკლასელები ერთად ისხდნენ, ერთ საკლასო ოთახში. მასწავლებელი გაკვეთილებს ყველას ერთად უტარებდა. შატილში დაგვხვდა არხოტიონი დათო ოჩიაური, რადისტი. სოფელში იყო კიდევ ერთი მოხუცი–ტრიხ ჭინჭარაული, ჩემი პაპა ტრიხი, 76 წლისა, წერა-კითხვის უცოდინარი. ის სხვას ნაკლებად აწერინებდა ლექსებს. მოვიდოდა ჩვენს ფინურ სახლში და მეტყოდა: ერთ ლექს კიდევ მამგონდ, გოგოვ. ჩამაწერინებდა. ერთს მეორე და მესამე მოჰყვებოდა. წასვლის წინ იტყოდა: მეტ არ ვიც. მაგრამ მეორე დღეს ისევ მოვიდოდა. კიდევ მოჰგონებოდა. ერთხელ რაულმა მოინდომა, პაპა ტრიხისაგან ჩაეწერა. მე გავწიწმატდი. არ დავუთმე, ვიჩხუბეთ. „ყვითელთმიანი ქალაისა“ და „სვილისფერა ვაჟაის“ წაკიდება მყისიერად აისახა იურა ჯაფარიძის შემოქმედებაში. სამწუხაროდ, ეს ლექსი დავკარგე და აღარც ზეპირად მახსოვს.

სამოცდაორი ლექსი ჩამიწერია პაპა ტრიხისაგან. ნათელი დაადგეს მის სულს! პაპა ტრიხი უმეტესად შატილსა და შატილიონებზე შეთხზულ ლექსებს მაწერინებდა. აი, ერთი იმათგანი:

„შატილ დაგვეცა ლაშქარი ჯარმძიმე ახვაისაო,
აცათ, გათენდას, ახვანო, გეეღას კარი ცისაო.
მაშინავ გაიგებოდა ჩვენი და თქვენი ცდისაო.
შიშოტათ გოგოთურამა ერთწინა მაკლა ხითაო.
მანამდის სხვა გაიგებდეს, ქავი გაავსო მკვდრითაო.
ბულოთ ლაგაზამ ატირნა დედან ახვაჩი ხმითაო.
ვაჟისა დედა ვაცხონე, ბაჩაყაურის ყმისაო,
ქავს გარე გაუმაგრებავ ერთის სალბანა ქვისაო,
არც ქალი წააყვანინა გუდანლის აბაისაო“.

ჩამიწერია1969 წლის 1-ლ თებერვალს. ერთი სიტყვის განმარტება მაქვს მიწერილი: ახვა–სოფელი ქისტეთში. მთქმელის შენიშვნა ჩემს ჩანაწერს არ ახლავს.

ამ ლექსის ვარიანტი აკაკი შანიძის „ხევსურულ პოეზიაში“ ასეა დასათაურებული: „ომი ბეგრის მიუცემლობის გამო“. ლექსის ნომერია 172. ვარიანტებს შორის მცირე განსხვავებაა, მხოლოდ ბ-ნი აკაკის მიერ ჩაწერილ ვარიანტს კიდევ ორი სტრიქონი ახლავს:

„ბრალი თქვენ, შატილივნებო, – თავს არ ულევდით ჭირსაო, დახყარეთ ჯალაიათა ბეგარი ერთის ცხვრისაო“.

ბატონი აკაკი შანიძე შენიშნავს:“ მიამბო მიხა ჯინჭარაულმა შატილში 29.8.1913... შატილივნებს ჯალაიათ ბეგარა სდებია (ერთი ცხვარიო, ლექსში ნათქვამია... მაგრამ ახლა კი აღარ მახსოვს სოფელს თუ თვითეულ კომლს, ალბათ თითოეულს), მაგრამ აღარ მიუციათ. ამიტომ ჯალაიანი (გვარია ქისტეთში) დასცემიან. მელექსე შატილივნებს „ბრალს სდებს“ ვითომ: თქვენი ბრალია, დახყარეთ ბეგარიო, ე.ი. ბეგარი არ მიეცითო“.

შატილიონებთან შესახვედრად ჩვენ გავდიოდით მათ საზამთრო ბინებში. უფრო ხშირად მე და დაჯის შინ გვტოვებდნენ და ბიჭები გადიოდნენ. ჩვენ პურის გამოცხობა გვევალებოდა. ერთი ტომარა ფქვილი, როგორც მახსოვს, დათო ოჩიაურმა გვიწილადა. მუცოს ჭალაში მე და დაჯიც წაგვიყვანეს. ანატორი პირველად მაშინ ვნახე. მანანა ჭინჭარაულისაგან მქონდა გაგონილი ანატორელთა შემზარავი ისტორია–როგორ მიდიოდნენ თავისი ფეხით სასიკვდილოდ განწირული ადამიანები და როგორ სხდებოდნენ აკლდამებში. იქ აკვანთან მიმჯდარი ქალის ჩონჩხიც ყოფილა, თუმცა მე ეს არ მინახავს.

მუცოს ჭალაში ბაძია ჭინჭარაულს ვესტუმრეთ, ცნობილ დასტაქარს, რომელიც მე უკვე ვახსენე ზემოთ. ბაძია შუა ხანს მიტანებული კაცი იყო, ღირსეული, სიტყვაძვირი. ხევსურეთში არცერთ ოჯახში არ შევსულვართ, რომ სუფრა არ გაეშალოთ. ამას ხაზს ვუსვამ და კიდევ ერთხელ ვიმეორებ. ასე რომ, ვსხედვართ სუფრასთან, იურას მომარჯვებული აქვს თავისი მაგნიტოფონი. ბაძიას ესაუბრება და იწერს. მასპინძელი ქისტებზე ყვება. მისი ნაამბობიდან ჩანს, რომ ჩვენს დროშიც გრძელდებოდა ქისტების თავდასხმები და ცხვარ-ძროხის ტაცება. მე უკვე, ასე თუ ისე, მესმის ხევსურული დიალექტი და გაფაციცებით ვუსმენ. უცებ იურამ სრულიად სერიოზულად ჩაურთო, ერთხელ მეც დამხვდნენ ქისტე-

ბიო. ბაძია გაჩუმდა და შეაჩერდა. მე კინაღამ სული დამელია. მჯერა, რომ ძალიან გმირულ ამბებს მოვისმენ: იურას ქისტები დახვედრიან, ვაუკაცურად შებრძოლებია... იურამ კი მცირე დუმილის შემდეგ თქვა, ჩანაწერები წამართვესო. მე, საგმირო ამბის მომლოდინეს, სიცილისაგან კინაღამ გული შემიწუხდა. ძალიან მიკვირს, რომ ჩემ გარდა არავის გაეცინა. იურას არც გაულიმია, მძიმედ მომიტრიალდა, წამომარტყა და მითხრა: რა გაცინებს, ბოშო?

მეც ჩამიწერია ბაძია ჭინჭარაულისაგან ერთი ძალიან კარგი და ცნობილი ლექსის ვარიანტი:

„ქალი მოვიდა წყალზედა ველისა, განთა ტყისასა,
მავა, მააბნევს ცრემლებსა, ხორხოშასა ჰგავ ცისასა.
ხელჩი ჩხირ-წინდა უჭერავ, აახვევს ყაჭის შიბასა.
გზას ბიჭი შამაეყარა, ნაწილსა ღგვანდა ცისასა.
– არ მინდა ქმარი შენს მეტი, – შეეფიცების მზისასა.
– არც მე ცოლ მინდა შენს მეტი, ვფიცავ ლაშარის ჯვრისასა.
– მაგრამ ცოლს საით წაართომ, ღარიბო კაცო, მდიდარსა?
ეგ რო გაგიგას ჩემ ქმარმა, სულს შამაგაბნევს მგლისასა,
ფარიკაობას გასწავლებს, ამამღერებას ხმლისასა,
თავს მაგჭრის თიკანივითა, სისხლით მასტლაპავ ქვიშასა.
მემრ მეავ მაშინჯვიებენ სისხლს შენის მხარ-ბეჭისასა.
– მაგას რად მეტყვი, ქალაო, სიტყვასა სირეგვნისასა?
ცხენ ეგეთი მყავ, ქალაო, ქარსა ჰგავ ლემადისასა.
საც რო შაუკვეთ, შახდების ორ-სამი სიტყვის თქმის ხანსა.
გარდავალ პირიქითშია, სახელად ვიტყვი წიქასა,
ჩავდგები მეკოპარშიგა, ჯარს შავყრი მუსურმნისასა,
ლეგას ტალავარს ჩავიცვამ, ლეგ-ლუგას, ქისტებისასა,
საგათენებოდ შამოვხევ სასახლეს შენი ქმრისასა,
მაგიკლავ საქმარიასა, ზედ გადავაფრენ წითლასა,
ხელს მოვჭრი, ციხეს დავაკრავ მარჯვენას შენი ქმრისასა,
დნებოდას, ჩამადიოდას, ლიბოს ანგრევდეს ქვისასა”.

დართული მაქვს მცირე ლექსიკონი:

ხორხოშა–სეტყვა, ყაჭის შიბა–ბამბის ძაფი, მასტლაპავ–მოსვრი, ლემადის ქარი–ჩრდილოეთის ქარი.

ჩაწერილია 1969 წლის 3 თებერვალს შატილის საზამთრო საბინადროში, მუცოს ჭალაში.

მუცოს ჭალიდან შატილისკენ წამოსულებს ნახევარი გზაც არ გვქონდა გამოვლილი, დაგვიღამდა. იურამ ამჯობინა, უკან მივბრუ-

ნებულიყავით. ასეც მოვიქეცით, მაგრამ ბაძიას გაღვიძებას მოვერიდეთ და გადავწყვიტეთ, ღამე მის ღია, უკედლებო საბძელში გაგვეთია. ჩავწექით ჩვენს საძილეებში და თივაში მოვკალათდით. ისე გვციოდა, რა დაგვაძინებდა? ერთი პატარა ინციდენტიც შეგვემთხვა: რაულს შუაღამისას კატა დაახტა თავზე, ვინ იცის, თრითინა ეგონა. უნდა გენახათ დილით ადრე ამდგარი მასპინძლის გაკვირვება, როცა მის საბძელში თივის ბულულებიდან ჩვენ წამოვყავით თავი. მგონი, ცოტათი შეკრთა კიდეც ეს გულმაგარი ხევსური. ძალიან გვისაყვედურა, რომ არ გავაღვიძეთ. ადრიანად წამოვედით. გზიდან მოშორებით მთაზე, სადღაც მუცოს ციხის მოპირდაპირედ, სახლი ჩანდა, ვიცოდით, რომ იქ სკოლა იყო და მასწავლებელი ცხოვრობდა. რაულმა აიჩემა, თქვენ გზა გააგრძელეთ, მე კი იქ ავალ და მასწავლებელზე პატარა ნარკვევს დავწერო. ვიცოდით, რაც აწუხებდა – ჩაი უყვარდა და ფიქრობდა, რომ მასწავლებელი უსათუოდ დაალევინებდა ჩაის. ნარკვევის დაწერაც, ალბათ, მართლა უნდოდა. დავბრუნდით შატილში. დაღამდა. რაული არ ჩანს. დილაც გათენდა და მაინც არ ჩანს. ცოტა შევშინდით. იურამ ეს ამბავი სალექსოდ ჩათვალა და შექმნა მშვენიერი დატირება ბედნიერი დასასრულით, რომელიც ახლა, სამწუხაროდ, მხოლოდ ნაწყვეტ-ნაწყვეტ მახსოვს:

„ატირდა ჩართოლანის ქალიო,
საყურ-ბეჭედი ჩამოშალაო“....
რადისტი დათო ოჩიაური გადასცემდა სამწუხარო ცნობას:
„ახლა ორ გვინდა შვეულმფრენიო,
ერთი ვერ ზიდავს ბუმბერაზსაო“.
დასასრული კი ასეთი გახლდათ:
„რაულ კი ამ დროს ჩაის სმევდაო,
გაცინებული ჰქონდა პირიო,
გვერდს ედგა კა შაკაზმულ ვირიო,
მაღლა ამყრელი ტლინკებისაო“.

საღამოს მართლაც დაბრუნდა ჩვენი რაული, ჯანმრთელი და უვნებელი. ბევრიც იცინა, როცა თავისი დატირება წაიკითხა. რაულს არაფერი სწყინდა. იუმორს აფასებდა. გულზე ფოტოაპარატებ-ჩამოკიდებული დადიოდა. თბილისიდან გამოსვლისას იურას ვუთხარი, მაგან ახლა სტენდი არ გააკეთოს უნივერსიტეტში-მეთქი. არ დეიშლის, სტენდალია მაგიო. რაულმა მართლაც ბევრი ფოტო

გადაიღო, მაგრამ სტენდი არ გაუკეთებია. სად არის ნეტავ ახლა ის ფოტოები?

იურამ რატომღაც დაჯი ჩართოლანის დატირებაც დაწერა, მაგრამ ამის მიზეზი აღარ მახსოვს. რამდენიმე სტრიქონი შემორჩა ჩემს მეხსიერებას ამ ლექსიდან:

„ვიცინით, რაი გვეცინებისაო?
ანდა რაი არს საცინელიო?
აღარ გვყავს ჩართოლანის ქალიო,
გამორჩეული სვანებჩიაო“.

ჩვენ ყველანი ფილოლოგები ვიყავით, ერთის გარდა. ივანე არაბული არ იყო ფილოლოგი, მაგრამ, როგორც ხევსურს, ჩვენზე კარგად შეეძლო ჩაეწერა ხევსურული ფოლკლორი. ძალიან კარგი ბიჭი იყო–თბილი, გულისხმიერი.

წინა ექსპედიციაში მეტი ურთიერთობა გვქონდა ხალხთან და ამით უფრო სახალისო იყო ის დღეები. ახლა სევდა მეტი მაგრძნობინა ხევსურეთმა, ვიდრე სიხარული. უპატრონოდ მიგდებული, მიტოვებული და მივიწყებული ულამაზესი კუთხე, მითებისა და ლეგენდების სამშობლო, გმირების აკვანი სულს ღაფავდა, ძლივსღა ფეთქავდა. მთას აქეთ ძალზე ცოტა იყო მოსახლეობა. ხევსურეთი სწორედ მითებსა და ლეგენდებშიღა ცოცხლობდა. „შატილს გადმოდგა ბანებზე ხევსურთ ქალი და რძალია, ბევრს უნდა ამბის გაგება, ბევრნიც მოვიდნენ სხვანია“. სადღაა ის შატილი? ეს ახლა „დიდი ცხოვრების დიდი აკლდამაა“ მართლაც. დუმს მთები, დგას შატილი, გარინდებული, ფიქრებში წასული, მოგონებებში ჩაძირული... მოვა გაზაფხული და მობრუნდებიან საზამთრო ბინებიდან შატილიონები, მაგრამ თითო-ოროლანი...

შატილიდან ქისტეთში გადავედით. ერთი ღამე ჯარეგაში გავათიეთ ქისტ მეცხვარეებთან. მაგრამ ეს ის ჯარეგა არ იყო, რომელზეც ვაჟა წერს: „მივიდნენ. კოშკები დაჩნდა. აქა-იქ ყეფენ ძაღლები“. აქ არც კოშკები ჩანდა და არც ნაკოშკარები. ჯოყოლასა და ზვიადაურს აქ არაფერი მოგაგონებდათ. ქისტი მწყემსები რუსულად ლაპარაკობდნენ. ამათ შენ ელაპარაკეო, რაულს დაავალა იურამ. არ მჯერა, რომ რუსული არ იცოდა, მაგრამ მაშინ არ სურდა ამ ენაზე საუბარი.

თბილოდა ფარეხში... ღუმელი გუზგუზებდა... ჩვენ შუაღამისას წამოვიზლაზნეთ და გზას გავუდექით. ის გზა არასოდეს დამავიწყდება–მივდიოდით გაუკაცრიელებულ დაცლილ ქისტეთში. დაყრუე-

ბული, გულში ნაღველჩაგუბებული მაღალი შავი კოშკები შიშის მომგვრელად გადმოგვყურებდნენ. მე მინდოდა, მალე გავცლოდით იქაურობას. როცა ღამე განაცრისფრდა, შევნიშნეთ, რომ გზაზე ადამიანის ძვლები და თავის ქალები ეყარა. შეუსვენებლად მივდიოდით. იმ დღეს 40 კილომეტრი გავიარეთ. შებინდებისას გამოჩნდა იტუნკალე, ქისტების პირველი დასახლებული სოფელი. სოფლის თავს შემოგვხვდა ქისტი, რომელიც სუფთა ქართულით დაგველაპარაკა–მაღალი, ჯერ ისევ ახალგაზრდა, ტანთხელი, ლამაზი აღნაგობის ქერა კაცი. მთაში მსუქანს ხომ ვერ შეხვდები! ამ კაცმა შინ მიგვიპატიჟა. იურას მოერიდა, ექვსი ადამიანი მივდგომოდით კარს უცხოს. მე, დაჯი და რაული ერთ ოჯახში დაგვტოვეს. იმ ოჯახის უფროსმაც იცოდა ქართული. სახლში შეგვიყვანეს. იქ ავადმყოფი ქალი და ყმაწვილი გოგო დაგვხვდნენ. ქალს აუტანლად სტკიოდა თავი, ტკივილისაგან კიოდა. ჩვენ ერთხანს ვისხედით უხერხულად. მივხვდით, რომ იმ ოჯახში სტუმრად დარჩენა ახლა დიდი უტიფრობა იქნებოდა. მერე ავდექით სამივენი და იქ მივედით, სადაც იურა, მიხა და ივანე გვეგულებოდა. დიდი მადლობა თქვენი აქ მოსვლისთვისო, ჩაგვილაპარაკა მოღუშულმა იურამ. მასპიძელი კი ოდნავადაც არ შეცბუნებულა ჩვენი მისვლის გამო. ის იყო ნამდვილი ჯოყოლა, რომელსაც სტუმარი ღვთის წყალობად მიაჩნდა. ცოლ-შვილმა ქართული არ იცოდა. მათთან მხოლოდ რუსულის საშუალებით შეიძლებოდა ურთიერთობა. როგორ გვიმასპინძლეს, რა სუფრა გაგვიშალეს, რა ჭურჭელი დაალაგეს მაგიდაზე! რა საოცარი სისუფთავე იყო ირგვლივ! კედლები თითქოს ანათებდნენ, წითლად შეღებილი ხის იატაკი ლაპლაპებდა... ჩვენ ლამის ერთი თვე საძილეებში გვქონდა გატარებული და იატაკზე ვეყარეთ. მაინცდამაინც ესთეტიკურად და ჰიგიენურად ვერ გამოვიყურებოდით. გვერიდებოდა, ფეხი დაგვედგა ამ მოპრიალებულ იატაკზე, შევხებოდით ამ თეფშებს, ამ ლამბაქებს. კერძი – საოცრად გემრიელი, ჩაი–საოცრად სურნელოვანი და არომატული. ქათქათა, გახამებულ თეთრეულში რომ ჩაგვაწვინეს, საშინელი უხერხულობა ვიგრძენით. ძალიან ვწუხვარ, რომ არ მახსოვს ჩვენ პურადი მასპინძლის სახელი და გვარი.

იტუნკალიდან ავტობუსით ერთ დაბაში ჩავედით, რომელსაც მაშინ სოვეტსკოე ერქვა, იქიდან–გროზნოში, ასევე ავტობუსით. ყინავდა. გროზნოში ვაგზლის მოსაცდელში ვსხედვართ, მატარებლით ვაპირებთ ბაქოში ჩასვლას. რაული ერთ გოგონას მიუჯდა და

საუბარი გაუბა. იურა რაულს გვერდით ეჯდა, თვლემდა. ჩაულაპარაკა, წაუჯიკავე და ჰკითხე, ძაუ-ჯიკაუში ხომ არ მიდისო. გოგონასთან მოქათინაურე რაულს ყელზე ფაქიზად ჰქონდა გამონასკვული მუქი რუხი ფერის კაშნე, რომელიც თბილისიდან წამოსვლისას ქათქათა თეთრი იყო. ჩავედით ბაქოში. იქაც საშინლად ყინავდა და გამთოშავი ქარი ქროდა. ქუჩებში კაცი არ ჭაჭანებდა. მუზეუმების დათვალიერება გვინდოდა, მაგრამ უამინდობის გამო დაკეტილი იყო. მერე ერთ სასაუზმეში შევედით და ფითი მოვატანინეთ. თბილისში ღამის მატარებლით დავბრუნდით.

მერაბ ბერიძე

ერთი დღე ანდრიაწმინდაში

ამ ჩემს ჩანაწერს შეიძლება ესე დავარქვათ, შეიძლება - ნოველა, ან უბრალოდ ქრონიკა ერთი დღისა, უფრო უკეთესი კი იქნება - ლექცია ონომასტიკაში. დავაფიქსირებ დროს – 2016 წლის 12 მარტი, ახალციხე, ჩემი მშობლიური მხარე მესხეთი, მამული ჩემი. თარიღის დასმა სტილია დღიურისა, მაგრამ თარიღის დასმა გახაზავს, ამასთან ერთად და საწინააღმდეგოდ იმ აზრისა, რომ დრო არის კონკრეტული და ერთადერთი, დროის მარადიულობას, არა კონკრეტულობას, უდროობას საერთოდ.

რატომ არის დრო უდროო? პირველ რიგში დღევანდელი დღე დააფიქსირებს ჩვენს საუკუნეს, რომ ასე ვცხოვრობდით დღეს, ასე ვშრომობდით დღეს, ამიტომ მნიშვნელობა არა აქვს დღეს იქნება 12 თებერვალი, იანვარი, მარტი თუ რომელიმე სხვა რიცხვი, თვე ან წელი. მათ შორის შეიძლება იყოს მხოლოდ ნიუანსური განსხვავება, ჩემი ან ვინმე სხვათა, ასაკობრივი სხვადასხვაობა, დანარჩენი დროისათვის რაიმეს აქვს მნიშვნელობა?! დღევანდელი დღე ეკუთვნის ჩემს სტუდენტებს, მაგისტრანტებს: ნათიას, სალომეს, ლილის, თინათინს და ნინოს, მათთან ერთად კი ჩემს მოწაფეს და მეგობარს მაკას.

დილის 10 საათზე შევიყარენით ზემოთ ჩამოთვლილნი უნივერსიტეტში და მოვემზადეთ ლექცია-სემინარისათვის, რომელიც უნდა ჩატარდეს ერთი დღის განმავლობაში. საამისოდ გადმოვიღე „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარზე“ თანდართული რუკა. დღეს ძალიანაც რომ გინდოდეს, ამ რუკას უკვე ვეღარსად იპოვი. მე მქონდა თვით სერგი ჯიქიას მიერ ნოდარ ჯანაშიასადმი ნაჩუქარი „დავთარი“, რომელიც ჩემმა ხელმძღვანელმა, ნოდარ ჯანაშიას მეუღლემ, ნელი ბაბუნაშვილმა ჯერ მათხოვა, შემდეგ მაჩუქა და მითხრა, შენ გამოიყენებო. აი, ამ წიგნზე დართული რუკა. დამეკარგა, მაგრამ მისი გადიდებული ასლი, ადრე გავაკეთე, აღმოვაჩინე და გავამრავლე. გადავშალე ეს რუკა, შემოვისხი უნივერსიტეტის ეზოში გარშემო ჩემი სტუდენტები და მოწაფე და დავსახე გეგმა, რა უნდა გვეკეთებინა დღეს, სად და როგორ უნდა წავსულიყავით.

წავედით წარსულში, შევაბიჯეთ უდროობაში და დღევანდელობაში. ამ ერთ დღეში უნდა მოგვევლო სულ ცოტა ორი ათასი წელი,

შეგვეძლო მეტიც, მაგრამ საამისოდ დრო არ გვეყოფოდა. არაფერს ვიტყვი ჩემს ლექციაზე სამცხის, მესხეთის, ურავლის ხეობის შესახებ, მშვენიერი ამინდის, ონომასტიკის აქტუალური პრობლემების შესახებ. ამ ყველაფერზე გზაში ვისაუბრეთ.

ავედით ანდრიაწმინდაში, რომელსაც დასცქერის ელიას მთა.

პირველი საუკუნეა, ქართველები ვართ წარმართები, ვლოცულობთ ბევრ ღმერთზე, ზოგი ჩვენია და ზოგიც სხვისა. ჩვენ არასოდეს დედამიწის რომელიღაც კუთხეში შეყუჟული ხალხი არ ვყოფილვართ, რომ მხოლოდ საკუთარი ჭუჭრუტანიდან გვეცქირა სამყაროსათვის. ჩვენ სივრცის ხალხი ვართ, კომუნიკაბელური, სხვების და საკუთარი ღირსების დამფასებელი, ამიტომ კარგი ჩვენიც გვიყვარს და სხვისაც. ელიაც მეზობლებიდან მოსულა თავისი ცეცხლოვანი ეტლით, ამირანიც მოსულა და პრომეთეც, ღმერთთანაც უომიათ და ადამიანთანაც. იმ წელს გვალვიანი წელი დაიჭირა. ქართველებს ღმერთი კი მიგვიღია სხვისა, დავმონებივართ მას, მაგრამ ენა ჩვენი გვქონია მუდამ, თანაც დედამიწის ზურგზე მსგავსი ძალის და შესაძლებლობის ენა არ არსებობს. ეს არ არის დანაქადნი, ეს არ არის ტრაბახი. ვერავინ, ვერც ბერძენი, ვერც სომეხი, ვერც რუსი, ვერც ერთი ევროპელი თუ აზიელი ვერ დაიქადნის, რომ რა ენაზეც მისი წინაპარი პირველ საუკუნეში მეტყველებდა, იმ ენაზე საუბრობს დღეს, რომ დღეს მისთვის მაშინდელი ენა იყოს გასაგები.

იმ წელს გვალვიანი წელი დაიჭირა, შეშინდა ხალხი, მოსავალი არ გვექნება, შიმშილით დავიხოცებითო და გამოვიდნენ გარეთ, აღაპყრეს ზეცისკენ ხელები, დაემხვნენ და ილოცეს, შესთხოვეს შველა ელიას, არ ჩანდა წვიმა. ჩააბეს ფერხული, იწყეს ცეკვა, სიცხისაგან და ცეკვისაგან სიშიშვლემ იმატა, რომელ ეზოშიც მივიდნენ, წყალი ითხოვეს, გადმოასხეს წყალი საცხოვრებლიდან. დალბა აქა-იქ, დასველდა მიწა, მაგრამ ნამის დარიც არ აღმოჩნდა, ისეთი სიცხე იდგა. ფიჭვის წვერზე ყვავი იჯდა, დასჩხაოდა მოცეკვავეთ და ელიას მთისკენ სვლას მოუწოდებდა. ინიშნეს, გაჰყვნენ ყვავს. წინ მიხტოდა ყვანჩალა და მისდევდა შიშველი ხალხი მას, რომ ასულიყვნენ ელიასთან. ღმერთთან მისვლა ადვილი იყო, მისი ნახვა იყო ძნელი. შესაწირს ითხოვდა ცეცხლის მფრქვეველი ელია, მსხვერპლი უნდოდა. ყველაზე წინ ულამაზესი ქალწული მიიწევდა. მას წყალიც სწყუროდა და ყველაზე მეტად სურდა წვიმის მოსვლა, რომ მოსავალი ჰქონოდათ, თუ მოსავალს მოიწევდნენ, უნდა გაეთხოვებინათ, დანიშნული იყო და მოსავალს ელოდა, ქორწილს ელოდა.

პირველი ის აიჭრა ელიას მთაზე, მის წვერზე წარმართული ტაძარი იდგა, გოგომ დაადგა პირველმა ფეხი ტაძრის საკურთხეველზე. ყველა მხრიდან ამოვიდნენ თანასოფლელები, გული ყველას ამოვარდნაზე ჰქონდა, სიცხემ და მთის ფერდის გზამ გაუსაძლისი გახადა სუნთქვა. შემოეჯარნენ ტაძარს, რომლის საკურთხეველთან ულამაზესი ქალწული იდგა, რომელიც თითქოს კიდევ უფრო მაღლა ზეცაში აპირებსო აფრენას, აღეპყრო მკლავნი მაღლა და ლოცულობდა: „წმიდაო ელია, მოგვეცი ტალახი, მოგვეცი წვიმა, აღარ გვინდა გოროხი, აღარ გვინდა ხვატი და სიცხე, თორემ დავრჩებით მშივრები, თორემ არ იქნება ჩემი ქორწილი, წმიდაო ელია, შენი სახელის ჭირიმე, დაასველე დედამიწა, გამოუშვი ჩვენსკენ ღრუბელი“.

ერთი წუთით შედგა ამის შემხედვარე ბრბო. გახევდა, შეჰლაღადა ელიას: „ვიცი, ელია, რომ მსხვერპლს ითხოვ, სისხლის გარეშე არ მოგვცემ წვიმას, არ მოგვცემ ღრუბელს. მზად ვართ, მსხვერპლისთვის, ამოვსულვართ მთელი სოფელი, რომ თაყვანი ვცეთ და შემოგწიროთ შენი რჩეული.“ ეს ის დედაბერი იყო, რომლის ოჯახსაც იმ ულამაზესი გოგოს ოჯახმა უარი უთხრა რძლობაზე. ელიას ყვავი დასტრიალებდა მლოცველებს თავზე, სოფლიდან წამოღებული კაკალი გავარდნოდა და ჩხაოდა. იმასაც ამბობდნენ, დედაბერი ელიას ყვავს ყველის ნაჭრებს აჭმევდა ხოლმე, ხანდახან იმ ყვავს ელიასთვის მიჰქონდა ხოლმეო დაზოგილი ყველის ნაჭრები. ყვავი ჰკვებავდა ელიას. დედაბერმა კიდევ აღაპყრო ხელები და რაღაც ისე დაიყვირა, ყვავის ჩხავილს უფრო ჰგავდა, ვიდრე დედაბრისას. ყვავმა დაიწყო გოგოს თავზე ფრენა. დედაბერმა კვლავ ამოიღო ხმა: „წმიდაო ელია, მოგვეცი ნიშანი, ვის ინებებ, რომ შემოგწიროთ, მოგვეცი ნიშანი!“ ყვავი უახლოვდება გოგოს, კიდევ უფრო პატარა და პატარა წრეებს ხაზავს ჰაერში...

დედაბერი: „მოგვეცი ნიშანი!“

ხალხი: „მოგვეცი ნიშანი!“

შეჩერდა ხმაური, შეჩერდა როკვა, ყვავი დაჯდა გოგოს თავზე. სიჩუმეში გაისმა **გოგოს ხმა:** „მოგვეცი წვიმა, მოგვეცი ტალახი, მოგვეცი ღრუბელი, ელია! “

დედაბერი: „ნიშანი მოცემულია! მსხვერპლი არჩეულია!“

ხალხი: „ნიშანი მოცემულია! მსხვერპლი არჩეულია!“

გოგომ ჩამოუშვა ხელები. ახლაღა დაინახა, რომ შიშველი იყო, თითქოს დაიმორცხვა კიდეც, მაგრამ მალევე მოეგო გონს და ხალხს მიმართა: „ყვავი დედაბრისა არის, დედაბერი მტერია ჩემი!

ხალხი: „სამსხვერპლო არჩეულია! ნიშანი მოცემულია!“

გოგო: „მე ქორწილი მაქვს შემოდგომით, მე დანიშნული ვარ!

ეტლზე ამხედრებული ელიას კერპი თითქოს იღიმოდა და ხალხის ხმას იმეორებდა: „არჩეულია! არჩეულია! არჩეულია!“



მხატვარი - ბექა კოპაძე

მისცვივდნენ გოგოს, სამსხვერპლოზე წამოაქციეს. დედაბერი უცნაურ როკვას როკავდა, სხვები ფერხულჩაბმულნი უვლიდნენ გარშემო და მზის სიმღერას მღეროდნენ, ქურუმმა ალესილი სატევარი კიდევ უფრო ალესა, ან რად უნდოდა იარაღს ალესვა, ისეთი ნაზი და გრძელი ჰქონდა კისერი გოგოს!

სისხლმა იდინა, ულამაზესი ქალწულის თავი დაგორდა ელიას მთიდან, იგორა თავმა, იგორა და სასიძოს კართან მიგორდა. ელიას მთიდან დაშვებულ ბრბოს გამოეყო ერთი მოხუცი, მიუბრუნდა ელიას ტაძარს და შეჰღრიალა: „ელია, აგერ შემოგწირეთ მსხვერპლი, შენი არჩეული მსხვერპლი შემოგწირეთ, მოგვეცი ტალახი, მოგვეცი წვიმა და ღრუბელი, თუ არა და შენი...!“

არ მოვიდა წვიმა. გადახმა ყველაფერი. დედაბერი ამბობდა: კარგად ვერ შევწირეთ მსხვერპლი! ბიჭიც უნდა შეგვწირა და უეჭველად მოვიდოდა წვიმა, არ იკმარა ელიამ!“ სასიძოს მიყოლებაც უნდოდა დედაბერს.

სასიძო გაბოროტებულა და დედაბრის შვილი მოუკლავს, დედაშენმა საცოლე მომიკლაო. სოფელი გადაეკიდა ერთმანეთს.

სოფელში ხმა დაირხა: ახალი ღმერთი გამოჩენილა, ჩვენთან არის, ჩვენშია, ჩვენთვის ლოცულობს და ჩვენთვის ეწამა. მსხვერპლს არ ითხოვს, სისხლს არ ითხოვს, სიყვარულს ითხოვს მხოლოდ. ამ ღმერთის მქადაგებელი შემოსულა სამცხეში, კერპთა მმუსვრელია, უკვე შეუმუსრავს ზადენის დიდი კერპი, დაუმხია, დაუცია ძირს და კერპს სიტყვაც ვერ ამოუღია, მისი სპარსი ქურუმები გაქცეულან, ხალხსაც მქადაგებლის მხარი დაუჭერია, ძალა უყვარს ყველას, თანაც მისი ძალა სიყვარულშია, შეიყვარე და იქნები ბედნიერი. მერე გადასულა აწყურში სამძივართან. ეს ქალი ქვრივი ყოფილა და შვილიც გარდაცვლია. იქ მისულა თვით ღმერთის მოციქული ანდრია, უხილავს დედის ტირილი, აღუდგენია მკვდარი ძე მისი, დაუმხია ბილწი კერპები სამცხელებისა - აპოლონი და არტემი. ვერც მათ გაუწევიათ წინააღმდეგობა ახალი სარწმუნოებისათვის.

ჩვენ კი ისევ შევწირეთ დანიშნული გოგო ელიას, არ შეისმინა, წვიმა არ მოგვცა. სოფელი შფოთავდა: დავამხოთ ელია! გაგზავნეს უხუცესნი აწყურს, რათა მოეხმოთ განმანათლებელი მესხთა. ამ ვიზიტის შემდეგ, მოგვიანებით, მემატიანე დაწერეს: „და კულადცა ევედრნეს ქვრივი იგი დედაკაცი და სრულიად მესხნი, რათა არა განეშოროს მათგან. ხოლო წმინდამან ანდრია მიუგო და ჰრქუა:

„სხვათა ქალაქთა და სოფელთა ჯერ არს ჩემდა ქადაგებად სახარება უფლისა“ და გამოჰყვება უხუცესთ. მოდის სოფელში, რომელსაც აუგებს ტაძარს, უწოდებს თავის სახელს და აკურთხებს პირველ ქრისტიანებად მესხებს. ასე იწოდა ტაძარი და სოფელი ანდრიაწმინდად.

აი, ამ სოფელში შემოვედით. ტაძარი დგას, ირგვლივ მიჯრილია საფლავები. ელიას მთაზე წარმართული ტაძრის ადგილზე ქრისტიანული სალოცავის კედლებიღაა შემორჩენილი. ელიობას ანდრიაწმინდელები და ანდელები ადიან ელიას მთაზე და ელია წინასწარმეტყველის ხსოვნას უნთებენ სანთელს. ქრისტიანობამ ბევრი წარმართული კერპი და დღესასწაული გადახარშა და მოაქცია სასიკეთოთ. ოღონდ მსხვერპლთშეწირვა არ ყოფილიყო: არ დაღვრილიყო ახალგაზრდათა სისხლი მოყვასის ხელით და ბევრ დათმობაზე წავიდა ქრისტიანობა. სოფელი კი, რომელსაც ანდრია მოციქულამდე რა ერქვა, არავინ იცის, ისევ იქა დგას, ანდრიას სახელობის ტაძარი, რომელსაც საფუძველი თვით წმინდა ანდრიამ ჩაუყარა, შემდეგ განაახლეს და დგას დღევანდლამდე.

დროის ეს მონაკვეთი, ორიათასწლიანი მონაკვეთია, თითქოს ერთი ამოსუნთქვააო, არც არაფერი შეცვლილა გარშემო. ისევ ის მთებია, სახლებიც იგივე, სალოცავებიც იგივე, ხალხიც იგივე. აი, ამ სოფელში მოვედი და მოვიყვანე ჩემი სტუდენტები, რათა შეგვეგრძნო წარსულისა და დღევანდელობის ძალა და ენერგია. ჩაგვეხედა ჩვენი ენის ფესვებსა და ძირებში, გვეგრძნო ერთმანეთი და გვეგრძნო სოფელი.

ახალციხიდან ანდრიაწმინდამდე არის ცოტა ხნის სავალი, მაგრამ ეს დრო, დაახლოებით ნახევარი საათი, საკმარისი აღმოჩნდა. იმისთვის, რომ გვესაუბრა ტოპონიმიისა და გეოგრაფიის შესახებ. შეუძლებელია, იკვლიო გეოგრაფიული სახელი, ადგილის სახელი, იგივე ტოპონიმი, გეოგრაფიუოლი კვლევის მეთოდების გარეშე. უნდა იცოდე რუკაზე მუშაობა, მხარეების განსაზღვრა, გეოგრაფიული ტერმინოლოგია, რომ შეისწავლო თითოეული სახელი. თუ ვერ არჩევ მთას, გორას, სერს, ზეგანს, მაღლობს, დაბლობს, ხევს, ღელეს, ველს, მინდორს, და ა.შ. რა გინდა მაშინ ტოპონიმიასთან. აი, შევდივართ სოფელში, რომელშიც ხევია ერთი, მაგრამ მასში მოდის ღელე, რა ხდება? ხევიც არის და ღელეც? თუ ეს სწორედ ამ სოფლის, ამ ჩვენი მხარის სპეციფიკაა, რომ იყოს დასავლური სახელებიც და აღ-

მოსავლურიც, ჩვენ ხომ სამხრეთელები ვართ, ჩვენ ხომ „შემაერთავი ხიდი“ ვართ დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის...

... და მაინც, ჩვენთვის მთავარი არის სოფლის სახელი ანდრიანწმინდა. - ამავე სახელის, სახელობის, ტაძარი. რატომ ხდება, რომ სოფელს ჰქვია ანდრიანწმინდა, საზღვრული უსწრებს მსაზღვრელს, როგორც ეს ხდებოდა, ძირითადად, ძველ ქართულში, ხოლო ტაძარი არის წმინდა ანდრიას სახელობისა, მსაზღვრელს მოსდევს საზღვრული. ვითომ ძველი და ახალი ნორმების გამო?! არა მგონია! თუ ასეა, პირიქით უნდა იყოს, ჯერ ხომ ტაძარი აშენდა, ჯერ ხომ წმინდა ანდრიას ტაძრის იყო და სოფელზე შემდეგ გადავიდა მისი სახელი! და არა პირიქით. რა ხდება? აქ ხომ მეტონიმიის აშკარა შემთხვევაა. კაცმა არ იცის, რა ერქვა სოფელს, ვიდრე აქ აშენდებოდა ანდრიას სახელობის ეკლესია. იმდენად მნიშვნელოვანი მოვლენა მომხდარა, რომ ეკლესიის სახელმა გადაწონა ყველაფერი, შეუცვალა სოფელს სახელი. ტოპონიმიაში მრავალთაგან ერთის გამორჩევითობის პრინციპი გადამწყვეტია სახელდების დროს, გამოარჩია წმ. ანდრიამ თავისი სახელით ტაძარი, მაგრამ გარკვეული გრამატიკული ნორმით გამორჩევაც საკუთარი სახელის კიდევ ერთი დამახასიათებელი ნორმა, თუ არა თვისება, მაინც ხომ არის. აი, ამ ყველაფერზე ვსაუბრობდით, ვიდრე შევიდოდით სოფელში. ელიობის მთის ხილვისას გაჩნდა კიდევ ერთი კითხვა, მას შემდეგ, რაც დავშალეთ ეს სახელი, გამოვყავით ფუძე და სუფიქსები. ილიას დაემატა დღესასწაულობათა მაწარმოებელი სუფიქსი **-ობა**. აკაკი შანიძე **-ობა** სუფიქსს განიხილავს სახელთა წარმოქმნის დროს და მის მთავარ თვისებად, ძალად აბსტრაქტულ სახელთა წარმოება მიაჩნია, თუმცა იქვე აღნიშნავს, რომ „ეს სუფიქსი საწყისური წარმოშობისაა და რთულია. ობ-ა. დღეს მას სახელთან მეტი კავშირი აქვს, ვიდრე ზმნასთან“. კიდევ სხვა შესაძლებლობებზე მიუთითებს დიდი მეცნიერი, მაგრამ ჩვენ ხომ სუფიქსის კვლევისთვის არ ვიმოწმებთ მას. შევთანხმდით, დამეთანხმნენ, რომ **-ობა** არის დღესასწაულის მაწარმოებელი სუფიქსი, რომელიც მშვენივრად მოერგო ტოპონიმიას. მისი საშუალებით იწარმოება მარიამობა, ვარძიობა, შოთაობა, თბილისობა და აი, ჩვენი ელიობაც, რომელიც დასცქერის ანდრიანწმინდას და ანდას. ელიას სახელობის დღესასწაული არის ელიობა და ადგილსაც, სადაც იმართება ეს დღესასწაული, ხალხმა უწოდა ელიობა. ეს ადგილი მთა არის, ამიტომ მას გააჩნია პარალელური ფორმა ელიობის მთა. ეს არის მთავარი, თავსართ-

ბოლოსართების გამოყოფაზე ადვილი არაფერია, როცა ასეთები არსებობს. მთავარია, როგორ მოხდა, რომ მას შემდეგ, რაც ანდრია მოციქული მოვიდა საქართველოში, მოსპო ტაროსის ღმერთი (როგორც ივ. ჯავახიშვილი იტყოდა), რომლის შესახებაც ჩვენი ლექციის დასაწყისში ვისაუბრეთ, მესხთათვის გამოაცხადა ქრისტიანობა, რის შესახებაც ბევრი უცხოელი (ბერძენი) და ქართველი მემატიანე, მეცნიერი ბრძანებს, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ მოსპო და ელიობა დღესაც იდღესასწაულება ამ სოფელში. დღესაც ძლიერია ეს კულტი.

ეს საკითხი დასამუშავებლად დავტოვეთ, თუმცა წინასწარ გაჩნდა მოსაზრება, არა ასაკვიატებელი, რა თქმა უნდა, მაგრამ მაინც მოსაზრება, რომ შეერწყა რამდენიმე ღმერთის თუ წმინდანის სახელი და ტრადიცია. წმინდა ელია წინასწარმეტყველი, ელია ამინდუამონდობის ღმერთი და წმინდა ილია.

მერე ისიც ვთქვით, რატომ მოხდა, რომ ანდრიას ცხოვრების ამსახველი ისტორია ამოღებულია „ქართლის ცხოვრების“ ახალ გამოცემაში, აკადემიკოს როინ მეტრეველის რედაქტორობით რომ გამოვიდა. ხომ არ არის ცოტა უფრო მეტად ანგარიშგასაწევი თუნდაც, ის ფაქტი, რომ მაინცდამაინც აქ, ამ სოფელს ჰქვია ანდრიაწმინდა და არა სხვაგან, საქართველოს რომელიმე სხვა კუთხეში. იმასაც უნდა მივაქციოთ ძალიან სერიოზული ყურადღება, რომ აბასთუმნის და ადიგენის გზათა გასაყარზე, სოფელ ბენარის თავზე დღესაც დაგვცქერის ზადენგორა, სადაც ანდრიამ დაამხო ზადენის კერპი, იქნებ გვეფიქრა აპოლონისა და არტემიდას კერპების რეალურობაზეც, რადგან სულ არ არის შემთხვევითი აწყურის ღვთისმშობლის ტაძრის გარშემო წარმოებული გათხრებისას, ვახტანგ ლიჩელმა რომაული სტილის კედლებს რომ მიაგნო.

ხალხი ბრძენია. ენის კანონების და ყოველგვარი საქმის თავის დამდები სოფელში ხალხია. ამ ბოლო დროს, მას შემდეგ, რაც ინგლისური ენა გააქტიურდა ჩვენში, ქართული ტრადიციული გრამატიკული პრობლემები გარკვეულ გავლენას განიცდის ინგლისურისაგან. ლექსიკაში რაც ხდება, ჯანდაბას! შემოდის ათასი უცხო სიტყვა და, ეტყობა, გვერდს ვერ ავუვლით ამ პროცესს, მაგრამ გრამატიკაშიც რომ ცდილობს შემოჭრას, ეს უკვე მეტისმეტია. ისე შეაჩვიეს სრულფუძიანობას ტელევიზიებმა თანამედროვენი, რომ ფუძის კუმშვასა და კვეცას აღარავის უყურებს. მალე **მამალის ყივილს** გავიგებთ **მამლის ყივილის** ნაცვლად. ამის ნიშნები ძალიან

ბევრია. ბოლოში ხმოვნისმოუკვეცაობა ხომ ლამის ნორმად გვიქციეს გაუნათლებელმა ადმინისტრატორებმა. **ვალეს** საჯარო სკოლაო, ისე იტყვიან, ვალელს არავინ ეკითხება. ამას წინათ ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი თავის „განათლებულობას“ აფრქვევდა, როდესაც **ახალციხეს უნივერსიტეტიო** - მითხრა და თან თავი ისე ნარნარად გააქანქარა, კისერში წარტყმა მომინდა, მაგრამ აბა, როგორ წავარტყამდი, იმასაც ეს უნდოდა.

აი, ანდრიაწმინდელები კი მართალია, თავიანთ დიალექტზე მეტყველებენ, მაგრამ ნორმებს იცავენ და თუ არღვევენ, ისევ საკუთარი ენის სასარგებლოდ, მისი ბუნებიდან გამომდინარე, ჩემს სტუდენტებთან ერთად ჩასაფრებულები ვიყავით, როგორმე მეტი დიალექტური მასალა ჩაგვეწერა. ბევრი ვერაფერი გამოგვივიდა, მაგრამ ერთმა ფორმამ მოგვჭრა ყური. რამდენიმესგან გავიგონეთ, **ანდრიის** ტაძარიო, **ანდრიის** ეკლესიაო, **ანდრიის** შემოსვლაო საქართველოში.

წმინდა ანდრიას სახელობის ტაძრის და სასაფლაოს მოხედვის შემდეგ პირდაპირ სოფლის ცენტრში მოვხვდით. მღვდლისა და ჭილობის ასაკში სწორედ ახლა ვარ. ყველგან მცნობენ ან ნათესაობით, ან ჩემი სტუდენტები არიან. აქაც ასე იყო, მაშინვე შემოგვხვდნენ ტრაქტორის კეთებით დაკავებული ახალგაზრდები, მკითხეს, რა გვინდოდა და, რომ გაიგეს ასაკოვან ხალხს ვეძებდით მასალის ჩასაწერად, გაიქცა ერთი ახალგაზრდა კაცი პაპამისის დასაძახებლად. მალე ბერიკაციც გამოხუსხუსდა, მიჭირს დანახვა, თვალი აღარ მიჭრისო, გვითხრა და სახლში შეგვიპატიჟა. მიხეილ მარკოზის ძე ინასარიძე იყო ჩვენი მასპინძელი. 84 წლისა. ჩემზე ჰა და ჰა, 17 წლით უფროსი. მე მისი ხნისა თუ მოვიყარე, ალბათ მეც ამ დღეში ვიქნები, თუ არა და.... ღმერთმა იცის, რაც იქნება. ბევრ რამეზე ვისაუბრეთ მიშასთან, მაგრამ მაინც მის სასიყვარულო თავგადასავალს გამოვყოფ. საუბრის მანძილზე მარტო იყო მიშა ჩვენთან, გვიყვებოდა თავისი ცხოვრების ამბებს და რომ მივუსხედით სუფრას, მხოლოდ მაშინ დაუძახა თავის ცოლს და ასაკოვანი წყვილისგან მოვისმინეთ რომანტიკული, წინააღმდეგობებით სავსე სიყვარულის ისტორიაც. სიყვარული იზომება, არა დროის რომელიმე მონაკვეთით.



მხატვარი-ბექა კოპაძე

მეგი კურტანიძე

დაიბადა 1991 წელს ქალაქ გორში. 2013 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის სპეციალობა, 2015 წელს – იმავე უნივერსიტეტის მაგისტრატურა საქართველოს ისტორიის მიმართულებით. 2016 წლიდან დღემდე არის მასწავლებელთა პროფესიული ცენტრის პროგრამის „ქართული ენა მომავალი წარმატებისათვის“ მოხალისე მასწავლებელი.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲔᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ ᲐᲠᲐᲥᲐᲠᲗᲣᲚᲔᲜᲝᲕᲐᲜ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲨᲘ

უკვე მეშვიდე თვე იწურება, რაც კულიკამის საჯარო სკოლაში ისტორიის დამხმარე მასწავლებლად ვმუშაობ. მასწავლებლობა - ერთი შეხედვით მარტივი და არც თუ ისე საინტერესო პროფესია, სინამდვილეში არც მარტივია და, მითუმეტეს, არც უინტერესო. სოფელი და, შესაბამისად, სკოლაც, რომელშიც მე ვმუშაობ, სრულიად სომხურენოვანია და თუმცა ქართულს აქ უკვე დიდი ხანია, ასწავლიან, მაინც რთულია კომუნიკაცია. ჩემი, როგორც დამხმარე მასწავლებლის მოვალეობაა, ორმოცწუთიან გაკვეთილში დათმობილი დრო, 15 წუთი, მასალის ქართულ ენაზე ასახსნელად და გამოსაკითხად გამოვიყენო. დამეთანხმებით, რომ 15 წუთი არც ისე დიდი დროა, მითუმეტეს, რომ გაკვეთილის მიმდინარეობისას უამრავი წინააღმდეგობა იჩენს თავს.

სკოლაში პირველად მისვლისას ცხადად იგრძნობოდა, რომ მოსწავლეები მოუთმენლად ელოდნენ ახალ მასწავლებელს. დაკვირვებით მათვალიერებდნენ და აქა-იქ „გამარჯობასაც“ მოვკარი ყური. ცხადია, თავიდანვე ვიცოდი, რომ ეთნიკურად არაქართველ მოსწავლეებთან მუშაობა არ იქნებოდა ადვილი, მითუმეტეს, რომ ეს ჩემი პირველი ნაბიჯები იყო სასკოლო სივრცეში და გამოუცდელობაც თავის როლს ითამაშებდა. ჩემი მოლოდინი სრულიად გამართლდა. მიუხედავად იმისა, რომ ხუთ გაკვეთილს მთელი შაბათ-კვირა საგულდაგულოდ ვგეგმავდი, თითქმის ყველაფერი გავთვალე,

გაკვეთილის ფაზებიც და აქტივობებიც დეტალურად დავამუშავე, ყველაფერი გეგმის მიხედვით არ აეწყო. გაკვეთილებიდან გამოსული თითოეული კლასის პრობლემას ვინიშნავდი, ვალაგებდი, როგორი მეთოდით უნდა მემუშავა ყოველ მათგანთან, რომ მიზნისთვის მიმეღწია. გავაანალიზე, რომ ჩემი მიზანი არ იყო და ვერც იქნებოდა მხოლოდ ისტორიის სწავლება, რადგან ძნელია, ასწავლო ისტორია, როგორც საგანი მაშინ, როცა მოსწავლესა და მასწავლებელს შორის მაღალია ენობრივი ბარიერი, რაც აფერხებს კომუნიკაციის პროცესს. ხშირია შემთხვევა, როდესაც იწყებ გაკვეთილზე საუბარს, ხსნი ისე, როგორც დაგეგმე, მაგრამ აღმოჩნდება, რომ მოსწავლეები ვერ იგებენ, რას ლაპარაკობ და ამ დროს გიწევს გეგმიდან გადახვევა, ლექსიკონის მოშველიება, სხვადასხვა მაგალითების მოყვანა, წინადადებების გამარტივება, რომ ბავშვებს უკეთ და მარტივად გააგებინო, რისი თქმა გინდა. ასეთ შემთხვევაში, პირველ ადგილზე ინაცვლებს ახალი სიტყვების ჩაწერა - შესწავლა და არა კონკრეტულად თემა, რომელზე ლაპარაკსაც აპირებდი. ამიტომ საქართველოს ისტორიამ, როგორც საგანმა დამხმარე რგოლის როლი მოირგო, რომლის მეშვეობითაც დავიწყე ქართული ენის სწავლება მოსწავლეებისთვის. შეგვიძლია, რამდენიმე მიზეზი გამოვყოთ, რომელიც ენის შესწავლის პროცესს ხელს უშლის და ისინი კულიკამის სკოლის მაგალითზე განვიხილოთ. ეს მიზეზებია: მოტივაციის არქონა, შიში, ენის ფლობის არათანაბარი დონე, ნაკლები ინტერესი თემის მიმართ, ფიზიკურ-გეოგრაფიული გარემო.

მოტივაციის არქონა. ამ თვალსაზრისით, აუცილებლად უნდა განვასხვავოთ კლასები. კერძოდ, მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე კლასებში მოტივაცია მაღალია. მაღალია მოსწავლეების უპირატესობისკენ მისწრაფება, თავის გამოჩენის სურვილი, მზაობა ახალი ცოდნის ათვისებისა და ინფორმაციის მიღების. ადვილია მათი ინტერესისი გამოწვევაც, სხვადასხვა აქტივობებით. გარდა ამისა, მათთვის მნიშვნელობა აქვს ნიშანს და მიუხედავად იმისა, რომ ჩემს კომპეტენციაში არ შედის ნიშნის დაწერა, მაინც უხარიათ, დღიურში ფორმალურად დაწერილი ქულა. დაბალ კლასებში ასევე მნიშვნელოვანი მოტივაციაა შექება და ღიმილი. პატარებისთვის საკმარისია იმის მიხვედრა, რომ მასწავლებელი მათი ნამუშევრით ან შესრულებული დავალებით კმაყოფილია და უფრო მეტად ცდილობენ, თავი გამოიჩინონ. ინტერესის გამოწვევა და მოტივაციის გაზრდა გაცილებით რთულია მაღალ კლასებში. პირველ რიგში, განსხვავება შეინიშნება გოგონებსა და ბი-

ჭებს შორის, გოგონები უფრო აქტიურები არიან. თუმცა ამის თქმა ყველა კლასზე არ შეიძლება. მაგალითად ჩემს მე-11 კლასში, ბიჭები უფრო აქტიურობენ, ვიდრე გოგოები, მაგრამ დიდი ენთუზიაზმით არ გამოირჩევიან. ბიჭების პასიურობას აქვს თავისი მიზეზი. საქმე იმაშია, რომ სოფელში მცხოვრებელი კაცების უმრავლესობა, მთელი წლის ნახევარზე მეტს საზღვარგარეთ, ძირითადად რუსეთში ატარებს. მათ მიერ გამომუშავებული თანხა, ოჯახის შემოსავლის ძირითადი წყაროა. ვფიქრობ, ეს მნიშვნელოვანი ფაქტორი განაპირობებს, მოტივაციის ნაკლებობას ბიჭებში. ისინი მიიჩნევენ, რომ ქართული ენის შესწავლა არაფერში სჭირდებათ, რადგან მომავალ საქმიანობას საქართველოს არ უკავშირებენ. რა თქმა უნდა, არის გამონაკლისი შემთხვევები. მაგალითად, მეთორმეტეკლასში ერთ-ერთ მოსწავლე ბიჭს სურვილი აქვს, ისწავლოს ქართული, რადგან ე. წ. აიტი სპეციალისტი უნდა, რომ გახდეს და სპეციალობას საქართველოში დაეუფლოს შიში. აქ ვგულისხმობ შეცდომების დაშვების შიშს. როდესაც პირველად მე-11 კლასში შევედი, აღმოჩნდა, რომ ერთი ბავშვის გარდა არავინ ლაპარაკობდა ქართულად. იმისათვის, რომ მოსწავლეებს ლაპარაკის ან წერის დროს შეცდომის დაშვების კომპლექსი მოვუხსნა, თვითონ დავიწყე სომხურში შეცდომების „დაშვება“. შეგნებულად ვამახინჯებ სიტყვებს ლაპარაკისას და წერისას, ვცდილობ, დავანახვო ბავშვებს, რომ ენის შესწავლა რთული პროცესია და რომ ის შეცდომების დაშვების გარეშე არ მიმდინარეობს. ყოველთვის, როცა მოსწავლეებს ვთხოვ წყარო, რომელიც სომხურ ენაზეა, დამიწერონ ქართულად, ან ქართულად მომიყვნენ, დიდ წინააღმდეგობას ვაწყდები. მაქსიმალურად ვცდილობ, ხაზი გავუსვა, რომ იდეალურად მოყოლილს ან დაწერილს მათგან არ ველოდები, არ აქვს მნიშვნელობა, წინადადებებს დაწერენ თუ უბრალოდ სიტყვებს ამოწერენ ქართულად, სწორი გრამატიკულით მოყვებიან თუ არა, მთავარია პირველი ბარიერის, შიშის გადალახვა. ამ კუთხით ნამდვილად გამოირჩევა მე-9 კლასელი გოგონა, რომელიც ყოველთვის ასრულებს საშინაო დავალებას, იმის მიუხედავად, რამდენად რთულია ის. რამდენიმე გაკვეთილის წინ იგი შეეცადა, ქართულად დაეწერა მითი არგონავტებზე. ერთი შეხედვით დაუძლეველ დავალებას ჰგავდა. მართალია, მან ერთმანეთში აურია ფაქტობრივი მონაცემები და დავალება გრამატიკული შეცდომებითაც „გაამდიდრა“, მაგრამ მისი მცდელობა და მონდომება ნამდვილად დასაფასებელი იყო.

ნაკლები ინტერესი თემის მიმართ. მოსწავლის დაინტერესება არც ისე ადვილი საქმეა და დიდ ძალისხმევას მოითხოვს. მე-12

კლასში, ენობრივი ბარიერი შედარებით დაბალია. როდესაც იცი, რომ რაზეც საუბრობ მოსწავლეებს თითქმის სრულყოფილად ესმით, უკვე დისკუსიის, ანალიზის, ლოგიკური მსჯელობის ფორმატში გადადის გაკვეთილის მსვლელობა. როდესაც მოსწავლე აყალიბებს თავის აზრს, გამოთქვამს მოსაზრებას, ლოგიკური მსჯელობით მიდის დასკვნამდე, უფრო მარტივად აღიქვამს თემას, მეტად ინტერესდება და, რაც მთავარია, უკეთ იმახსოვრებს მას. ხოლო კლასში, სადაც დგას ენობრივი პრობლემა, გაკვეთილზე საუბრისას ხშირად საჭირო ხდება ლექსიკონის მოშველიება და ჩემი ან მოსწავლის მიერ სიტყვების მოძებნა. ეს კი საგრძნობლად აგდებს გაკვეთილის მსვლელობის ტემპს, კონცენტრაციის უნარს უკარგავს მოსწავლეს, მით უმეტეს, რომ დაბალ კლასში, პატარა მოსწავლეებისთვის, ისედაც ძნელია ხანგრძლივად ყურადღების კონცენტრირება ერთ საკითხზე. ასეთ დროს უკვე შეუძლებელი ხდება მოსწავლის საგნით დაინტერესება და ყურადღება ლექსიკური მასალის გამდიდრებაზე გადადის.

ზემოთ უკვე აღვნიშნე, რომ მეთორმეტე კლასში ენობრივი ბარიერი დაბალია. გარდა ამისა, მოსწავლეების ცოდნის დონე თითქმის თანაბარია. ეს კი უზრუნველყოფს, გაკვეთილის შეუფერხებლად მიმდინარეობას. ასეთივე სიტუაციაა მეექვსე და მეცხრე კლასებშიც. განსხვავებით, მაგალითად, მეთერთმეტე, მეათე და მერვე კლასებისგან. აქ ენის ფლობის დონე არათანაბარია, ეს კი დამატებითი დაბრკოლებაა. ბევრი მასწავლებლისთვის არ იქნება უცხო სიტუაცია, როდესაც 10 ბავშვიდან მხოლოდ ორი-სამისთვის არის მასალა გასაგები. დანარჩენები გაფართოებული თვალებით გიყურებენ, ან გიქნევენ თავს იმის აღსანიშნად რომ გაიგეს. სინამდვილეში კითხვის შებრუნებისთანავე ემჩნევათ სახეზე დაბნეულობა და სრულიად ცხადია, რომ თავის დაქნევა მხოლოდ მექანიკურ ხასიათს ატარებს. მოსწავლე, რომელმაც გაიგო, ქართულად უხნის დანარჩენ მოსწავლეებს, ან მასწავლებელი ხდება იძულებული, სიტყვების გამარტივებით, ისევ და ისევ ლექსიკონის დახმარებით აუხსნას დანარჩენ მოსწავლეებს. ასე რომ, ენის ფლობის არათანაბარი დონე კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ხელისშემშლელი ფაქტორია ენის შესწავლის პროცესში.

არ უნდა დაგვავიწყდეს ფიზიკურ-გეოგრაფიული გარემო. დასაწყისშივე აღვნიშნე, რომ სოფელი კულიკამი მთლიანად სომხებითაა დასახლებული. მათ თითქმის არ აქვთ შეხება ქართულენოვან მოსახლეობასთან. ყოველდღიურ საქმიანობაში ქართულ ენაზე კო-

მუნიკაცია საჭიროებას არ წარმოადგენს. ამგვარი გარემო კი აფერხებს ენის შესწავლას. მაგალითისთვის ისიც კმარა, რომ ჩემი დიასახლისის შვილმა, რომელიც 10 წლისაა, უკეთ იცის ქართული, ვიდრე დავუშვათ ნებისმიერმა მოსწავლემ მე-11 კლასში. ამის მიზეზი კი ისაა, რომ დიასახლისის გოგო უკვე სამი წელია, ქართველ მასწავლებელთან ერთად ცხოვრობს და ამ სამი წლის განმავლობაში თითქმის ყოველდღიურად უწევს საუბარი ქართულ ენაზე. მართალია, კულიკამი ქალაქიდან არც ისე შორს მდებარე სოფელია, მაგრამ ამ ეტაპზე არც ქალაქში დგას ქართულად საუბრის საჭიროება. უმეტეს დაწესებულებაში, ქართული გამოიყენება, როგორც მეორე ენა. ზემოთ ასევე ვისაუბრე იმის შესახებ, რომ ბიჭები, სკოლის დამთავრებისთანავე მუშაობაზე არიან ორიენტირებულნი, ისიც რუსეთში. ამგვარი სოციალური ფონიც თავის კვალს ამჩნევს სკოლაში ქართულის სწავლების დონეს. სწავლის გაგრძელებაზე უფრო მეტად გოგონები ფიქრობენ და მათი გარკვეული ნაწილი, მომავალ საქმიანობას საქართველოს უკავშირებს. გოგონები ცდილობენ, დაეუფლონ სასურველ პროფესიას. ერთი ნაწილი სომხეთში, მეორე ნაწილი კი საქართველოს უმაღლეს სასწავლებელში აგრძელებს განათლების მიღებას. სასიამოვნო ფაქტია ის, რომ ახლანდელი მე-12 კლასის ხუთი აქტიური გოგოდან, წელს ოთხი საქართველოში აპირებს სწავლის გაგრძელებას, ამათგან ერთი კი ქართული ფილოლოგიის კუთხით.

ზემოხსენებული პრობლემების გადაწყვეტა, რა თქმა უნდა, იოლი არ არის და სასურველი შედეგიც სწრაფად ვერ მიიღწევა. თუმცა ამ პროექტის არსებობის ათმა წელიწადმა დიდი შედეგი გამოიღო. ამ კუთხით მინდა ყურადღება გავამახვილო ერთ მნიშვნელოვან ფაქტზე. კულიკამის მეზობელ სოფელში, კარტიკამში, სკოლის ქართული ენის დამხმარე მასწავლებელი, ეროვნებით სომეხი, ამავე სოფლის მცხოვრებია. ამ სკოლის კონსულტანტ-მასწავლებელი, რომელიც აქ დიდი ხანია, მუშაობს, ძალიან ამაყობს იმ ფაქტით, რომ მისი ყოფილი მოსწავლე, ახლა უკვე მასწავლებელია თავის სკოლაში. ვფიქრობ, ეს ძალიან კარგი მოტივაცია და სტიმულია მოსწავლეებისთვის. მათ თვალწინ არის მაგალითი, ახალგაზრდა გოგონა რომელსაც ჰყავს ოჯახი, პარალელურად დასაქმებულია და მუშაობს ქართული ენის დამხმარე მასწავლებლად. მას ენობრივი ბარიერი არ აქვს, არ სჭირდება ლექსიკონი და მთლიანად აკონტროლებს გაკვეთილის მსვლელობას. აქედან გამომდინარე, ვფიქ-

რობ, ურიგო არ იქნება, თუ დამხმარე მასწავლებლები სწორედ ადგილობრივები იქნებიან. ამისთვის შესაძლებელია, განათლების სამინისტრომ შექმნას პროგრამა, რომლის ფარგლებში მოამზადებს ახალქალაქის და ნინოწმინდის სკოლადამთავრებულ მოსწავლეებს ქართულ ენაში და შემდეგ მათ გააგზავნის თავისი რეგიონის რომელიმე სკოლაში მასწავლებლად. ამით სკოლაში ამაღლდება ქართული ენის სწავლების დონე, გაკვეთილები გახდება უფრო აქტიური, შეიქმნება კონკურენტული გარემო, მასწავლებლის პროფესია გახდება უფრო დაფასებული და მოსწავლეებს ექნებათ მეტი მოტივაცია, ისწავლონ ქართული, რადგან ეს მომავალში შესაძლოა, მათი დასაქმების საწინდარი გახდეს.

გარდა ამისა, მიმაჩნია, რომ მეტი კონტაქტი უნდა იყოს ქართულ და სომხურენოვან სკოლებს შორის. ეს გაზრდის კომუნიკაციას ქართველი და სომეხი ეროვნების ბავშვებს შორის და თავისთავად აამაღლებს სომხურ სკოლებში ქართულის სწავლების დონეს. ეს კონტაქტი შეიძლება ეფუძნებოდეს სასკოლო ბანაკებს, შეჯიბრებებს, კონცერტებს ან საერთო ექსკურსიებს.

როგორც უკვე აღვნიშნე, ნიშნების დაწერა არ შედის დამხმარე მასწავლებლის კომპეტენციაში. რა თქმა უნდა, არ არის კარგი, როდესაც ბავშვი მხოლოდ ნიშნების გამო სწავლობს, მაგრამ ფაქტია, რომ ნიშანი მათთვის მნიშვნელოვანი მოტივატორია. ამიტომაც ჩვენ უნდა მოგვეცეს საშუალება, მონაწილეობა მივიღოთ სემესტრული ნიშნების დაწერაში. შეიძლება, ჩვენმა ნიშანმა გადამწყვეტი როლი არ ითამაშოს საბოლოო ნიშნის გამოყვანისას, მაგრამ გადამწყვეტი აღმოჩნდეს მოსწავლის გააქტიურების პროცესში.

დასასრულს, ხაზი უნდა გავუსვა, რომ ეს პროექტი აუცილებელია საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების გააქტიურებისა და ინტეგრაციისთვის ერთიან სახელმწიფოებრივ სივრცეში. პრობლემები ბევრად უფრო ღრმა და ფუნდამენტურია, ვიდრე მე ამ წერილში ვისაუბრე. თუმცა ჩვენ, დამხმარე მასწავლებლები, მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ, ბოლომდე და საუკეთესოდ შევასრულოთ ჩვენზე დაკისრებული მოვალეობა. ჩვენ უნდა ვასწავლოთ არა მხოლოდ რომელიმე საგანი, არამედ ვაჩვენოთ ეთნიკურად არაქართველ მოსახლეობას, რომ ყოველთვის მზად ვართ მათთან თანამშრომლობისთვის.

სოფიო კაშმაძე

დაიბადა 1976 წელ ქალაქ ქუთაისში. 1993-1998 წლებში სწავლობდა ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე. 2001-2011 წლებში მუშაობდა ქუთაისის №37 საჯარო სკოლაში, ხოლო 2013 წლიდან ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ ორლოვკის საჯარო სკოლაში ასწავლის ქართულ ენასა და ლიტერატურას. მონაწილეობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროგრამაში „ასწავლე საქართველოსთვის“.

მცირე რეპორტაჟი ნინოწმინდიდან

20 ნოემბერი.

გზა ახალციხიდან ნინოწმინდამდე – თოვლიანი და მთაგორიანი.

„ნინოწმინდა, პალატები მეფეთა“..., თუმცა ეს გოგლას ნინოწმინდა არ არის. ეს თამარის საუფლისწულოა, ერთ დროს ტყითა და ბუნებით მდიდარი, ახლა კი უტყეო, თვალუწვდენელი ტრამალებით, თუმცა მაინც მდიდარი და თვალწარმტაცი. ერთმანეთს ენაცვლება ყინულიანი კლდეები და თეთრად მოელვარე ველ-მინდვრები. ვუახლოვდებით საზღვრისპირა მხარეს.

აი, ისიც ნინოწმინდა — თამარ მეფის საუფლისწულო და წმინდა ნინოს ნატერფალი. ნეტავ, როგორი იყო მაშინ?..

* * *

დღეს დუხობორებს ვხვდებით. უკვე გველოდებიან. ცოტათი ვღელავთ. ღელავს მასპინძელიც (იქნებ უფრო მეტადაც).

ქალაქის განაპირას მდებარე სახლი, ჭიშკართან — მომლოდინე მასპინძელი, შეშინებული, ვაითუ, სტუმარს შეეშალოს და გასცდეს სახლს.

შევდივართ. ერთმანეთის გაცნობა. ოდნავი უხერხულობა, უცხოობით გამოწვეული.

მაშ, ასე: ბატონი მერაბ ბერიძე, ნიკოლაი კონდრატეს ძე სუხორუკოვი, იური სტრუკოვი, სოფიკო კაშმაძე და მისი მოსწავლეები: დარია, ნიკიტა, ნინა სტრუკოვები (როგორი ოქროსფერი თუ ოქროს თავები აქვთ???). რა კარგია, გადამღებლებიც გვყვანან! — ელენე და ხატია.

* * *

ვსაუბრობთ ჯავახეთზე, ნინოწმინდაზე, დუხობორების წარმოშობასა და საქართველოში ჩამოსახლებაზე. ისინი გვიყვებიან თავისი ხალხის ისტორიასა და დღევანდელობას, წეს-ჩვეულებებს, ტრადიციებს.

მერაბ ბერიძე იხსენებს დუხობორ მეგობრებს, იმ ლაღ ურთიერთობებს, რაც ამ ადამიანებთან აკავშირებდა. იური სტრუკოვი ისე მსჯელობს საქართველოს გეოპოლიტიკურ პრობლემებზე, როგორც ნამდვილი გულშემატკივარი თავის ქვეყნისა. ყველანი ვთანხმდებით, რომ ეთნიკურად მრავალფეროვანი საქართველოსთვის მნიშვნელოვანი დანაკლისი იყო მშვიდობისმოყვარე დუხობორების მასობრივი გადასახლება გასული საუკუნის 90-იან წლებში ჩვენს ქვეყანაში შექმნილი მძიმე პოლიტიკური მდგომარეობის გამო. ნიკოლაი კონდრატეს ძე ენაწყლიანი მოსაუბრეა. გვაწვდის ინფორმაციას ჩვენთვის საინტერესო რუსულ ტოპონიმებზე, რომლებიც თან ჩამოიტანეს მე-19 საუკუნის შუა წლებში გადმოსახლებულმა დუხობორებმა, უხვად გვთავაზობს მათ ეტიმოლოგიას, თავისებურად — რელიგიურად გააზრებულსა და ახსნილს.

გთავაზობთ რამდენიმე მათგანს: **ბოგდანოვკა** (ახლანდელი ნინოწმინდა) ფუძე იშლება ამგვარად: **დან ბოგ** — ღვთისგან ბოძებული); **როდიონოვკა** (სოფელი ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში): роди Он — ის ანუ ღმერთი დავბადოთ საკუთარ გულში; **სპასოვკა** (სოფელი): спаское, спас, спасения ანუ ხსნა ღვთისგან. Спасибо (მადლობა): спаси бог — გვიხსენი, ღმერთო. უძველესი ქრისტიანული ჩვეულების თანახმად, დუხობორები სიკეთისთვის ადამიანს კი არ მადლობენ, არამედ ღმერთს ავედრებენ მის თავს. სათავე კი ამგვარი გააზრების უნდა ვეძიოთ ახალ აღთქმაში: რისთვისაც ადამიანები გეტყვიან მადლობას, მას ფასი ეკარგება ღვთის თვალში, სიკეთე აკეთეთ დაფარულად, რადგან ღმერთი ხედავს თქვენს საქმეებს და მოგაგებთ თქვენ ჯეროვნად.

ბატონი მერაბ ბერიძე ნიკოლაი კონდრატეს ძესა და იური სტრუკოვს მოუთხრობს სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტისა და მისი არქივის შესახებ. ისინი გვთავაზობენ რამდენიმე მნიშვნელოვან დოკუმენტსა და წიგნს, რომლებსაც საკუთარ არქივში იცავენ.

* * *

მივემართებით სოფელ გორელოვკისკენ, სადაც დუხობორების სიწმინდე — ობოლთა სახლი და მუზეუმია. აქ კი ნამდვილად მისტიური სამყარო გვხვდება, აღსავსე სიმბოლოებით ტრადიციული ულამაზესი სამოსითა და საგალობლებით. თვალში გვხვდება წინაპართა ღვაწლის დასაფასებლად, თაობათა სულის სიფხიზლისთვის დადგმული მარადიული ხსოვნის ქვა.

და გვიმტკიცდება რწმენა, რომ ამქვეყნად ყოველგვარ პოლიტიკას ძლევს ადამიანური კეთილშობილება, სიყვარული და მეგობრობა, აკი თქვა წინაპარმა: „კეთილსა სძლია ბოროტმა, არსება მისი გრძელია!“

* * *

ვემშვიდობებით ერთმანეთს და უკვე ვგრძნობთ მონატრებასა და დაუძლეველ სურვილს კვლავაც დაბრუნების უძველეს ქართულ მიწაზე, დუხობორების მისტიკურ სამყაროში.

უთუოდ დავბრუნდებით...

რუსუდან ყაულაშვილი

დაიბადა ქალაქ ბორჯომში. 2006 წელს დაამთავრა ბორჯომის N6 საჯარო სკოლა. 2006-2010 წლებში სწავლობდა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ქართული ენისა და ლიტერატურეს სპეციალობით. სწავლა გააგრძელა ამავე უნივერსიტეტის მაგისტრატურაში. 2015 წელს ჩააბარა სამცხე ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამაზე.

2012-2014 წლებში მონაწილეობდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროგრამაში „ქართული ენა მომავალი წარმატებისათვის“.

2014 წლიდან დღემდე არის „არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლების პროფესიული განვითარების პროგრამის“ მონაწილე კონსულტანტ-მასწავლებელი ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ მამწვარის საჯარო სკოლაში.

თურმე საქართველოს რამხელა გული ჰქონია

სიტყვა ჯავახეთი ბავშვობიდან მახსოვს, რაც ჩემს მეხსიერებაში ძალიან შორ, მიუსვლელ ადგილთან ასოცირდებოდა. რას ვიფიქრებდი მაშინ, რომ ეს სიტყვა უდიდეს გავლენას იქონიებდა ჩემს ცხოვრებაზე.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ შევიტყვე პროგრამის „ქართული ენა მომავალი წარმატებისათვის“ - შესახებ, რომელიც ითვალისწინებდა პედაგოგების მივლინებას არაქართულენოვან სკოლებში. გადავწყვიტე, ჩავრთულიყავი აღნიშნულ პროგრამაში და სიმართლე რომ ვთქვა, ჯავახეთი მე ავირჩიე. ქვემო ქართლში წასვლას აქეთ, ჩემს მხარეში წამოსვლა ვამჯობინე.

მახსოვს, როცა პირველად გამოვემგზავრეთ თბილისიდან, ორმაგად მნიშვნელოვანი დღე იყო. პირველი ის, რომ დაბადების დღე მქონდა და მეორე - უცხო გარემოში პირველად უნდა მოვხვედრილიყავი. ძალიან თბილად, შვილივით მიმიღეს, თავს მევლებოდნენ, თუმცა ვაღიარებ, რომ რთული იყო ძალიან პირველი ორი კვირა. გამიჭირდა ყველაფრის აღქმა, უცხო ხალხის, უცხო გარემოსთან შეგუება. ყველაზე მეტად ბუნების, ხეების, ტყეების სიმწირეს

განვიცდიდი. მახრჩობდა ლაპარაკის სურვილი, დღე ისე გადიოდა, ვერ ვსაუბრობდი, მხოლოდ ვფიქრობდი და ვფიქრობდი. ჩემი კოლეგები მამხნევებდნენ. ვუყვებოდთ ერთმანეთს ჩვენი სავალალო მდგომარეობის შესახებ. ცოტა ხანში შევეგუე ჩემს ბედს და ყველაფერს კარგი თვალით შევხედე.

თანდათან დავუახლოვდი ხალხს, შევეჩვიე. არაჩვეულებრივი დიასახლისი შემხვდა, სულ მესაუბრებოდა, სულ ზრუნავდა ჩემზე. ერთადერთი ქართველი ვიყავი სოფელში. მოდიოდნენ ჩემს სანახავად. ყველას უნდოდა თავისთან მივეპატიჟე. უჩემოდ არ ჩაივლიდა არც დაბადების დღე და არც ქორწილი. ბავშვების სიყვარულმა გამიადვილა აქ ყოფნა. ასე გადიოდა დრო.

ჯავახეთში ერთი წლით წამოვედით მეც და ჩემი მეგობრებიც, მაგრამ უკვე მეექვსე წელია, აქ ვარ. თავდაპირველად, როგორც მოგახსენეთ, მოხალისე მასწავლებლის სტატუსით ვმუშაობდი. ვეხმარებოდი ადგილობრივ მასწავლებლებს გაკვეთილის დაგეგმვასა და ჩატარებაში. ხელს ვუწყობდი თანამედროვე სწავლების მეთოდების დამკვიდრებას. ფორმალურ და არაფორმალურ გარემოში სწავლების ხელშეწყობას. პარალელურად პროფესიულ განვითარებაზეც ვზრუნავდი, ვაბარებდი სასერტიფიკატო გამოცდებს. ვსწავლობდი მაგისტრატურაში.

უკვე მესამე წელია, ვარ „არაქართულენოვან მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამის კონსულტანტ-მასწავლებელი“. მესამე წელია, ვმუშაობ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ მამწვარის საჯარო სკოლაში. ჩემს ფუნქცია-მოვალეობებში შედის როგორც მოსწავლეებისათვის ქართული ენის სწავლება, ასევე ადგილობრივი მასწავლებლების გადამზადება. ვასწავლი მათაც ქართულ ენას და ვზრუნავ მათ პროფესიულად განვითარებაზე. სოფელი მამწვარა მდებარეობს რაიონიდან ცხრა კილომეტრით მოშორებით, ჩრდილო-დასავლეთით. მოსახლეობა ეწევა მესაქონლეობასა და მიწათმოქმედებას. აქ კაგად ხარობს კარტოფილი, ქერი, ხორბალი. სოფელ მამწვარას აქვს საჯარო სკოლა, ბიბლიოთეკა, კლუბი, წინათ ჰქონია ჯანმრთელობის სახლიც. სოფელში არის წინა საუკუნეში აშენებული ეკლესია. ამბობენ, რომ მოსახლეობის წინაპრები ჩამოსახლდნენ 1830 წელს დასავლეთ სომხეთიდან, ერზრუმიდან.1918 წლის მონაცემებით სოფელ მამწვარას ჰყოლია 100 კომლი, 1000 მოსახლით.

ნინოწმინდაში და, ზოგადად, ჯავახეთში ძალიან თბილი ხალხი ცხოვრობს. ძალიან უყვართ და აფასებენ სტუმარს. მართალია, უკვე სტუმრად აღარ მთვლიან, მაგარამ მაინც უდიდეს ყურადღებას იჩენენ ჩამოსული მასწავლებლების მიმართ. სკოლაში ძალიან მეგობრული გარემოა. მიხარია ყოველდღე იქ მისვლა, ბავშვები მონდომებულები არიან, ცდილობენ, კარგად ისწავლონ. მათ უკვე იციან, თუ რამდენად მნიშვნელოვანი და საჭიროა სახელმწიფო ენის ცოდნა. ძალიან კარგ ოჯახში ვცხოვრობ. თავს ისე ვგრძნობ, როგორც საკუთარ სახლში. ხანდახან ვფიქრობ, რომ მოვა დრო, მომიწევს აქაურობის დატოვება. რაც, ალბათ, ძალიან გამიჭირდება. გამიჭირდება დამშვიდობება ბავშვებთან, კოლეგებთან და ოჯახთან, რომელიც ჩემთვის ასეთი ახლობელია.

ვფიქრობ, რომ ყველა ადამიანს თავისი მიზანი აქვს და ამ მიზნისკენ თავისი გზებით მიდის. ისიც მჯერა, რომ ყველას თავისი მისია აქვს ცხოვრებაში. მთავარია, ამ მისიას სწორად მიაგნო და გამოსადეგი იყოს. ბედნიერი ვარ, რომ ჩემი სამშობლოსათვის ძალიან კარგ საქმეს ვაკთებ.

ჯავახეთიდან მე სულ სხვანაირად დავინახე ჩემი სამშობლო. აქედან უფრო მეტად შემიყვარდა და დავაფასე. თურმე საქართველოს რამხელა გული ჰქონია. აქ ყოფნის ეტაპი ჩემი ცხოვრების ერთერთი მნიშვნელოვანი ნაწილია, რომელმაც ბევრ რამეზე დამაფიქრა და ბევრი რამ მასწავლა.

სარჩევი

დებიუტი
ივდითი კვიტია (ივდო ოტობარი) *3*

დებიუტი
ვასილ ბერიძე *14*
თანამედროვე ცხოვრების თანამედროვე
შაბათი-კვირა

თარგმანი
ბექირ სითქი ქუნთი *23*
ბეჭედი

თარგმანი
ვრთანეს ფაფაზიანი *30*
ერთი კვირა ხეზე

ემიგრანტული პოეზია
ზაირა კეღოშვილი *35*

ემიგრანტული პოეზია
მარინა ყიფიანი *41*

ქართული სკოლა უცხოეთში
მაია ქუქჩიშვილი *49*
ათენის ვახტანგ მეექვსის სახელობის ქართული
საკვირაო სკოლა

დებიუტი
ლიკა ტიკურიშვილი *54*
ეარენდელი

ინტერვიუ
„მე რომ მინდა, ისე არა ვარ, მაგრამ ჩემს მტრებს
რომ უნდათ, არც ისე ვარ“ 60

ინტერვიუ
მხატვარი აწყურიდან 83

ინტერვიუ
გოგონა ფერების სამყაროდან 91

დებიუტი
ნინი გვირჯიშვილი 95

პოეზია
ნატო ყატაშვილი-აფაქიძე 99

მოგონებები
გულისა ჩხაიძე 102
სხვა საუკუნის მგზავრი გვიანი

მერაბ ბერიძე 122
ერთი დღე ანდრიაწმინდაში

ჯაგახეთი
მეგი კურტანიძე 132
ქართული ენის შესწავლის პროგლემები
არაქართულენოვან სკოლებში

ჯაგახეთი
სოფიო კაშმაძე 138
მცირე რეპორტაჟი ნინოწმინდიდან

ჯაგახეთი
რუსუდან ყაულაშვილი 141
თურმე საქართველოს რამხელა გული ჰქონია

გამომცემლობა

„ახალციხის უნივერსიტეტი“

ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. №106,
ტელ.: 0(365)22-19-90, 595-94-02-26, 591-41-12-88
ელ. ფოსტა: jurnaliaravi@gmail.com